

**ბავშვის მეურვეობის საკითხები**  
**სამოქალაქო**  
**სამართალწარმოებაში**  
**(ზოგიერთი ფსიქოლოგიური და**  
**სამართლებრივი ასპექტი)**

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
ანალიტიკური განყოფილება

თბილისი 2018

რედაქტორი

**მარინე კვაჭაქა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური  
განყოფილების უფროსი  
სამართლის დოქტორი, პროფესორი

ავტორები:

**მარინე კვაჭაქა**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური  
განყოფილების უფროსი  
სამართლის დოქტორი, პროფესორი

**ქეთევან ჩიგოგია**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური  
განყოფილების სპეციალისტი,  
ფსიქოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

**გულიკო მჭედლიშვილი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური  
განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის კონსულტანტი

ტიქნიკური რედაქტორი

**მარია მაღალაშვილი**

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2018

ISBN 978-9941-8-0782-4

## წინათქმა

დღესდღეობით, განსაკუთრებით აქტიურად ხდება ფსიქოლოგის ჩართვა სამოქალაქო საქმეების ანალიზისას, ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ეხება ბავშვის ფსიქიკური სტატუსის მდგომარეობას და განსაკუთრებით, ბავშვის მეურვეობის პრობლემების გადანყვეტას, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას და მისთვის ფსიქოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შერჩევასა და შენარჩუნებას.

ბუნებრივია, რომ ბავშვის მეურვეობის საკითხის გადანყვეტაში ფსიქოლოგის ჩარევა სასამართლოს მოთხოვნით ხდება მაშინ, როდესაც მშობლები დამოუკიდებლად ვერ იღებენ გადანყვეტილებას და ფსიქოლოგმა უნდა მიანოდოს სასამართლოს ობიექტური ინფორმაცია, თუ რა იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ოპტიმალური ბავშვის ან ბავშვების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების მიერ მომზადებული ნაშრომი „ბავშვის მეურვეობის საკითხები სამოქალაქო სამართალწარმოებაში (ზოგიერთი ფსიქოლოგიური და სამართლებრივი საკითხი)“ მიზანდ ისახავს ფსიქოლოგიური მომენტების წარმოჩენას სამოქალაქო საქმისწარმოებაში, რომელშიც მონაწილეობს არასრულწლოვანი.

ნაშრომი მოიცავს, როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე სამართლებრივ ასპექტებს, ყურადღებაა გამახვილებული სასამართლოში ბავშვის მოსაზრების მოსმენისას არასრულწლოვანის ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელიც ეხმარება მოსამართლეს სწორად შეაფასოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

აღნიშნული ნაშრომის სამართლებრივი ნაწილი ეყრდნობა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ მომზადებულ კვლევებს და გამოცემებს.

წარმოდგენილი კვლევა საინტერესო იქნება, როგორც ყველა ინსტანციის მოსამართლეთათვის, ისე არასრულწლოვანთა უფლებების საკითხებზე მომუშავე პროფესიონალებისთვის და ფართო პროფილის იურისტებისთვის.

## **მარინე კვაჭაქე**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი  
სამართლის დოქტორი, პროფესორი

## PREFACE

Nowadays, in analyzing civil cases the involvement of psychologist is extremely important, in particular, when it relates to the state of the mental status of the child and especially the child case issues, considering the child's best interest and to select and maintain a psychologically healthy environment for him/her.

In deciding the custody of the child, interference of the psychology at the request of the court, when the parents are not able to make decisions independently and the psychologist should provide information to the court, which is optimal considering the child or the child's best interest.

Analytical Department of the Supreme Court of Georgia prepared analytical document "Child custody issues in civil proceeding (Some Psychological and legal aspects)", which aims to show psychological moments in civil proceedings involving the minor.

This document includes psychological as well as judicial aspects and focuses on testifying the child at the court, considering the psychological peculiarities of the minor, which helps the judge to evaluate the best interests of the child.

The judicial part of the document leans on the studies and publications of The United Nations Children's Fund (UNICEF).

We consider that the given document will be of particular interest not only for people working in the judiciary but for the professors, students and to all other interested persons in jurisprudence.

Prof. Dr. **MARINA KVACHADZE**

The Head of Analytical Department

## სარჩევი

შესავალი .....	9
----------------	---

### თავი I

ფსიქოლოგიის როლი და ფუნქცია სასამართლოში .....	12
--	----

### თავი II

მეუღლეთა განქორწინება და ბავშვისთვის მეურვის შერჩევის ფსიქოლოგიური ასპექტები და სხვა პრობლემები .....	15
2.1 რატომ და როდის ტარდება ბავშვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზა .....	16
2.2 რატომ და როდის ტარდება მშობლების ფსიქოლოგიური ექსპერტიზა .....	16
2.3 ფსიქოლოგიური ასპექტები და ფაქტორები, რომლებიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს .....	17
2.4 კითხვები, რომელიც უნდა დავსვათ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროს .....	19

### თავი III

მეურვის შერჩევა .....	21
3.1 ყველაზე ხშირად რას ექცევა ყურადღება ბავშვის მეურვის შერჩევისას .....	23
3.2 „მიჯაჭულობის“ ფენომენი .....	23
3.3 ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შერჩევა და რა ტიპის კითხვები უნდა დავსვათ ამ დროს .....	24
3.4 მეურვე მშობლის ძირითადი მოვალეობები .....	26

### თავი IV

როგორია არამეურვე მშობლის მიერ ბავშვის ნახვის ოპტიმალური გრაფიკი .....	27
4.1 გაერთიანებული მეურვეობის უპირატესობა .....	32
4.2 რა უნდა გავითვალისწინოთ მამინაცვალთან/ დედინაცვალთან მიმართებაში .....	33

4.3 ურთიერთობა ნახევარდებთან და ძმებთან .....	34
4.4 რეკომენდაციები .....	34

**თავი V**

რა შეამთხვევაში შეიძლება დედას ჩამოერთვას მიუხედავად .....	36
---	----

**თავი VI**

რა ფსიქოლოგიური პრობლემები შეიძლება შეეძმნათ ბავშვებს მშობლების განქორწინების შემდეგ და რა უნდა გავითვალისწინოთ .....	37
6.1 რა არის ყველაზე ცუდი და რას უნდა ვებრძოლოთ .....	38
6.2 რეკომენდაციები .....	39

**თავი VII**

საზღვარგარეთის პრაქტიკა უცხო ქვეყნების გამოცდილება .....	42
---	----

**თავი VIII**

განქორწინების მსურველთა შესავსები ფორმები .....	52
---	----

**თავი IX**

ეროვნული კანონმდებლობა .....	64
მშობლის უფლებების შეზღუდვა და მშობლის უფლებების ჩამორთმევა .....	65

**თავი X**

დედამიწვილების განცალკევება მშობლების განქორწინების დროს (სასამართლო პრაქტიკა) .....	69
---	----

**თავი XI**

ბავშვის საუკეთესო ინტერესები	
11.1 სასამართლო პრაქტიკა .....	75
11.2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება სამოქალაქო ურთიერთობებში .....	84
11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი .....	86

11.4	საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება, როგორც საპროცესო ნორმა .....	88
11.5	ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება სხვა სფეროს მარეგულირებელი კანონებით .....	89
11.6	ბავშვის საუკეთესო ინტერესები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით .....	91

## **თავი XII**

საერთაშორისო სტანდარტები .....	94
--------------------------------	----

## **თავი XIII**

### **მეურვის შერჩევა - ფსიქოლოგიური ანალიზი**

13.1	რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი ბავშვის მამისთვის დატოვება ან გაერთიანებული მეურვეობის შერჩევა .....	100
13.2	რამდენიმე ამონარიდი თანამედროვე კვლევებიდან .....	108
13.3	რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი ბავშვის მამისთვის დატოვება .....	111
13.4	რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი ბავშვის დედისთვის დატოვება .....	117
13.5	მიზანშეწონილია თუ არა დროებით თავის შეკავება ბავშვებისთვის დედინაცვლის ნახვისგან, თუ ბიოლოგიური დედა არ არის ფსიქოლოგიურად ამისთვის მზად .....	123

## **თავი XIV**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციური პრეცედენტული გადაწყვეტილებები .....	125
ტიპინთა განმარტება .....	143



## შესავალი

კვლევა, რომელიც სწავლობს ადამიანის ქცევას და პირდაპირ კავშირშია სამართლებრივ პროცესთან (სადაც ჩართულია ფსიქოლოგიის დარგი) ან, რომელიც, თუნდაც კონსულტაციის სახით საჭიროებს ფსიქოლოგიურ ცოდნას და მოიცავს, როგორც სამოქალაქო ისე სისხლის სამართალს, არის სასამართლოს ფსიქოლოგია<sup>1</sup>. ეს განმარტება ზედმინევენით ზუსტად აღწერს ვითარებას და პირდაპირ აცხადებს ფსიქოლოგიის დარგის სამართლებრივი პროცესის მიმდინარეობაში ჩართულობის საჭიროების შესახებ. ბუნებრივია, ამ განმარტების ჩამოყალიბებას დასჭირდა დრო და დროში მიმდინარე პროცესები, რასაც სასამართლოს ფსიქოლოგიის ისტორია ეწოდება.

ეს დარგი, ანუ ფსიქოლოგიური ცოდნის და გამოცდილების გამოყენება სასამართლოს პრაქტიკაში, უკვე ერთ საუკუნეზე მეტს ითვლის. ფსიქოლოგიის მოშველიება კრიმინალური საქმეების ძიებისას არც იყო გასაკვირი, თვითონ ფსიქოლოგიის დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე და პიროვნების ფსიქოლოგიური მახასიათებლების და ქცევის თავისებურებების გათვალისწინებით, რადგან საქმის ვითარების დასაზუსტებლად უნდა შეფასდეს მსხვერპლისთვის მიყენებული ფსიქოლოგიური ზიანის ხარისხი, პიროვნული მახასიათებლები, რომელიც შესაძლოა უძლოდა დანაშაულის ჩადენის აქტს ან ფსიქიკური სტატუსი და აფექტისკენ მიდრეკილება, მაგრამ სისხლის სამართლის გარდა, აღმოჩნდა, რომ იგივე ფსიქოლოგიური ცოდნა პიროვნების ინდივიდუალურ-პიროვნული მახასიათებლების შესახებ სამოქალაქო საქმეების განხილვისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს და გასათვალისწინებელია, განსაკუთრებით განქორწინებებისა და ამის შემდგომ ბავშვის ან ბავშვების მეურვეობის გადაწყვეტისას. თუმცა, სამოქალაქო საქმეების ანალიზისა და შეფასებისთვის ფსიქოლოგიის გამოყენება უფრო მოგვიანებით დაიწყო; კერძოდ კი, 20-ე საუკუნის 60-იან და განსაკუთრებით 70-იან წლებში ბავშვის მეურვეობის საკითხები უკვე ფსიქოლოგის დახმარებით წყდებოდა;

დღესდღეობით, განსაკუთრებით აქტიურად ხდება ფსიქოლოგის ჩარევა სამოქალაქო საქმეების ანალიზისას, როგორცაა პიროვნების ასაკობრივი მდგომარეობის გავლენა მის სუბესტიურობაზე,

---

<sup>1</sup> Bartol & Bartol., 2004.

ფსიქიკური სტატუსის მდგომარეობა და განსაკუთრებით ბავშვის მეურვეობის პრობლემების გადანყვეტა, ბავშვის ინტერესების გათვალისწინება და მისთვის ფსიქოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შერჩევა და შენარჩუნება.

ბუნებრივია, რომ ბავშვის მეურვეობის საკითხის გადანყვეტაში ფსიქოლოგის ჩარევა სასამართლოს მოთხოვნით ხდება მაშინ, როდესაც მშობლები დამოუკიდებლად ვერ იღებენ გადანყვეტილებას და ფსიქოლოგმა უნდა მიანოდოს ობიექტური ინფორმაცია სასამართლოს, რა იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ოპტიმალური ბავშვის ან ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით.

იმისთვის, რომ ფსიქოლოგმა გამოიტანოს დასკვნა, თუ რა იქნება ბავშვისთვის უმჯობესი – საკმაოდ ბევრი ფაქტორის შეფასება ხდება საჭირო. ამ შემთხვევაში ფასდება, როგორც ბავშვის ან ბავშვების ისე მშობლების მდგომარეობა და დგინდება, ხომ არ აქვთ მათ სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები, აგრეთვე უნდა შეფასდეს ბავშვების და მშობლების ურთიერთობა და გაცნობიერდეს მშობლებს შორის არსებული კონფლიქტი. ფსიქოლოგი ამ დროს აგრეთვე აკვირდება, რომელიმე მშობლის ან მშობლების ინდივიდუალურ-პიროვნული თავისებურებები უარყოფით გავლენას ხომ არ ახდენენ ბავშვებზე. ფსიქოლოგი უნდა დააკვირდეს, რამდენად მზად არის მშობელი თავისი ფუნქციის შესასრულებლად, აღზრდის რამდენად სწორ მეთოდს მიმართავს და რომელი მშობელი უფრო ახლოა ბავშვთან ემოციურად.

ექსპერტ-ფსიქოლოგს აგრეთვე მოეთხოვება არა მარტო იმის ცოდნა, თუ რამდენი ტიპის მოტივი არსებობს განქორწინებისთვის, არამედ იმის ცოდნაც, თუ რომელი ასაკის და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურების ბავშვზე, როგორ გავლენას ახდენს განქორწინება. ექსპერტ-ფსიქოლოგი აგრეთვე კარგად უნდა ერკვეოდეს მეურვეობის სახეობებში და იცოდეს ვიზიტის გრაფიკის შედგენა კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

მეურვეობის საკითხის შეფასებისას, არა მარტო მშობლების, არამედ ბავშვის აღზრდაში ჩართული სხვა ნათესავებისა და ახლობლების შეფასებაც უნდა მოხდეს; მაგალითად ვაფასებთ და ვიკვლევთ მამინაცვალს, დედინაცვალს ან მშობლების სასიყვარულო პარტნიორებს; უნდა შეფასდეს ბავშვის ურთიერთობა ნახევარ დაძმასთან ან მამინაცვლის და დედინაცვლის შვილებთან; ამ დროს

გამოკითხული უნდა იყოს ბავშვის ექიმი, ფსიქოთერაპევტი, კლასის დამრიგებელი და სხვა მასწავლებლები.

ყველაზე მნიშვნელოვანი გადანყვეტილება განქორწინებისას არის ის, თუ ვისთან დარჩება ბავშვი ან შესაძლებელია თუ არა გაერთიანებული მეურვეობისთვის რეკომენდაციის გაცემა.

ბავშვის მეურვეობის საკითხის გადანყვეტისას, ფსიქოლოგიური შეფასების უმთავრესი მიზანია ბავშვის ინტერესების დაცვა.

## თავი I

### ფსიქოლოგის როლი და ფუნქცია სასამართლოში

როდესაც მშობლები ვერ აღწევენ შეთანხმებას და სასამართლო-საც დამატებითი ინფორმაცია სჭირდება იმის თაობაზე, თუ რომელი გადანყვეტილება დააკმაყოფილებს ყველაზე ოპტიმალურად „ბავშვის ინტერესებს“, ვის უნდა მიენიჭოს მეურვეობა ან რომელი ტიპის მეურვეობა იქნება საუკეთესო გამოსავალი და როგორი უნდა იყოს არამეურვე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების გრაფიკი, სწორედ მაშინ იწვევენ ფსიქოლოგს, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და მისი ინტერესების გათვალისწინებით მიუკერძოებელ მოსაზრებას გამოთქვამს და სასამართლოს კონკრეტულ რეკომენდაციას მისცემს. ფსიქოლოგის თვალსაზრისი ბუნებრივია, უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურ კვლევას და მშობლებისა და ბავშვის/ბავშვების პიროვნული მახასიათებლების ანალიზს.

ბავშვისთვის მეურვის განსაზღვრის დროს ფსიქოლოგი იყენებს სპეციალურ პროფესიულ ცოდნას და იკვლევს პიროვნების ფსიქიკურ სტატუსს, უნარებს, აკეთებს ქცევის პროგნოზს. ის აგრეთვე ადგენს, თუ როგორი გარემოა კონკრეტული ბავშვისთვის ოპტიმალური, სწავლობს ოჯახის ურთიერთობის დინამიკას, კულტურულ გარემოს, ბავშვის განათლების და ინტელექტის დონეს, ფიზიკურ და ფსიქო-ემოციურ თავისებურებებს.

ფსიქოლოგი სწავლობს და იკვლევს მშობლის ფუნქციის განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს, მზაობას, უარყოფით და დადებით მხარეებს და ამის საფუძველზე გასცემს რეკომენდაციას.

ფსიქოლოგი აგრეთვე ეხმარება მშობლებს გათავისუფლდნენ შურისძიების გრძნობისგან მეორე მშობლის მიმართ, რაც აუცილებლად დააზიანებს მათი შვილების ფსიქიკას და ვაკლენას მოახდენს მათ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.

ფსიქოლოგის ფუნქციაა ჩაატაროს ინტერვიუ მშობლებთან და ბავშვებთან, დაადგინოს, რომელი მშობელი იქნება უფრო უკეთესი მეურვე და მზრუნველი, როგორი ურთიერთობის სტილი აქვთ მშობლებს ბავშვებთან და როგორი ტიპის მეთოდებს მიმართავენ მათი აღზრდისას, რომელ მშობელთან უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს ბავშვი, რატომ და ვის მიმართავს დამშვიდებისა და რჩევის-

თვის.

ფსიქოლოგი ინფორმაციას საქმეში არსებულ მასალასთან გაცნობის გარდა, მოიპოვებს ფსიქოლოგიური ტესტირებით, კლინიკური ინტერვიუთი და ქცევაზე დაკვირვებით, აგრეთვე ბავშვის სკოლიდან, ოჯახის ექიმისგან, ოჯახის წევრებისა და ნათესავებისგან.

ბავშვის მეურვეობის საკითხს სჭირდება ფსიქოლოგიური შეფასება, რადგან განქორწინების შედეგები სხვადასხვა ტიპის ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვებზე მათი ასაკიდან და მშობლებს შორის არსებული ურთიერთობიდან გამომდინარე ამ ზეგავლენის შედეგები არის, როგორც მყისიერი, ისე გრძელვადიანი და ხშირად დროთა განმავლობაშიც იჩენს თავს.

იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ან მინიმუმამდე შევამციროთ განქორწინებით გამოწვეული შედეგები, ფსიქოლოგმა უნდა შეისწავლოს ბავშვის ან მოზარდის პიროვნულ-ქარაქტეროლოგიური მახასიათებლები, ფსიქიკური სტატუსი და ფსიქოლოგიური თავისებურებები, ოჯახის დინამიკა, მშობლების უნარი ბავშვის აღზრდის და მათ მიერ შერჩეული აღზრდის სტილი, მშობლების ქარაქტეროლოგია და დაადგინოს, რომელი ტიპის გარემო და აღზრდისა და ურთიერთობის სტილი იქნება ოპტიმალური ბავშვის განვითარებისა და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისთვის.

ფსიქოლოგმა აგრეთვე უნდა გამოიკვლიოს ნახევარძმები და ნახევარძეები. ზოგჯერ ფსიქოთერაპევტის ჩართვაც საჭირო ხდება და ამის შესახებ რეკომენდაცია ფსიქოლოგმა უნდა წარმოადგინოს, ისევე როგორც მან უნდა გასცეს რეკომენდაცია ბავშვებისთვის ან მშობლებისთვის დამატებითი სამედიცინო გამოკვლევის ჩასატარებლად, თუ ფსიქოლოგს წარმოეშვა ეჭვი ბავშვების ან მშობლების ორგანული დაავადების და ფსიქიკური აშლილობის არსებობის შესახებ.

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ და ხაზი გავუსვათ, რომ აუცილებელია ფსიქოლოგმა გამოიკვლიოს: ა) ფსიქოლოგიური პრობლემების არსებობა ბავშვებსა და მშობლებში, რამდენად სერიოზულია ეს პრობლემები, რამდენად მოგვარებადია და რა უნდა გაკეთდეს მათ მოსაგვარებლად; ბ) ბავშვისა და მშობლების ურთიერთობის ტიპი და ხარისხი; გ) შეისწავლოს მშობლებს შორის არსებული კონფლიქტის დონე და ამ კონფლიქტის შედეგების გავლენა მშობლებზე, ბავშვებზე და ბავშვების მიმართ დამოკიდებულებაზე; დ)

აგრეთვე, ზედმინევნით კარგად უნდა იქნას შესწავლილი მშობლების პიროვნულ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები და ამ მახასიათებლებისა და თავისებურებების ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა ბავშვებსა და მეუღლესთან ურთიერთობაზე;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებისა და მშობლების ფსიქოლოგიური სიახლოვის შესწავლას, ანუ ფსიქოლოგიურად რამდენად კომფორტულად გრძნობენ ან არ გრძნობენ თავს ბავშვები ერთ რომელიმე ან ორივე მშობელთან.

## თავი II

### **მეულლეთა განქორწინება და გავშვისთვის მეურვის შარჩავის ფსიქოლოგიური ასპექტები და სხვა პრობლემები**

სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ინიშნება მაშინ, როდესაც განქორწინებული მეულლეები ვერ თანხმდებიან ვისთან და სად უნდა იცხოვროს ბავშვმა, რომელ მშობელს უნდა დაეკისროს მასზე მეურვეობა, კვირაში რამდენჯერ უნდა ნახოს ბავშვმა არამეურვე მშობელი, რა უპირატესობა აქვს გაერთიანებულ მეურვეობას და როდის შეიძლება მისი დანიშვნა.

გარდა ამისა, სამწუხაროდ, ხშირად ჩნდება კიდევ დამატებითი, მაგრამ საკმაოდ აქტუალური კითხვებიც, რომელთა გადანწყვეტაც არ არის ადვილი. მაგალითად:

- რატომ ვერ ახერხებს, ზოგიერთ შემთხვევაში, „მოგებული მხარე“ ბავშვთან ურთიერთობას;
- როგორ არასათანადოდ სარგებლობენ მშობლები ბავშვის ე.წ. უფლებებით და იმ წესით, რომ თუ ბავშვს არ უნდა რომელიმე მშობელი მას ვერ დავაძალბებთ მის ნახვას და მასთან ურთიერთობას;
- როგორ იყენებს ამ ვითარებას განანწყენებული მშობელი თავის სასარგებლოდ, როგორ ზემოქმედებს ბავშვზე და უარყოფითად განანწყობს მას მეორე მშობლის მიმართ;
- რატომ არ ემორჩილება უარყოფითი გავლენის მომხდენი მშობელი სასამართლო გადანწყვეტილებას და რატომ იჩივრება მეორე მშობელი ხშირად ყოველგვარი მიზეზის გარეშე;
- რატომ არ ეშინია ე.წ. განანწყენებულ და შურისმაძიებელ მშობელს ბავშვის მეორე მშობლის მიმართ უარყოფითად განწყობა;
- რატომ ვერ აგვარებენ ამგვარ სიტუაციას სამართალდამცავები, თუნდაც ეს ბავშვის კეთილდღეობას და საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგებოდეს.

ვიდრე ზემოთ დასმული კითხვების ანალიზზე გადავიდოდეთ, გვინდა მოკლედ მიმოვიხილოთ პრობლემის არსი.

მოსამართლე საქმის მასალებზე დაყრდნობით და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე თავად წყვეტს, თუ რა კითხვები დაუსვას ფსიქოლოგს და ბავშვის მშობლებს და რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელოს ობიექტური გადანწყვეტილების მისაღებად. თუმცა არსებობს გარკვეული ფსიქოლოგიური სტანდარტი, რაც უნდა იცოდეს მოსამართლემ დამატებით ამ საკითხთან დაკავშირებით.

ნებისმიერი ექსპერტიზის მიზანია დაეხმაროს სასამართლოს გაერკვეს იმ საკითხებში, რომელიც სპეციალურ ფსიქოლოგიურ ცოდნას საჭიროებს.

## **2.1 რატომ და როდის ტარდება ბავშვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზა**

ბავშვის ფსიქოლოგიური ექსპერტიზა როგორც წესი, ტარდება იმისთვის, რომ დავადგინოთ რომელ მშობელს ანიჭებს ბავშვი უპირატესობას და ვისთან სურს ცხოვრება მშობლების განქორწინების შემდეგ. ექსპერტიზის დროს ისიც შეიძლება დადგინდეს, თუ რამდენად ხშირად უნდა ბავშვს მშობლებთან შეხვედრა, აქვს თუ არა მას ფსიქოლოგიური ტრავმები და რატომ და ვინ ახდენს ბავშვზე ნეგატიურ გავლენას მისი გარემოცვიდან.

## **2.2 რატომ და როდის ტარდება მშობლების ფსიქოლოგიური ექსპერტიზა**

მშობლების ფსიქოლოგიური ექსპერტიზა როგორც წესი, ტარდება მაშინ, როდესაც სასამართლოს და სასამართლო პროცესის მონაწილეებს ყველა საფუძველი აქვთ ივარაუდონ, რომ ერთ-ერთი მშობელი ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვზე ან მოზარდზე ან აქვს ფსიქოლოგიური ან ფსიქიატრიული უკუჩვენება ბავშვთან ურთიერთობისას და მან არ შეიძლება დამოუკიდებლად აღზარდოს ბავშვი.

ბუნებრივია, რომ მშობლებს ეკრძალებათ ფიზიკური და ფსიქიკური ზიანის მიყენება ბავშვებისთვის და მათი ნორმალური განვითარების შეფერხება. ბავშვის აღზრდის და განათლების ყველა საკითხი, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და სხვა საკითხები მშობლების მიერ წყდება ერთობლივად ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და მათივე აზრის გათვალისწინებით.



უთანხმოების და დავის შემთხვევაში, ანუ თუ მშობლებმა ვერ დაამყარეს თანამშრომლობითი ურთიერთობები და ვერ შეძლეს მოლაპარაკება ერთმანეთთან ბავშვის აღზრდასა და მასთან ურთიერთობის რეჟიმთან დაკავშირებით, მაშინ მშობლები ამ საკითხს სასამართლოში არკვევენ.

### **2.3 ფსიქოლოგიური ასპექტები და ფაქტორები, რომლებიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს**

- ბავშვის მიჯაჭვულობა და დამოკიდებულება ორივე მშობელთან, ძმებთან და დებთან;
- ბავშვის ასაკი და ამ ასაკის შესაბამისი მოთხოვნები;
- მშობლების ზნეობრივი და პიროვნული თავისებურებები;
- ბავშვის განვითარებისთვის ოპტიმალური პირობების არსებობა;
- მშობლების საქმიანობა და რეჟიმი;
- მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა, ურთიერთობების წრე და სხვა;
- ითვალისწინებს თუ არა ორივე მშობელი ბავშვის ინტერესებს;
- რომელიმე მშობელი ხომ არ აზიანებს ბავშვის ფიზიკურ და ფსიქიკურ მდგომარეობას და აფერხებს მის ნორმალურ განვითარებას;
- რომელიმე მშობელი ხომ არ არის უხეში, სასტიკი ბავშვის მიმართ და ხომ არ ამცირებს მას და ა.შ.

სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ტარდება ფსიქოლოგიური ექსპერტიზა, რომლის სრულყოფილებაც მოსამართლემ უნდა შეამოწმოს.

მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია გამოვიკვლიოთ შემდეგი პარამეტრები:

- ბავშვის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური განვითარების მის ასაკთან შესაბამისობა;
- ბავშვის დამოკიდებულება მშობლებთან, ნათესავებთან და სოციალურ გარემოსთან;
- ბავშვის სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის უნარი;

- ბავშვის დამოუკიდებლობის დონე;
- ბავშვის სუგესტიურობის დონე და მისი უნარი დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება;
- ვისთან სურს ბავშვს ცხოვრება და რატომ;
- ბავშვის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები;
- მშობლების ფსიქიკური და ფსიქოლოგიური სტატუსი;
- ბავშვისთვის მეურვეობის განევის ძირითადი მოტივი;
- მშობლების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები.

ყველა გამოკვლევა ტარდება სპეციალიზებული და სტანდარტიზებული ფსიქოლოგიური მეთოდების დახმარებით. ფსიქოლოგიური ანალიზი უკეთდება ბავშვის სამედიცინო და სხვა დოკუმენტებს, დახასიათებას სკოლიდან და სხვა, ისევე როგორც ვიდეოჩანაწერებს და ფოტო მასალას.

სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში მყოფ ბავშვებს გამოკვლევა უტარდებათ თამაშის ფორმით. გამოკვლევაში ჭარბობს პროექციული მეთოდები და ფსიქოდიაგნოსტიკური საუბარი.

უფროსი ასაკის ბავშვებთან გამოიყენება კითხვარებიც.

ექსპერტიზის დროს მიზანშეწონილია ვიდეო გადაღების ჩატარება, რომელსაც დამატებითი ფსიქოლოგიური ანალიზი უტარდება.

ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის, რომ მშობლები ხშირად ერთმანეთს აბრალებენ ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ არაადეკვატურობას და ისეთ თვისებებს, რომელიც ზიანის მომტანია ბავშვისთვის და ხელს უშლის მის განვითარებას.

ბავშვის ადგილსამყოფელის დადგენისას ტარდება სახლის დათვალიერება და ბავშვის ცხოვრების რეჟიმის გაცნობა.

აგრეთვე უნდა გაირკვეს იცის თუ არა მშობელმა თუ რა მოსწონს და უყვარს ბავშვს, რა ჭირდება, როგორი მეთოდი უფრო ჭრის მასთან ურთიერთობაში და სხვა. ესმის თუ არა თავისი შვილის და აქვს თუ არა მასთან ნდობით სავსე კონტაქტი. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ისიც უნდა გაირკვეს თუ რითია მოტივირებული და განპირობებული სარჩელის აღძვრის ფაქტი – ბავშვზე ზრუნვით,

მისი ინტერესების დაცვით თუ ამას აქვს სხვა ფსიქოლოგიური მიზნები და მოტივები.

სწორედ ამ ფაქტორთა ერთობლიობას ენიჭება მნიშვნელობა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის და მეურვე მშობლის შერჩევას.

## **2.4 კითხვები, რომელიც უნდა დავსვათ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დროს:**

- როგორია ბავშვის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები;
- რომელი მშობლის მიმართ აქვს ბავშვს უფრო მეტი ფსიქოლოგიური და ემოციური მიჯაჭვულობა და რითია ეს განპირობებული;
- რამდენჯერ უნდა ბავშვს დედის ნახვა თუ ბავშვი მამასთან ცხოვრობს და პირიქით;
- როგორ აღიქვამს ბავშვი მშობლების კონფლიქტს;
- როგორია ბავშვის შფოთვის დონე და რა ფსიქოლოგიური ფაქტორებითაა ეს გამოწვეული;
- როგორი დამოკიდებულება აქვს ბავშვს თითოეულ მშობელთან;
- როგორია ბავშვის დამოკიდებულება ოჯახის სხვა წევრების მიმართ (პაპა, ბებია და სხვა ნათესავები);
- როგორია ბავშვის დამოკიდებულება დედინაცვლის ან მამინაცვლის მიმართ;
- ბავშვის ფსიქიკისთვის ვისთან ცხოვრება იქნება უფრო ოპტიმალური;
- რომელიმე მშობელთან ურთიერთობა ხომ არ დააზიანებს ბავშვის ფსიქიკას;
- რომელ მშობელს აქვს ბავშვზე გავლენა;
- რომელი მშობლის დაკარგვა უფრო ტრავმული იქნება ბავშვისთვის;
- რატომ მიიღო ბავშვმა გადანყვეტილება კონკრეტულ მშობელთან ცხოვრების შესახებ, თვითონ თუ გავლენის შედეგად;
- შეესატყვისება თუ არა ბავშვის ფსიქიკური განვითარების დო-

ნე მის ასაკს;

- ხომ არ ავლენს ბავშვი ჭარბი სუგესტიურობის ნიშნებს;
- როგორია დედის ან მამის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები და როგორ გავლენას ახდენენ ისინი ბავშვზე;
- არის თუ არა დედის, მამის ან მეურვეის ოჯახში არსებული მიკროკლიმატი ბავშვის განვითარებისთვის ოპტიმალური და ხელსაყრელი;
- აქვს თუ არა მამას, დედას ან მეურვეს აგრესიული და იმპულსური ქცევისკენ მიდრეკილება ან მოჭარბებული აგრესიის ნიშნები;
- ხომ არ ავლენს მამა, დედა ან მეურვე გონებრივი არასრულფასოვნების ნიშნებს, რაც მათ ხელს შეუშლის ბავშვის აღზრდაში;

#### **მნიშვნელოვანია შემდეგი კითხვების გათვალისწინებაც:**

- რატომ არის უკეთესი გაერთიანებული მეურვეობის ფორმის შერჩევა;
- რა შემთხვევაში შეიძლება გაერთიანებული მეურვეობის ფორმის შერჩევა;
- რა შემთხვევაში არ არის მიზანშეწონილი გაერთიანებული მეურვეობის ფორმის შერჩევა.

## თავი III

### მეურვის შერჩევა

ბავშვებისთვის მეურვე მშობლის შერჩევა მეტად მნიშვნელოვანი და წინააღმდეგობებით სავსე თემაა, რადგან მეურვეობის განსაზღვრისას რთული ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და პრაქტიკული საკითხია გასათვალისწინებელი.

ბევრი ქვეყნის სასამართლო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ მშობლებს ერთნაირი უფლებები აქვთ შვილზე ან შვილებზე. სასამართლო ყოველთვის ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სქესს, მაგრამ ფსიქოლოგების აზრით, ბავშვი განსაკუთრებით, გოგონა 7 წლამდე უნდა იზრდებოდეს დედასთან თუ მშობელს ამის სურვილი აქვს და მზად არის დედის როლის შესასრულებლად, თუმცა გარდა ბიოლოგიური პერსპექტივისა, რომელიც მხედველობაშია მისაღები დედისა და განსაკუთრებით, მცირეწლოვანი ბავშვის ურთიერთობისას, გათვალისწინებული უნდა იყოს ბევრი სხვა ფაქტორიც:

- რომელ მშობელს აქვს მეურვისთვის უფრო შესაფერისი ხასიათი და ქარაქტეროლოგიური თავისებურებები;
- როგორია ბავშვის ურთიერთობა მშობელთან;
- როგორია მშობლის ბავშვის აღზრდის უნარ-ჩვევები;
- ხომ არა აქვს რომელიმე მეურვე მშობელს რაიმე დაავადება ან მანე ჩვევა, რომელიც დააზიანებს ბავშვს;
- რომელი მშობელი უზრუნველყოფს ბავშვს უკეთესი პირობებით და გარემოთი;
- ხომ არ არის ბავშვი რომელიმე მშობელზე განსაკუთრებით მიჯაჭვული;
- ბავშვის საჭიროებებს და მოთხოვნილებებს, რომელი მშობელი უფრო ადეკვატურად გაართმევს თავს;
- რომელ მშობელს აქვს უკეთესი საცხოვრებელი პირობები;
- რომელ მშობელს აქვს უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა;
- როგორია მშობლების სამუშაო გამოცდილება და რომელი უფრო უზრუნველყოფილია სამუშაოთი;

- რა არის მეურვეობის მიღების მთავარი მოტივი;
- რომელი მშობელი მისცემს ბავშვს უფლებას ჰქონდეს შეუფერხებელი ურთიერთობა და არ განაწყობს ბავშვს არამეურვე მშობლისა და არამეურვე მშობლის ოჯახის მიმართ;
- ბავშვის მოვლის გამოცდილება;
- მეურვეობის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რომელ მშობელს შეუძლია ბავშვისთვის უკეთესი განათლების მიცემა, სამედიცინო დახმარების განევა და უსაფრთხო გარემოს შექმნა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ, რომ მიჯაჭვულობის გარდა, ბავშვს სჭირდება საკვები, ჭერი, ტანსაცმელი, ჯანმრთელობაზე ზრუნვა, პირადი ჰიგიენა, განათლება და ა.შ. და ამის იგნორირება არ შეიძლება;
- იმ შემთხვევაში თუ ბავშვისთვის რომელიმე მშობელთან ურთიერთობა ზიანის მომტანია, მაშინ ბუნებრივია ამ კონკრეტული მშობლისთვის ბავშვის გადაცემა არ შეიძლება, მაგრამ თუ ყოველივე ზემოაღნიშნულს უკეთესად აკმაყოფილებს ის მშობელი, რომელზეც ბავშვი ნაკლებ მიჯაჭვულია, ვიდრე მეორე მშობელზე, მაგრამ მასთანაც აქვს თბილი და მოსიყვარულე ურთიერთობა, მაშინ რასაკვირველია, მშობელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, მით უფრო რომ უსაფრთხოებისა და „მიჯაჭვულობის“ განცდა ამ მშობლის მიმართაც ჩამოყალიბდება.

უამრავი გამოკვლევა ადასტურებს, რომ ბავშვის კეთილდღეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედის მიერ მშობლის ფუნქციის სრულყოფილად შესრულებას, ანუ მთავარი მეურვის როლში ყოფნას.<sup>2</sup> ბუნებრივია, რომ ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს არამეურვე მამის როლს და მასთან ურთიერთობას - თავისუფალი დროის მასთან გატარებას, გასართობად წასვლას. დედის ფუნქცია კი ამის გარდა, ბავშვზე ზრუნვას, მის კვებას, პირადი ჰიგიენის დაცვას, დაძინებას, მის ყოველდღიურ საჭიროებებზე ზრუნვასაც მოიცავს, მით უფრო, როდესაც საუბარია მცირეწლოვან ბავშვზე და განსაკუთრებით გოგონაზე, თუმცა, არის უამრავი შემთხვევა, როდესაც მამას ენიჭება უპირატესობა, იმიტომ რომ უკეთ აკმაყოფილებს ზემოთ დასახელებულ პარამეტრებს.

---

<sup>2</sup> Amato, 2000.

### 3.1 ყველაზე ხშირად რას ექცევა ყურადღება ბავშვის მეურვის შერჩევისას

- აქვს თუ არა ბავშვს მიჯაჭვულობის და ერთობის განცდა ორივე მშობელთან?
- როგორი რეაქცია ექნება ბავშვს თუ ის დროის მნიშვნელოვან ნაწილს გაატარებს პირველადი მიჯაჭვულობის ობიექტის გარეშე?

### 3.2 „მიჯაჭვულობის“ ფენომენი

- „მიჯაჭვულობა“ ბავშვისა და მასზე მზრუნველის სპეციფიკური ურთიერთობაა, რომელიც ბავშვს უსაფრთხოებითა და დაცულობის განცდით უზრუნველყოფს. პატარებს უმუშავდებათ „მიჯაჭვულობების“ იერარქია სხვადასხვა მომვლელის მიმართ, მაგ.: დედა, მამა და ძიძა ან იმ მომვლელის მიმართ, რომელიც უმეტესწილად სწრაფად და გულისხმიერად რეაგირებს ბავშვის პრობლემაზე, ტირილზე ან ტკივილზე, აყალიბებს „მიჯაჭვულობის“ უსაფრთხო და დაცულ ფორმას და არის ე.წ. ორგანიზებული „მიჯაჭვულობა“, რომელთანაც დაკავშირებულია ბავშვის პოზიტიური განვითარება;
- ითვლება, რომ მამრობითი სქესის ბავშვები უფრო ხშირად ირჩევენ მამას, როგორც მიჯაჭვულობის ობიექტს, გოგონებისგან განსხვავებით და საზოგადოდ, ბავშვები მამის მიმართ იჩენენ „მიჯაჭვულობას“ 6-7 წლიდან 12-14 წლამდე. ჩვილები და მცირეწლოვანი ბავშვები ნაკლებად არიან „მიჯაჭვულები“ მამას და უპირატესობას ანიჭებენ დედას, როგორც „მიჯაჭვულობის“ ობიექტს;<sup>3</sup>
- „მიჯაჭვულობა“ ძირითადად არის უსაფრთხოების განცდა, ნდობა და ცენტრალურია ბავშვის ემოციური, მენტალური და სოციალური განვითარებისთვის.<sup>4</sup> ბავშვის განვითარებისადმი მიძღვნილი კვლევების თანახმად, რაც უფრო მჭიდრო და მყარია დედასთან კავშირი, მით უფრო უსაფრთხოდ და საკუთარ თავში დარწმუნებულად გრძნობს თავს ბავშვი, უკვე რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მცირეწლოვანი ბავშვის დედასთან მყარი კავშირი ავითარებს მის სოციალურ კომპეტენციას, აყალიბებს ემოციურ სტაბილურობას და ავითარებს გარემოსთან ადაპტაციის უნარს;

<sup>3</sup> Wikipedia.

<sup>4</sup> Mother – Child Bonding v. Father-Child Bonding – Katrina Miller 2014.

- კვლევების თანახმად, მამები მცირეწლოვანი ბავშვების მიერ უფრო მეტად აღიქმებიან, როგორც „თამაშის მეგობრები“, ვიდრე „მომვლელი“. როგორც წესი, დისტრესის მდგომარეობაში მყოფი ბავშვი მიმართავს დედას დასამშვიდებლად და მიმართავს მამას, როდესაც კარგ გუნებაზეა, რათა ითამაშოს და გაერთოს.

ფსიქოლოგიური ასპექტით, ე.წ. „მიჯაჭვულობის“ ხარისხს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების, განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვების კეთილდღეობისთვის (მიჯაჭვულობის ჩამოყალიბება თავდაპირველად ბიოლოგიურად განპირობებული პროცესია). თუმცა, მცირეწლოვან ბავშვს, როგორც წესი, უყალიბდება მრავალმხრივი მიჯაჭვულობა დედის, მამის, პაპა-ბებიის, აღმზრდელის და სხვათა მიმართ. თუმცა ბავშვს მაინც ჰყავს მიჯაჭვულობის ობიექტი ან ობიექტები, რომელთაც ანიჭებს უპირატესობას და მათგან ელის დამშვიდებას და ტკივილის შემსუბუქებას და ესენი ხშირ შემთხვევაში, არიან დედა და მამა.<sup>5</sup> თუ მეორე ხარისხის მიჯაჭვულობის მქონე ფიგურას შედარებით ნაკლებად ხშირი კონტაქტი აქვს ბავშვთან, კონტაქტის სიხშირე უნდა გაიზარდოს ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად.<sup>6</sup>

Ainsworth, Bowlby, and others ამტკიცებენ, რომ როდესაც ბავშვს განსაკუთრებით ნ წლამდე, ჩამოვამორებთ პირველადი მიჯაჭვულობის ფიგურას ბავშვის სოციალური და ემოციური განვითარება შეიძლება შეფერხდეს და ბავშვმა შეიცვალოს ქცევის სტილი, გახდეს უფრო გულჩათხრობილი, მონყენილი და ა.შ. ბავშვები ზოგჯერ მცირეხნიან დაშორებასაც შფოთვითა და ალგზნებით ხვდებიან. ითვლება, რომ ბავშვმა უნდა დაიძინოს დედის გვერდით და დედა მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი ღამის განმავლობაში, თუმცა გამონაკლისებიც არსებობს და ბავშვი ზოგჯერ მამას ანიჭებს უპირატესობას.

### **3.3 ბავშვის საცხოვრებელი ადგილის შერჩევა და რა ტიპის კითხვები უნდა დავსვათ ამ დროს**

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მეურვისა და საცხოვრე-

<sup>5</sup> Robert E Emery – Renegotiating Family Relationships – Divorce, Child Custody and Mediation – 2011.

<sup>6</sup> Joseph Novinski – Helping Children Survive Divorce 2011.



ბელი ადგილის სწორად განსაზღვრას, რადგან ეს აუცილებლად მის შემდგომ ცხოვრებას დალს დაასვამს. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა შეინარჩუნოს მყარი და თბილი ურთიერთობა ორივე მშობელთან.<sup>7</sup>

ძირითადი კრიტერიუმები გარდა ფსიქოლოგიურისა, რომელიც უნდა იყოს გათვალისწინებული ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, არის შემდეგი: ხომ არ არის მშობელი ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე, როგორი კლიმატია ოჯახში და როგორია სოციალური ინფრასტრუქტურა.

ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს მშობლის ჩართულობას შვილის ცხოვრებაში. ამ საკითხის გასარკვევად კარგია შემდეგი კითხვების გამოყენება:

- იცით თუ არა თქვენი შვილის პედიატრის სახელი ანუ გაქვთ თუ არა ურთიერთობა თქვენი შვილის მკურნალ ექიმთან?
- რამდენად ხშირად დაგყავთ ბავშვი პედიატრთან?
- გაქვთ თუ არა კონტაქტი თქვენი შვილის საბავშვო ბაღის აღმზრდელთან ან თუ აკონტროლებთ მის აქტივობას და ქცევას საბავშვო ბაღში?
- იცნობთ თუ არა თქვენი შვილის მასწავლებელს?
- იღებს თუ არა თქვენი შვილი წამლებს და რომელ წამლებს იღებს ან რომელი წამლები სჭირდება?
- რომელი და რა სიმძიმის დაავადებები აქვს გადატანილი?
- რამდენს იწონის თქვენი შვილი, რა სიმალლისაა?
- რამდენ დროს ატარებთ ბავშვთან თუ ის ავად არის?
- რომელი სატელევიზიო გადაცემები მოსწონს თქვენ შვილს?
- რამდენად ხშირად უკითხავთ წიგნებს ან უყვებით ზღაპრებს?
- თუ აქცევთ ყურადღებას დილით გაღვიძებისას და ღამით დაძინებისას, ანუ თუ ეხმარებით მას პირად ჰიგიენაში?
- რამდენად ხშირად უმზადებთ საჭმელს?

---

<sup>7</sup> Amanda Dubois – “Children and Divorce” 2012.

- რომელი კერძი უყვარს თქვენ შვილს?
- რამდენად ხშირად ყიდულობთ მისთვის ტანსაცმელს და თუ იცით მისი ტანსაცმლის ზომა?
- რა ჰქვიათ თქვენი შვილის მეგობრებს?
- როგორ ემზადებით მისი დაბადების დღისთვის და ვინ უხდის თქვენ შვილს დაბადების დღეებს და ა.შ.

ამგვარი კითხვები საჭიროა ბავშვის აღზრდაში მშობლის ჩართულობის ხარისხის დასადგენად, რადგან ბავშვს შესაძლოა ორივე მშობელი უყვარდეს, მაგრამ მას მაინც უფრო ძლიერი მიჯაჭვულობა აქვს იმ მშობელთან, რომელიც მის ცხოვრებაში უფრო მეტ მონაწილეობას იღებს და მის ყოველდღიურ საჭიროებებს აგვარებს. ამ ფუნქციის მატარებელი მშობლისგან გამიჯვნა ბავშვში შფოთვას და საფრთხის შეგრძნებას იწვევს.

ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ბავშვის საუკეთესო ინტერესები. აუცილებელია ორივე მშობლის საცხოვრებელი პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის შემოწმება. აგრეთვე მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობის, დაკავებულობის ხარისხის, მათი დღის რეჟიმის, ახალი ქორწინების და ა.შ. გათვალისწინება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ბავშვის ასაკი, სქესი, მშობლებთან ურთიერთობის ხასიათი, ბავშვის განსაკუთრებული ემოციური მიჯაჭვულობა რომელიმე მშობლისადმი, თუ ამგვარი მიჯაჭვულობა არსებობს და მშობლების პიროვნული თავისებურებები და მახასიათებლები.

### **3.4 მეურვე მშობლის ძირითადი მოვალეობები**

- აქტიურად იყოს ჩართული ბავშვის ცხოვრებაში;
- შეუქმნას ბავშვს კომფორტული და უსაფრთხო გარემო;
- არ გაუფუჭოს ურთიერთობა არამეურვე მშობელთან, არ განაწყოს მის წინააღმდეგ და ხელი არ შეუშალოს არამეურვე მშობელთან და მისი ოჯახის წევრებთან ბავშვის ურთიერთობას.

## თავი IV

### როგორია არამეურვე მშობლის მიერ ბავშვის ნახვის ოპტიმალური გრაფიკი

ბავშვის ნახვის გრაფიკი ფუძნდება ბავშვისთვის ან ბავშვებისთვის ოპტიმალურ პირობებზე. ბუნებრივია, რომ განქორწინებით არ მთავრდება დედის, მამისა და შვილის დამოკიდებულებები და ორივე მშობელმა უნდა გააგრძელოს ურთიერთობა ბავშვთან, მაგრამ როდესაც მშობლები ვერ თანხმდებიან ბავშვის ნახვის გრაფიკზე, მაშინ გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ბავშვის/ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე. ზოგადად, გრაფიკი შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი:

- ბავშვის ნახვა ორ კვირაში ერთხელ;
- კვირაში ერთხელ ლამისთევის გარეშე ან ლამისთევით;
- 2-დან 6 კვირამდე ზაფხულის თვეებში;
- ყოველ მეორე შაბათ-კვირა დღეს;
- სადღესასწაულო დღეებში და ა.შ.

გრაფიკი დგება ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე და ისე, როგორც უკეთესი იქნება ბავშვისთვის, მისი ცხოვრების წესის, ფსიქოლოგიური თავისებურებების და ობიექტურად არსებული შემდეგი ვითარების გათვალისწინებით: საცხოვრებელი პირობები, შეჩვეული და ფსიქოლოგიურად კომფორტული გარემო, ახლობლებთან სიახლოვე, მეურვე მშობელთან დაშორების შიში, ამით გამონეული დისკომფორტი და ა.შ.

ზოგიერთ შემთხვევაში მამას შეუძლია ბავშვის ნახვა ზედამხედველთან ერთად, ეს შეიძლება იყოს ბავშვის ძიძა, დედა, პაპა ან ბებია, სასამართლოს წარმომადგენელი ან სოციალური მუშაკი.

როდესაც ბავშვები იზრდებიან, გრაფიკიც შესაბამისად იცვლება. რასაკვირველია, სასურველია, რომ ბავშვი ორივე მშობელთან ინარჩუნებდეს კარგ ურთიერთობას, რადგან შემდგომში ეს შეიძლება გარკვეული ნეგატიური შედეგის გამომწვევი გახდეს.

იშვიათად, გრაფიკი დგება 50/50-ზე ანუ კვირა იყოფა მშობლებს შორის თითქმის თანაბრად.

ბავშვის შედარებით დიდი ხნით (ანუ 30 დღით) არამეურვე მშობელთან დარჩენა ძირითადად, მიზანშეწონილია, როდესაც არამეურვე მშობელი სხვა ქალაქში ცხოვრობს და ბავშვის ნახვის საშუალება წელიწადის განმავლობაში არ აქვს ან ძალიან იშვიათად აქვს.

თუ ბავშვი 12 წლის არის, მაშინ მოსამართლე როგორც წესი, ბავშვს ეკითხება, ვისთან უნდა ცხოვრება ან როგორი გრაფიკი უნდა რომ ჰქონდეს.

არამეურვე მშობლის მიერ ბავშვის ნახვის გრაფიკი დაფუძნებული უნდა იყოს ბავშვის ასაკის, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და მასთან ურთიერთობის ფორმის ან სიახლოვის ხარისხის გათვალისწინებით, რათა ბავშვს არ მიადგეს ფსიქოლოგიური ზიანი. თუ ბავშვი, განსაკუთრებით მცირეწლოვანი, უფრო მეტად არის შეჩვეული რომელიმე მშობელს, მაშინ მასთან ან შეჩვეულ გარემოსთან დიდი ხნით დაშორება, შესაძლოა გახდეს ბავშვის რეგრესის და ზოგ შემთხვევაში, დეპრესიის გამომწვევიც კი. ასეთ შემთხვევაში, ბავშვს უნდა მიეცეს დრო მეორე მშობელთან შესაჩვევად და განსხვავებულ სიტუაციასთან მოსარგებად.

ფსიქოლოგების უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ ძალიან პატარა ბავშვები ღამით არ უნდა მიდიოდნენ ჩვეული გარემოდან და პირველადი მეურვისგან. ყოველთვის უმჯობესია, როდესაც ბავშვი ერთ გარემოს ეჩვევა და ერთ გარემოში იზრდება. არსებობს „ჩიტის ბუდის“ ტიპის მეურვეობის ცნება, როდესაც ბავშვი ერთ სახლში ცხოვრობს და განქორწინებული მშობლები მასთან რიგრიგობით რჩებიან და არ უცვლიან საცხოვრებელ გარემოს, რათა ბავშვს ერთი სტაბილური სახლი ჰქონდეს.

„ჩიტის ბუდის“ პრინციპის გამოყენება ბავშვის აღზრდისას, ბავშვზე ცენტრირებული მეთოდია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმის მაგივრად, რომ ბავშვი მოერგოს თავის მშობლებს და ორ განსხვავებულ სახლში იცხოვროს, ის რჩება იმ სახლში, სადაც მანამდე ცხოვრობდა. მაშინ, როდესაც ერთი მშობელი რჩება ბავშვთან ან ბავშვებთან სახლში, მეორე მიდის სხვა სახლში. ეს არის ახალი, მაგრამ საკმაოდ შედეგიანი მეთოდი, რადგან ბავშვები ნაკლებად ითრგუნებიან ასეთ შემთხვევაში და არ უხდებათ ჩვეული ცხოვრების სტილის და რეჟიმის შეცვლა. ამგვარი მეთოდის გამოყენება შეიძლება დროებითიც იყოს, რომ ბავშვებმა მოახერხონ სიტუაცი-

ასთან შეგუება და უფრო მალე გამოუმუშავდათ განქორწინებულ ოჯახში ცხოვრების მზაობა

ბუნებრივია, რომ როგორც ყველა მეთოდი, ისე „ჩიტის ბუდის“ პრინციპი ყველა მშობლისთვის მისაღები ვერ გახდება. ეს მეთოდი, ისევე როგორც გაერთიანებული მეურვეობა, ამართლებს მაშინ, როდესაც მშობლები ერთმანეთთან მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებენ.

ეს მეთოდი, ისევე როგორც სხვა დანარჩენი, აღარ არის ხოლმე საჭირო, მაშინ როდესაც ყველაზე უმცროსი ბავშვები სრულწლოვანებას აღწევენ.

მკვლევარები ამ მეთოდის უპირატესობას ხედავენ იმაშიც, რომ ბავშვი ან ბავშვები რჩებიან მათ გარემოში, დადიან იგივე სკოლაში, ჰყავთ იგივე უბნის ექიმი, მეზობლები და სკოლიდან წასვლის ან უბნის გამოცვლის გამო არ კარგავენ ძველ მეგობრებს და ორივე მშობელთან თითქმის იგივე ურთიერთობა აქვთ, როგორც ჰქონდათ.

ბავშვისთვის ყველაზე მთავარია სტაბილურობის შეგრძნება, რომელსაც ის კარგავს, როდესაც კვირის მანძილზე მუდმივად უხდება ერთი სახლიდან მეორეში სიარული. ამ მეთოდის გამოყენებისას კი, ბავშვს არ უხდება უცხო გარემოსთან შეგუება, რომელსაც ის ხშირად, როგორც მტრულს, ისე აღიქვამს. „ჩიტის ბუდის“ სტილის მეურვეობის გამოყენებისას, ბავშვები უფრო უმტკივნეულოდ ეგუებიან შექმნილ ვითარებას.

ბევრი მშობელი ამბობს, რომ ამას იმიტომ აკეთებს, რომ ბავშვებმა თავი ძირითადი ოჯახიდან მონყვეტილად არ იგრძნონ, რომ ისინი ისევე თავის ბუდეში იყვნენ და შეინარჩუნონ ოჯახური მთლიანობის განცდა. მშობლები ერთმანეთს ხვდებიან მათი რიგის შეცვლის დროს და ერთად საუბრობენ ან სადილობენ. მათ სახლს სტუმრობენ იგივე მეგობრები, ნათესავები, მეზობლები, ის ადამიანები, ვინც განქორწინებამდეც მოდიოდნენ მათთან. დაბადების დღეებს და დღესასწაულებს მშობლები ხშირად ერთად ატარებენ და ეს ყველაფერი უფრო აადვილებს ადაპტაციას ახალ და არასასურველ გარემოსთან. ბუნებრივია, რომ მშობლების ახალი პარტნიორი, სტუმრადაც რომ მივიდეს, ბუდეში ღამეს ვერ გაათევს.

„ჩიტის ბუდის“ პრინციპის ტიპის მეურვეობა, როგორც უკვე

ვთქვით, შესაძლებელია მაშინ, როდესაც მშობლები პატივისცემით ეპყრობიან ერთმანეთს და არა აქვთ კონფლიქტი.

ამგვარი ტიპის მეურვეობის დროს, ყოფილი მეუღლეები იღებენ გადანყვეტილებას, თუ ვინ როდის და რამდენჯერ იმორიგევენს ე.წ. „ჩიტის ბუდეში“. ადგენენ მორიგეობის გრაფიკს, აგვარებენ ეკონომიკურ საკითხებს, თანხმდებიან იმაზე, თუ ვინ დაფარავს ხარჯებს.

რაც დრო გადის, ეს მეთოდი მით უფრო მეტად პოპულარული ხდება აშშ-ში, მით უფრო, რომ ჩიტის ბუდის ტიპის მეურვეობის სხვა ტიპის მეურვეობით შეცვლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, როდესაც ამას ყოფილი მეუღლეები გადანყვეტენ.

მშობლების განქორწინება არღვევს ბავშვის დაცულობის განცდას და ყველაზე კარგი ასეთ შემთხვევაში არის ის, როდესაც მშობლები ინარჩუნებენ მეგობრულ ურთიერთობას, ესაუბრებიან ერთმანეთს ბავშვის/ბავშვების პრობლემებზე და ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, ისე რომ ბავშვები პრაქტიკულად არ იცვლიან გარემოს. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის გარემოსთან მიჩვევას და არა მარტო არამეურვე მშობელთან, არამედ მის გარემოცვასთან, რასაც დიდი ოჯახი ჰქვია (პაპა, ბებია, ბიძა, დეიდა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ა.შ.). ბავშვები და განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვები ხშირად მწვავედ განიცდიან გარემოსა და საკონტაქტო პირის ცვლილებას. მით უფრო, რომ განქორწინებული მშობლების შვილები ხშირად ისედაც გაცილებით უფრო მონყვლადები არიან, ვიდრე სხვა ბავშვები. ბავშვები, განსაკუთრებით მცირეწლოვანნი, მწვავედ განიცდიან თუნდაც მცირე ხნით დაშორებას ჩვეულ გარემოსთან, საკონტაქტო პირთან და მით უფრო მეურვე მშობელთან. ნახვის გრაფიკმა ბავშვის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი და არა შეაფერხოს იგი. ნახვის გრაფიკი ისე უნდა იყოს შედგენილი ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, რომ მისთვის სანერვიულო კი არ გახდეს, არამედ იყოს დადებითი ემოციის წყარო, რაც თავად არამეურვე მშობლისთვისაც სასურველია, რადგან ეს შეუწყობს შვილთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. თუ არამეურვე მშობელს უნდა ბავშვის ფსიქოლოგიური სიჯანსაღის შენარჩუნება, მან უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- უნდა იურთიერთოს ბავშვთან, ბავშვისთვის უსაფრთხო გარემოში;

- თანდათანობით უნდა გაზარდოს მისი ნახვის დრო;
- ღამით დატოვოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშვი ამისთვის მზად იქნება.

ბავშვისთვის ოპტიმალურია (განსაკუთრებით ურთიერთობის სანყის ეტაპზე), რომ არამეურვე მშობელმა ის მისთვის ნაცნობ გარემოში მოინახულოს და შეიჩვიოს. მაშინაც კი, როდესაც ბავშვი პროტესტს არ აცხადებს ღამით არამეურვე მშობელთან დარჩენაზე, სანამ ბავშვი მცირეწლოვანია, უმჯობესია მხოლოდ ერთი ღამით მისი წაყვანა, რათა არ მოხდეს ხანგრძლივად ბავშვის დაშორება მეურვე მშობელთან. სასკოლო ასაკის ბავშვს უკვე შეუძლია ორჯერ ან სამჯერ დარჩეს ღამით არამეურვე მშობელთან, თუ ეს მის სასკოლო გრაფიკს არ არღვევს და სწავლაში არ ეშლება ხელი. მხოლოდ იმის მერე, რაც ბავშვი ორ ან სამ ღამეს მაინც ატარებს არამეურვე მშობელთან და მის გარემოცვასთან შესაძლებელი ხდება ბავშვის ერთი ან ორი კვირით გაშვება არდადეგების განმავლობაში არამეურვე მშობლისთვის და მისი ოჯახისთვის.

ითვლება, რომ ზოგჯერ კვირაში ერთი ვიზიტი არამეურვე მშობლის სახლში სრულიად საკმარისია მცირეწლოვანი ბავშვისთვის, მით უფრო, თუ ის არ არის არამეურვე მშობლის ოჯახში გაზრდილი.

რასაკვირველია, სასურველია, რომ ბავშვს ჰქონდეს მატერიალური და ემოციური მხარდაჭერა ორივე მშობლის მხრიდან, მაგრამ ეს მეტად ფაქიზი პროცესია და გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა გარემოება და ბავშვის ფსიქოლოგიური და ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რადგან მშობლების ბავშვთან ურთიერთობა პირველ რიგში ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს და უნდა წარმოადგენდეს ბავშვისთვის სასურველ და ბუნებრივ პროცესს.

ცალსახად, ამ ასაკში არამეურვე მშობლისთვის ღამისთევით ბავშვის/ბავშვების გაშვება მეურვე მშობლის გარეშე, მით უფრო შეუწყველ გარემოში და შეუჩვეველ არამეურვე მშობელთან, მიზანშეწონილი არ არის. ძილი საერთოდ ფაქიზი პროცესია, განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვებისთვის. მით უფრო, რომ ღამე არის ის დრო, როდესაც დღისით განდევნილი შიშები იჩენენ თავს, ბავშვები იწყებენ ჭირვეულობას და დრო სჭირდებათ დასაძინებლად. განსაკუთრებით საჭიროა მათთვის შეჩვეული ხმის გაგონება, რო-

მელიც მათი უსაფრთხოების სანინდარია, იმიტომ ითხოვენ ხშირად ზღაპრის ან ამბის მოყოლას (ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ჩანასახს უკვე ესმის დედის ხმა და ახალშობილები საკუთარი დედის ხმას ამჯობინებენ ნებისმიერი ქალის ხმას).<sup>8</sup>

ზოგჯერ ბავშვები თხოვენ რომელიმე მშობელს მათ გვერდით დანევს ან დაჯდეს, სანამ დაიძინებენ. ბუნებრივია, რომ დედა ყველაზე მეტად უქმნის ამ ასაკის ბავშვებს დაცულობის განცდას, რომელიც აუცილებელია ჯანსაღი ძილისთვის, თუ ბავშვები თავიდანვე არ არიან შეჩვეულები მეორე მშობლის, სხვა ახლო ნათესავის ან ძიძის თანდასწრებით დაძინებას.

#### 4.1 გაერთიანებული მეურვეობის უპირატესობა

მოკლედ შევჩერდეთ გაერთიანებული მეურვეობის საკითხზე, რადგან ეს ფორმა ყველაზე ოპტიმალურია და დღეს სულ უფრო ხშირად მიმართავენ ამგვარ პრაქტიკას,<sup>9</sup> რომელიც გულისხმობს ორივე მშობლის თანაბარ პირობებში ჩაყენებას, ანუ ეს ნიშნავს, რომ ბავშვი თანაბრად ცხოვრობს ორივე სახლში, რისი გრაფიკიც მშობლების შეთანხმებით დგება, მათი შესაძლებლობების მიხედვით. ორივე მშობელს ყოველდღე აქვს ბავშვის ნახვის და მის ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, ბავშვი შეიძლება დღეგამოშვებით რჩებოდეს, ხან ერთ, ხან მეორე მშობელთან ან ზაფხულს ატარებდეს მამასთან, რომელიც დაკავებულია და წლის განმავლობაში არ სცალია.

ამგვარი მეურვეობის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვები მყარ და ახლო ურთიერთობას ინარჩუნებენ ორივე მშობელთან.

გაერთიანებული მეურვეობა ახდენს ბავშვების მიერ დანაკარგის განცდის ნიველირებას და ტრავმის შერბილებას. ცნობილია, რომ ბავშვებს, რომელთაც თანაბარი და უპრობლემო ურთიერთობა აქვთ ორივე მშობელთან ნაკლებად აქვთ დანაკარგის, უარყოფის შეგრძნება და დაბალი თვითშეფასება. ფსიქოლოგების და სოციალური მუშაკების დაკვირვება ცხადყოფს, რომ როდესაც ბავშვები ძირითადად, ერთ მშობელთან იმყოფებიან, უფრო მიდრეკილნი არი-

---

<sup>8</sup> DChasper and Effer, 1980.

<sup>9</sup> Roz Zinner – Joint Physical Custody, 2013.



ან დეპრესიისკენ, უჭირთ კომუნიკაციის დამყარება და გარემოსთან ადაპტაცია, აქვთ აგრესიის უფრო მაღალი დონე, ხშირად გულჩათხრობილები ხდებიან და ავლენენ უფრო მეტ სომატურ სიმპტომსა თუ ჩივილს.

ბავშვის რეჟიმი და მშობლებთან ყოფნის დღეები და პერიოდები ზუსტად უნდა იქნას განსაზღვრული. ამიტომ უკეთესია, როდესაც ბავშვი დიდ პერიოდს ატარებს ხან ერთ, ხან მეორე მშობელთან და ამ დროს სისტემატურად და შეფერხების გარეშე კონტაქტობს (ტელეფონით, სკაიპით) მეორე მშობელთან.

ბავშვის ფსიქოლოგიური, მენტალური და ფიზიკური ჯანმრთელობისთვის უმჯობესია, მან დროის თითქმის თანაბარი რაოდენობა გაატაროს ორივე მშობელთან. აქედან გამომდინარე, ოპტიმალურ პირობებში ბავშვები დროის 50%-ს დედასთან ატარებენ და 50%-ს მამასთან.

#### **4.2 რა უნდა გავითვალისწინოთ მამინაცვალთან/ დედინაცვალთან მიმართებაში**

განქორწინებული მშობლები ხშირად მეორედ ქორწინებიდან და პირველი ქორწინებიდან ბავშვებს უხდებათ ოჯახის ახალ წევრებთან, დედინაცვალთან ან მამინაცვალთან ურთიერთობა, რაც მეტად მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, რომ რაც უფრო კეთილგანწყობილი და მშვიდობიანი ურთიერთობა ჩამოყალიბდება მამინაცვალს ან დედინაცვალს და გერებს შორის, მით უფრო უკეთესია ბავშვის კეთილდღეობისთვის. ურთიერთობის ჩამოყალიბება ნაცვალ მშობლებსა და გერებს შორის, განსაკუთრებით თუ ბავშვი მცირეწლოვანია, რაც უფრო ადრე დაიწყება, მით უკეთესია, რადგან ბავშვი უკეთესად ეგუება ნაცვალ მშობელს.<sup>10</sup>

ნაცვალ მშობლებთან კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება, სულაც არ ნიშნავს ურთიერთობის გაფუჭებას ბიოლოგიურ მშობლებთან, არ გამორიცხავს ახლო ურთიერთობას მასთან და პირიქით. ბავშვის კეთილდღეობისთვის კეთილგანწყობილი და ჯანსაღი ურთიერთობა, როგორც რა თქმა უნდა ბიოლოგიურ, ისე ნაცვალ მშობლებთან სასურველი და აუცილებელია.

---

<sup>10</sup> Erica Loop – How to Strengthen the Bond Between a Stepfather and Stepdaughter – 2014.

სასურველია, ბიოლოგიური მამა განიხილავდეს მამინაცვალს, როგორც მისი ქალიშვილის უსაფრთხოების წყაროს და დამცველს,<sup>11</sup> და პირიქით, იგივე შეიძლება ითქვას დედაზეც.

### 4.3 ურთიერთობა ნახევარძებთან და ძმებთან

1990-იანი წლებიდან, როგორც ფსიქოლოგიაში, ისე ფსიქიატრიაში დიდი ყურადღება ექცევა ძმებისა და ძმების ურთიერთობის ბუნებას და მის სარგებელს ბავშვის სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარებისთვის. მშობლებმა ხელი უნდა შეუწყონ თავიანთი შვილების ახლო და მყარი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რადგან ეს მათ შემდგომში ეხმარება „უფროსების“ სამყაროსთან მორგებასა და წარმატების მოპოვებაში.<sup>12</sup>

ფსიქოლოგიური გამოკვლევების თანახმად, ძმის ან დის დაბადება განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვისთვის ხშირად სტრესულია და იწვევს არასასურველ ნეგატიურ შედეგს, მაგ. ენურეზს, ცვლილებას ქცევის სტილში, აგრესიულობას, გულჩათხრობილობას, შფოთვას, აქვეითებს ადაპტაციის უნარს. ორი და სამი წლის ბავშვები აქტიურად ინტერესდებიან უმცროსი დით ან ძმით და ამიტომაც, მიზანშეწონილია დედა გამუდმებით ამზადებდეს და ესაუბრობოდეს უფროს შვილს უმცროსის შესახებ, რათა არ მისცეს უფროს შვილს ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების საშუალება უმცროსი დის ან ძმის მიმართ. მცირეწლოვან ბავშვებს სჭირდებათ უწყვეტი, ახლო და მყარი ურთიერთობა დედებთან განსაკუთრებით, პირველ თვეებსა და წლებში.<sup>13</sup>

### 4.4 რეკომენდაციები

დამატებით რა უნდა გაითვალისწინოს მოსამართლემ:

- სასამართლო როგორც წესი, ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორცაა მშობლის პასუხიმგებლობა დააძინოს ბავშვი, დაეხმაროს დილას ადგომასა და პირად ჰიგიენაში, დაეხმაროს ბავშვს დღის რეჟიმის შესრულებაში, საჭიროების შემთხვევაში

<sup>11</sup> Erin Munroe with Irene S. Levine, PH. D. – Stepfathers and Stepdaughters – 2013.

<sup>12</sup> Shevach Pepper – Sibling Relationships – The importance and Benefit – 2007.

<sup>13</sup> Sheila Keeply – The Importance of the Presence of Mother during the First Three Years – 2005.

ნაიყვანოს ბავშვი ექიმთან და დაგეგმოს მისი საქმიანობა დღის განმავლობაში.

- პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, მშობლები აცნობიერებდნენ, რომ მთავარია ბავშვს მაქსიმალურად შეუნარჩუნდეს გაყრამდელი გარემო პირველი რიგის მზრუნველისა და მომვლელის თვალსაზრისით, რადგან ბავშვები რთულად ეგუებიან მომვლელის შეცვლას. ითვლება, რომ მცირეწლოვანი ბავშვებისთვის მათივე სქესის მშობლებთან დარჩენა უმჯობესია, თუმცა კვლევის შედეგად გოგონები მეურვე დედასთან უკეთესად ვითარდებიან და უკეთ ახდენენ გარემოსთან ადაპტაციას, ვიდრე მამის მეურვეობის ქვეშ მყოფნი, ხოლო ბიჭების შემთხვევაში მცირეწლოვანებში განსხვავება არ არის.<sup>14</sup>
- ბავშვისთვის მეურვის განსაზღვრისას, გოგონებისთვის უფრო სასურველია დედასთან დარჩენა, ბიჭებისთვის კი მამასთან, რადგან ამ შემთხვევაში ისინი ნაკლებად აგრესიულები ხდებიან, აქვთ ადეკვატური თვითშეფასება და თავისივე სქესის წარმომადგენლებთან უკეთეს კონტაქტს ამყარებენ თუნდაც თამაშისას, რადგან უკეთ ხდება მათი გენდერული როლის გათავისება. თუმცა, ოპტიმალური შემთხვევაა, როდესაც ბავშვი რჩება დედასთან და მამა მას ხშირად ნახულობს.

---

<sup>14</sup> E. Maccoby – 1991. Camara and Resnik – 1988.

## თავი V

### რა შემთხვევაში შეიძლება დედას ჩამოართვას მეურვეობა

იმდენად ხშირი და ბუნებრივია დედისთვის მეურვეობის მინიჭების უფლება, რომ ჩნდება კითხვა, რა შემთხვევაში შეიძლება დედას ეს უფლება ჩამოვართვათ, რაზეც სპეციალური ლიტერატურრიდან ვიღებთ ზუსტ პასუხს – დედას შეიძლება მეურვეობაზე უარი ვუთხრათ თუ ის:

- შეურაცხყოფას აყენებს ბავშვს, სცემს, აბუჩად იგდებს;
- მცირეწლოვან ბავშვს მარტოს ტოვებს სახლში;
- ბავშვს უტოვებს არაშესაფერის ადამიანებს;
- მოიხმარს ნარკოტიკებს და ალკოჰოლს;
- ბავშვის კვებას არ აქცევს ყურადღებას;
- ბავშვის ჯანმრთელობას არ აქცევს ყურადღებას;
- ბავშვს ქუჩაში ან ეზოში დიდი ხნით უყურადღებოდ ტოვებს;
- სახლში სხვადასხვა მამაკაცი მოჰყავს;
- დედა ბავშვს მუდმივად სხვადასხვა ახლობლის და ნათესავის ამარა ტოვებს, რათა თვითონ გაერთოს;
- ბავშვს ვერ უქმნის უსაფრთხო გარემოს;
- ვერ აძლევს ბავშვს შესაფერისი განათლების მიღების შესაძლებლობას.

თუმცა, არსებობს შემთხვევები, როდესაც დედა კარგავს მეურვეობის უფლებას არა იმიტომ, რომ მიღებულ ნორმებს არ აკმაყოფილებს, არამედ იმიტომ რომ:

- ბავშვი იმ ასაკშია, როდესაც თვითონ შეუძლია გადაწყვიტოს თუ ვისთან უნდა დარჩენა;
- თუ მამა ცხოვრობს ისეთ ადგილას, სადაც უკეთესი სკოლა და განათლების მიღების უკეთესი საშუალებაა.

იგივე წესი ვრცელდება მამაზეც და ისიც მსგავს შემთხვევებში კარგავს მეურვეობის უფლებას.

## თავი VI

### **რა ფსიქოლოგიური პრობლემები შეიძლება შეექმნათ ბავშვებს მშობლების განქორწინების შემდეგ და რა უნდა გავითვალისწინოთ**

ცნობილია, რომ განქორწინებული ოჯახის შვილები უფრო მიდრეკილნი არიან დეპრესიისა და შფოთვისაკენ (განსაკუთრებით მცირეწლოვან ასაკში), ვიდრე ინტაქტური ოჯახის შვილები. განქორწინებული მშობლების შვილებს აქვთ შედარებით დაბალი თვითშეფასება და განსაკუთრებით, გოგონები უფრო დათრგუნულები არიან და განიცდიან დისტრესს. ისიც ცნობილია, რომ განქორწინებული მშობლების შვილებს აქვთ მიდრეკილება ანტისოციალური ქცევისკენ, მოზარდობის ასაკში ეტანებიან ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს, ისევე როგორც მათთვის დამახასიათებელია დაბალი აკადემიური მოსწრება სკოლაში.

მშობლების განქორწინების შემთხვევაში, შესაძლოა ბავშვს გაუჩნდეს ნევროტული დარღვევები; ამგვარი დარღვევები შეიძლება გაჩნდეს ბავშვის არასწორი აღზრდის ან ოჯახში არსებული არასასურველი ფსიქოლოგიური კლიმატის გამო, რისი გამოვლენაც შეუძლია ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას.

ბავშვის ნევროზის საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს მწვავე და ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ტრავმა როგორცაა: შიში, სასჯელი, მშობლების განქორწინება, ახალ სკოლაში გადაყვანა და სხვა.

არსებობს ბავშვის ნევროზის სამი ფორმა: 1) ასთენიური; 2) ისტერიული; 3) აკვიატებული მდგომარეობის:

- 1) ბავშვი ცუდად იწყებს სკოლაში სწავლას, გადაღლილია ქრონიკული ფსიქომატრავმირებელი სიტუაციით, ბავშვი ადვილად ღიზიანდება და ხშირად ტირის;
- 2) ბავშვს შეიძლება დაუქვეითდეს მხედველობა, სმენა, დაერღვეს მოტორული ფუნქციები, თუმცა ამ დროს ბავშვი ჯანმრთელია და ეს მხოლოდ ისტერიული დემონსტრაციაა, ანუ პროტესტი გარემოს მიმართ;
- 3) ბავშვი ხდება ექვიანი, არ არის თავდაჯერებული. ასეთი ბავშვები მიდრეკილები არიან ფობიებისკენ, როგორცაა: სიკვდილის შიში, დასჯის შიში, ცხოველების მიმართ შიში და სხვა. ზოგ

ბავშვს უჩნდება აკვიატებული სტერეოტიპული ქმედება, რაც გამოიხატება ხელების სისტემატურ ბანაში, ქავილში, ფჩხილების კვანთაში და სხვა. ხშირად ამ ტიპის ნევროზს ახლავს ნევროტული ტიკები.

ნერვიულობის შედეგად ბავშვს შეიძლება ჩამოუყალიბდეს ლოგონევროზი.

## **6.1 რა არის ყველაზე ცუდი და რას უნდა ვებრძოლოთ**

ყველაზე ცუდია, როდესაც მშობლები განქორწინების შემდეგ ვერ ინარჩუნებენ კეთილგანწყობილ და ნორმალურ დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ.

კატეგორიულად მიუღებელია რომელიმე მშობლის მიერ მეორე მშობლის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვა ბავშვის თანდასწრებით, ან მით უფრო ბავშვის ნეგატიურად განწყობა მეორე მშობლის მიმართ.

აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ურთიერთობა ოჯახის სხვა წევრებთან: პაპა-ბებიასთან, ბიძებთან, დეიდებთან და ა.შ. ბავშვს საშუალება უნდა ჰქონდეს ოჯახის სხვა წევრებთანაც თანაბრად ჰქონდეს ურთიერთობა.

მნიშვნელოვანია მშობლები აცნობიერებდნენ, რომ მთავარია ბავშვს მაქსიმალურად შეუნარჩუნდეს გაყრამდელი გარემო პირველი რიგის მზრუნველისა და მომვლელის (ამ შემთხვევაში, დედის) თვალსაზრისით, რადგან ბავშვები რთულად ეგუებიან მომვლელის შეცვლას.

კვლევების თანახმად, ბავშვს უყალიბდება „მშობლის მიმართ გაუცხოვების სინდრომი“, თუ ერთი მშობელი განაწყობს მას მეორე მშობლის წინააღმდეგ, განსაკუთრებით არა მეურვე მშობლის მიმართ.<sup>15</sup>

„ეჭვ გარეშეა, რომ მშობლებისგან გაუცხოვება ან ბავშვის რომელიმე მშობლისგან ხელოვნურად გაუცხოვება ბოროტმოქმედებაა ბავშვის მიმართ, რადგან ამით ბავშვს უზარმაზარი ზიანი ადგება. როდესაც ბავშვი კარგავს მშობელს, მასში თითქოსდა კვდე-

---

<sup>15</sup> Dunne and Hedrick, in their article Parental Alienation Syndrome 1994.

ბა ერთი ნაწილი, რადგან ბავშვი ორივე მშობელთან ახდენს იდენტიფიკაციას. შედეგი ამისა არის ის, რომ ბავშვს შეიძლება დაერღვეს ძილი, განუვითარდეს შფოთვა, დეპრესია, ცუდად დაიწყოს სწავლა სკოლაში და ა.შ.<sup>16</sup>

ბავშვის ინტერესებშია, რომ ორივე მშობელთან თანაბარი კონტაქტი ჰქონდეს, მაგრამ მეურვე მშობელი ხშირად ცდილობს ამას ხელი შეუშალოს და შეზღუდოს ბავშვის ურთიერთობა არამეურვე მშობელთან ბავშვის საზიანოდ. ამას აკეთებენ იმ საბაბით, რომ ბავშვს ხელი ეშლება (სწავლაში) ან ერღვევა დღის რეჟიმი ან თვითონ ბავშვს ეს არ უნდა და ა.შ. როგორც წესი, ამგვარი მიზეზები ითვლება სუსტ მიზეზებად.

სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები ე.წ. კანონის მექანიზმს იყენებენ იმისთვის, რომ ბავშვი გაუცხოვდეს მეორე მშობელთან და დააშორონ მას და ეს გააკეთონ კანონის ფარგლებში. ზოგჯერ ერთი მშობელი განაწყობს ბავშვს მეორეს მიმართ, ბავშვმა კი მისივე კეთილდღეობისათვის უნდა იცოდეს, რომ მშობლები ერთმანეთს პატივს სცემენ და იცავენ ერთმანეთის უფლებებს.

განქორწინება წარმოადგენს ერთ-ერთ რისკ-ფაქტორს, რომელიც შესაძლოა გახდეს ბავშვის მომავალი ასოციალური ქცევის მაპროვოცირებელი, მაგრამ ეს ძირითადად, ხდება იმ შემთხვევაში თუ ბავშვი უყურადღებოდ არის მიტოვებული, აკლია ზედამხედველობა და კონტროლი მშობლების მხრიდან.

კვლევებმა ცხადყო, რომ მამის გარეშე გაზრდილი ბავშვები 2-ჯერ და 3-ჯერ უფრო ხშირად მიმართავენ ასოციალურ ქცევას. ბავშვს, განსაკუთრებით ბიჭს სჭირდება მამასთან მჭიდრო ურთიერთობა და რაც უფრო მეტადაა მამა ჩართული ბავშვის ცხოვრებაში მით უფრო ნაკლებად სავარაუდოა, რომ მას შეექმნას სწავლასთან, ემოციურ სტაბილობასთან დაკავშირებული პრობლემები.

## 6.2 რეკომენდაციები

ყველაზე მთავარია განქორწინების შემდეგ მშობლებმა თავის ინ-

---

<sup>16</sup> Dr. Raymond Havlicek Parental alienation “horror show” Posted on September 18, 2014.

ტერესებზე, წყენაზე და შურისძიების გრძნობაზე მაღლა დააყენონ ბავშვის კეთილდღეობა და ინტერესები.

მშობლების არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ – არაკეთილგანწყობამ ერთმანეთის მიმართ, პირადმა წყენამ, შურისძიების გრძნობამ არ უნდა დააზიანოს ბავშვის კეთილდღეობა, განსაკუთრებით, თუ ბავშვი მცირეწლოვანია.

ბავშვის კეთილდღეობისთვის აუცილებელია ბავშვმა შეინარჩუნოს თბილი ურთიერთობა ორივე მშობელთან. დაუშვებელია რომელიმე მშობელი ან ბავშვის უახლოესი გარემოცვა განაწყობდეს მას მეორე მშობლის მიმართ. ამით ბავშვს შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაღგეს.

კვლევებმა ცხადყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მშობლებს განქორწინების შემდეგ ნორმალური და კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, ბავშვები ნორმალურად და კარგად ვითარდებიან. ბავშვის მუდმივი ურთიერთობა ორივე მშობელთან მომავალში განაპირობებს მათ უკეთ ადაპტაციას გარემოსთან.<sup>17</sup>

ცნობილია, რომ როდესაც მამა ჩართულია ბავშვის ცხოვრებაში, ბავშვი ემოციურად დაცულია და შემდგომში თანატოლებთან უკეთ ურთიერთობს. ბავშვები, რომლებიც ხშირად თამაშობენ მამასთან, უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, უფრო იშვიათად არიან დეპრესიულები, უფრო მაღალი თვითშეფასება აქვთ და დელინკვენტურ ქცევაში უფრო იშვიათად ერთვებიან.<sup>18</sup>

ყველაზე ოპტიმალურია, როდესაც ბავშვი ორივე მშობელთან ინარჩუნებს ხშირ და ჯანსაღ კონტაქტს. ბავშვის ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის აუცილებელია, მან იცოდეს, რომ ორივე მშობელს ის უყვარს და მასზე ზრუნავს, მით უფრო, რომ ნებისმიერი ბავშვისთვის მშობლების განქორწინება სტრესია და ხშირად ბავშვებს უჭირთ ამ ფაქტთან შეგუება. განქორწინების ფაქტი ბავშვებს უჩენს ბევრ კითხვას. ბავშვი შესაძლოა დაიძაბოს განქორწინების ფაქტის გაცნობიერებისას და შემდგომ, მეურვე მშობელთან და-

---

<sup>17</sup> Tracy Achen, Divorce Expert – Psychological and Emotional Aspects of Divorce.

<sup>18</sup> The Importance of Fathers in the Healthy Development of Children. Author(s): Office on Child Abuse and Neglect, U.S. Children’s Bureau Rosenberg, Jeffrey., Wilcox, W. Bradfors. Year Published: 2006.



შორების შიში გაუჩნდეს, დაიბნეს თუ ჩვეული დღის წესრიგი და რეჟიმი აირია და შესაძლოა ამან იმოქმედოს ბავშვის მადაზე, ძილის რეჟიმზე. ამიტომ მშობლები უნდა შეეცადონ, რომ ბავშვებს მოსანახულებლად შეურჩიონ ნაცნობი გარემო ან უცნობ გარემოსთან შეგუება მოახდინონ ფაქიზად და თანდათანობით, ძალდაუტანებლად. კარგია, როდესაც მშობლები საუზმობენ, სადილობენ ან ვახშმობენ ბავშვებთან ერთად, მით უფრო, რომ 3-დან 6 წლამდე განქორწინებაზე რეაქცია შეიძლება მოხდეს რეგრესული ქცევით: ცერის ან სხვა თითის ნოვა, ენურეზი, მარტო დარჩენის შიში, მონყენილობა, აგრესია, თამაშისადმი ინტერესის დაკარგვა.

## თავი VII

### საზღვარბარეთის პრაქტიკა

სასამართლო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას 18 წლამდე ბავშვებისა და მოზარდების მეურვეობის საკითხთან დაკავშირებით, უპირველესად, ზრუნავს ბავშვის ან მოზარდის კეთილდღეობაზე.

#### უცხო ქვეყნების გამოცდილება

##### აშშ

#### რაში მდგომარეობს ბავშვის ინტერესების და კეთილდღეობის გათვალისწინება

ბავშვის კეთილდღეობის კომპონენტია და მის ინტერესს ემსახურება ორივე მშობელთან დაუბრკოლებელი და ლალი ურთიერთობის შენარჩუნება. ამ საკითხის არასწორად გადაწყვეტა ზემოქმედებას მოახდენს ბავშვზე და ზიანს მიაყენებს მის ჰარმონიულ განვითარებას.

აშშ-ში არსებობს ბავშვის ან მოზარდის მეურვეობის ოთხი ფორმა:

1. ერთპიროვნული მეურვეობა გულისხმობს, რომ ბავშვზე ან მოზარდზე მეურვეობას ახორციელებს ერთი მშობელი. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს რამდენად მისაღებია მეურვე მშობლის მიერ არამეურვე მშობლისთვის შედგენილი ბავშვის ნახვის გრაფიკი;
2. გაერთიანებული ფიზიკური მეურვეობა გულისხმობს, რომ ორივე მშობელს აქვს ფიზიკური მეურვეობის თანაბარი უფლება და ორივე მშობელს ბავშვთან ხანგრძლივად ურთიერთობის უფლება აქვს;
3. ერთპიროვნული იურიდიული (კანონიერი) მეურვეობა გულისხმობს, რომ ერთი მშობელი იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის ან მოზარდის ჯანმრთელობის, განათლების და სხვა საკითხებზე. მეორე მშობელი იზღუდება მხოლოდ ნახვის უფლებით;
4. გაერთიანებული იურიდიული (კანონიერი) მეურვეობა გულისხმობს, რომ ორივე მშობელს აქვს უფლება და პასუხისმგებლობა იზრუნოს ბავშვის ან მოზარდის ჯანმრთელობაზე, განათლებაზე და ბავშვისთვის აუცილებელ სხვა საკითხებზე.

## **რომელი ფაქტორებია გასათვალისწინებელი, როდესაც ვიღებთ გადაწყვეტილებას ვინ უნდა იყოს ბავშვის მეურვე?**

- ბავშვის სურვილი (თუ შეუძლია იმ დროისთვის ამ საკითხის განსაზღვრა და დასაბუთება დამოუკიდებლად ან თუ არ იმყოფება მეორე მშობლის უარყოფითი გავლენის ქვეშ);
- მშობლების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანრთელობა;
- ხომ არა აქვს ბავშვს რაიმე ფიზიკური ან ფსიქიკური პრობლემა და როგორ უვლის ამ პრობლემას თითოეული მშობელი;
- რელიგიური ან სხვა მოსაზრებები;
- სტაბილური ოჯახური გარემო;
- პაპა-ბებიასთან ან სხვა ახლო ნათესავებთან ურთიერთობის პრობლემა;
- სკოლის პრობლემები;
- ბავშვის სქესი და ასაკი;
- იმ ოჯახში, სადაც ბავშვი იმყოფება, ხომ არ ფიქსირდება ძალადობის შემთხვევები;
- მშობელი ხომ არ იყენებს მიუღებელ დისციპლინას ან ემოციურად ხომ არ შეურაცხყოფს ბავშვს;
- მშობელი ხომ არ იღებს ნარკოტიკს ან ხომ არ მოიხმარს ალკოჰოლს ან ბავშვს ხომ არ აძალებს ერთს ან მეორეს, ან ხომ არ ძალადობს სექსუალურად ბავშვზე და ა.შ.

### **„მთავარი მეურვის“ სტანდარტი**

როდესაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომელ მშობელს მიანიჭოს უპირატესობა ბავშვის მუერვეობაზე, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პარამეტრები:

1. ვინ აბანავებს, უვლის და აცმევს ბავშვს;
2. ვინ იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის კვების თაობაზე? ვინ უმზადებს და აჭმევს მას;

3. ვინ ყიდულობს ბავშვისთვის აუცილებელ ტანისამოსს და ვინ ურეცხავს მას სარეცხს;
4. ვინ ზრუნავს ბავშვის ჯანმრთელობაზე;
5. ვინ ამეცადინებს ბავშვს, ასწავლის ხატვას, წერას, მათემატიკას, ეხმარება საშინაო დავალების მომზადებაში;
6. ვინ ზრუნავს კლასგარეშე აქტივობებზე;
7. ვინ ესაუბრება მის მასწავლებლებს;
8. ვინ გეგმავს ბავშვის დასვენებას და თავისუფალ დროს.

იმ შემთხვევაში, თუ მშობლები სასამართლოს გარეშე ახერხებენ მოპალაპარაკებას, ვინ იქნება ბავშვის მეურვე და როგორ განაწილდება მისი ნახვის გრაფიკი, მაშინ ბუნებრივია, მათ დახმარება არ დასჭირდებათ, თუმცა ზოგჯერ მათ ამაში ეხმარებიან ადვოკატები, მრჩეველები ან მედიატორები, ანუ კონფლიქტური საკითხის მოგვარების სპეციალისტები. იმ შემთხვევაში, თუ მშობლები თანხმდებიან მეურვეობის საკითხზე და თანამშრომლობითი ურთიერთობა აქვთ, მაშინ სავარაუდოდ, გაერთიანებულ მეურვეობაზე არიან თანახმა. გაერთიანებული მეურვეობის ფორმას ირჩევენ, ან თანხმდებიან იმაზე, რომ ბავშვი ერთ მშობელთან იცხოვრებს, მაგრამ მეორე მშობელი მას შეუზღუდავად ნახავს.

იმ შემთხვევაში თუ მშობლები ვერ თანხმდებიან სასამართლოს გარეშე, მაშინ მეურვეობის საკითხი გადაწყდება სასამართლოში.

მეურვეობის საკითხის განხილვისას, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტებია: ვინ უნდა იყოს მთავარი მეურვე და რა არის ბავშვის კეთილდღეობისთვის უმჯობესი.

მოსამართლე, როგორც წესი, ფაქტორთა ერთობლიობას ითვალისწინებს, ბავშვის სურვილის ჩათვლით. ზუსტად იგივე პრობლემა შეიძლება გაუჩნდეთ დაუქორწინებელ მშობლებსაც, როდესაც ისინი შორდებიან.

## **დიდი ბრიტანეთი**

დიდი ბრიტანეთში განქორწინების მსურველი წყვილი ავსებს „ბავშვებთან (შვილებთან) დაკავშირებული მოლაპარაკებებისა და პი-

რობების ანკეტას“. ანკეტა შედგება 8 გვერდისგან და შეიცავს ძირითადი ინფორმაციის დამაზუსტებელ კითხვებს, როგორიცაა ყველა ბავშვის სახელი, დაბადების თარიღი, სკოლა, სადაც სწავლობენ, ვინ უყლის მათ, როდესაც მშობლები სამსახურში არიან, ვისთან ცხოვრობენ და ა.შ.

მაგ., დიდი ბრიტანეთის სასამართლო არ აძლევს მშობლებს განქორწინების უფლებას, ვიდრე არ იქნება დაზუსტებული ბავშვების მეურვეობის საკითხი, ანუ ვისთან იცხოვრებენ ბავშვები და რომელ სკოლაში ისწავლიან.

შესავსებ ფორმაში მშობლებმა უნდა შეიტანონ ბავშვების სახელები და დაბადების წელი, ვისთან იცხოვრებს ბავშვი ან ბავშვები და თანახმა არის თუ არა ამაზე მეორე მშობელი. მშობლებმა აგრეთვე უნდა მიუთითონ ანკეტაში, როდის ნახავს ბავშვს მეორე არა მეურვე მშობელი, როგორი გრაფიკი ექნება მას და შეთანხმებულია თუ არა ეს გრაფიკი მეორე მშობელთან. აგრეთვე უნდა დაზუსტდეს, მთელი დღის განმავლობაში ვინ იქნება ბავშვთან, დედა, მამა, ძიძა, ბებიი, პაპა თუ სხვა და შეთანხმებულია თუ არა ეს საკითხი ორივე მშობელთან.

მშობლებმა უნდა დაასახელონ სკოლა, სადაც ბავშვი სწავლობს და აღნიშნონ განქორწინებასთან დაკავშირებით ცვლილება ხომ არ არის მოსალოდნელი, თანხის ჩათვლით და ა.შ. აგრეთვე აღნიშნონ სწავლასთან დაკავშირებული განსაკუთრებული პრობლემა ხომ არა აქვს ბავშვს.

მშობლებმა აგრეთვე, უნდა მიუთითონ სერიოზული დაავადების შესახებ, რომელიც ბავშვს აქვს გადატანილი და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ თუ ასეთი არის.

აგრეთვე უნდა მიუთითონ სოციალური მუშაკის ან პრობაციის ოფიცრის მეთვალყურეობის ქვეშ ხომ არ იმყოფებოდა ან ხომ არ იმყოფება ბავშვი.

ამგვარი ანკეტის მიზანია, სასამართლოს სრული ინფორმაცია მიანოდოს ბავშვის ან ბავშვების შესახებ.

### **მშობლის მოვალეობაში შედის:**

- ბავშვის დაცვა;
- სკოლის შერჩევა;

- კონტროლი, რომ ბავშვმა იაროს სკოლაში;
- კონტროლი, სამედიცინო საკითხებზე და მკურნალობაზე;
- პასპორტის საკითხის მოგვარება;
- ბავშვის წარმომადგენლობა;
- გადაწყვეტილების მიღება, სად იცხოვრებს ბავშვი;
- ბავშვისთვის რელიგიური კონფესიის შერჩევა და ა.შ.

ბრიტანელები თვლიან, რომ სანამ ბავშვებს სასამართლოში წაიყვანდეთ უკეთესი იქნება მივმართოთ მედიაციის პროცედურას.

მედიატორი არის სპეციალისტი, რომელიც უსმენს მშობლების სურვილებს, შიშებს, სავარაუდო პრობლემას ბავშვის მეორე მშობელთან ურთიერთობისას და ცდილობს დაეხმაროს მათ. იმ შემთხვევაში, თუ მედიაციამ შედეგი არ გამოიღო, მაშინ უკვე უნდა მივმართოთ სასამართლოს.

### **სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს:**

- ბავშვის განცდები და სურვილები, მისი ასაკიდან გამომდინარე;
- ბავშვის ფიზიკური, ემოციური და საგანმანათლებლო პრობლემები;
- არსებული გარემოს ცვლილებით გამოწვეული შედეგები;
- ასაკი, სქესი;
- ნებისმიერი ზიანი, რომელიც მიადგა ბავშვს და რომლის რისკის ქვეშაც იმყოფება;
- რამდენად შესწევთ უნარი მშობლებს და სხვა ამ საქმეში ჩართულ ნათესავებსა და ახლობლებს მოაგვარონ ბავშვის პრობლემები.

ყველაზე კარგია, როდესაც მშობლები თავად თანხმდებიან ყველაფერზე ბავშვის ინტერესებიდან და კეთილდღეობიდან გამომდინარე.

- ბავშვის მეურვეობის გადაწყვეტისას, მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ სასამართლო გაითვალისწინებს ბავშვის ასაკს და თუ ის მცირეწლოვანია სავარაუდოდ, დედას მიაკუთვნებს მეურ-

ვეობას, თუ საქმე არ გვაქვს გამონაკლის ან განსაკუთრებულ შემთხვევასთან. თუ ბავშვი უკვე მოზრდილია, მაშინ ამ შემთხვევაში, მამის ფაქტორი უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული;

- სასამართლომ უნდა შეამოწმოს ორივე მშობლის ფსიქიკური სტატუსი და ფიზიკური მდგომარეობა, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მშობლის ფუნქციის შესრულებაზე;
- სასამართლო გაითვალისწინებს ბავშვის სურვილს, განსაკუთრებით, თუ ბავშვი უკვე 12-დან 16 წლამდე ასაკისაა;
- თუ მშობლები სხვადასხვა უბანში ცხოვრობენ, მაშინ სასამართლო სავარაუდოდ, დატოვებს ბავშვს იქ, სადაც ბავშვი კარგად გრძნობს თავს და კარგად არის ადაპტირებული რაიონს, სკოლას, საზოგადოებას ან თემს;
- იმ მშობელს, რომელიც ძირითად დროს სამსახურში ატარებს სასამართლო სავარაუდოდ, არ მიაკუთვნებს ბავშვს;
- სასამართლო იმ მშობლის სასარგებლოდ გადაწყვეტს დავას, რომელიც ხელს არ შეუშლის ბავშვს მეორე მშობელთან ურთიერთობას და არ იქნება ამ ურთიერთობის წინააღმდეგი და შემაფერხებელი;
- თუ ბავშვი, რომელიმე ერთ მშობელს უფრო მიჩვეულია, იმიტომ რომ ძირითადად ეს მშობელი იღებდა მონაწილეობას მის აღზრდაში, მაშინ სავარაუდოდ, სასამართლო ამ მშობელს მიაკუთვნებს ბავშვს.

დღეს, სასამართლოებს ურჩევნიათ გაერთიანებული მეურვეობის ფორმის შერჩევა და თუ რომელიმე მშობელს ერთპიროვნული მეურვეობა ურჩევნია, მაშინ უნდა დაასაბუთოს, რატომ იქნება საზიანო ბავშვისთვის მეორე მშობელთან ხშირი ურთიერთობა.

**იმისთვის, რომ ერთპიროვნული მეურვეობა მოვითხოვოთ, სავარაუდოდ:**

- მეორე მშობელი დაკარგულად უნდა ითვლებოდეს, ან დაპატიმრებული უნდა იყოს ან არ ჰქონდეს ბავშვის აღზრდის სურვილი;
- მეორე მშობელი უნდა მოიხმარდეს ნარკოტიკს ან ეტანებოდეს ალკოჰოლს;

- მეორე მშობელი უნდა იყოს მოძალადე და სცემდეს შვილს; განაცხადს, მეორე მშობლის უზნეო საქციელის ან არასანდო ბუნების შესახებ უნდა ახლდეს მტკიცებულება, მაგალითად:
  - თუ ერთ-ერთი მშობელი სცემს შვილს ან არის მოძალადე, უნდა არსებობდეს სამედიცინო ამონაწერი მისი ფსიქიკური სტატუსის შესახებ, ან პოლიციის ჩანაწერი ან შემაკავებელი ორდერი, რათა ეს საბუთები წარმოდგენილი იყოს სასამართლოზე;
  - წარმოდგენილი უნდა იყოს ბავშვის აკადემიური მოსწრების ფურცელი;
  - აღწერილი უნდა იყოს გარემო, რომელშიც იცხოვრებს ბავშვი და მისი დღის რეჟიმი.

ამ შემთხვევაში მოწმედ გამოდგება, ბავშვის მასწავლებელი, ექიმი, მომვლელი, მეზობელი და ა.შ.

მშობელი უნდა იყოს მზად კითხვებისთვის, მაგალითად:

- რატომ გგონიათ, რომ კარგი მშობელი იქნებით?
- რატომ არის თქვენი მეუღლე ცუდი მშობელი?
- რატომ იქნება კარგი თქვენი ბავშვის კეთილდღეობისთვის, თუ ის თქვენთან იცხოვრებს?
- რატომ იქნება კარგი თქვენი ბავშვის კეთილდღეობისთვის, თუ მას თქვენ მეუღლესთან ნაკლები ურთიერთობა ექნება?

ბუნებრივია, რომ ყველა პასუხი უნდა შემოწმდეს.

## **საბერძნეთი**

საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად, ქორწინებისას მშობლები ისედაც ახორციელებენ გაერთიანებულ მეურვეობას. განქორწინების შემთხვევაში, მშობლები აგრძელებენ ბავშვზე იურიდიული მეურვეობის განხორციელებას და რჩება მხოლოდ ფიზიკური მეურვეობის საკითხი. სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს ვისთან იცხოვრებს ბავშვი, თუ მშობლები თანახმა არიან ფიზიკურ გაერთიანებულ მეურვეობაზე, მაშინ პრობლემა არ წარმოიქმნება. სასამართლოს შეუძლია მშობლებს შორის გაანაწილოს ფიზიკური მეურვეობა. სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ურთიერ-



თობა მშობლებთან და მათ მშობლებთან ანუ პაპა-ბებუასთან და და-ძმასთან, მეგობრებთან, მეზობლებთან, სკოლის გარემოსთან და ა.შ. თუ მშობლები თანხმდებიან გარკვეულ გრაფიკზე, მაშინ მათ უნდა შეადგინონ ეს უკანასკნელი და წარუდგინონ სასამართლოს. მშობლების წერილობითი შეთანხმება მტკიცდება სასამართლოს მიერ. იმ შემთხვევაში თუ მონაცემები შეიცვლება, მაშინ შესაძლებელია მეურვეობის შესახებ განკარგულების შეცვლა. ბავშვს აქვს ურთიერთობის უფლება არამეურვე მშობელთანაც და პაპა-ბებუასთანაც. ფიზიკური მეურვეობის განხორციელება და ვიზიტების დაგეგმვა რეგულირდება სასამართლოს მიერ სარჩელის შეტანის შემდეგ. სასამართლოს შეუძლია დაანესოს მშობლებისა და ბავშვების ურთიერთობის დროებით შემაჩერებელი ზომები.

## **ახლო აღმოსავლეთი**

ახლო აღმოსავლეთში არსებობს მეურვეობის ორი ფორმა: **ჰადანა** და **ვალა**.

**ჰადანა** – ნიშნავს დედის მხრიდან მეურვეობას, **ვალა** კი მამის მიერ მეურვეობას. ჰადანა ნიშნავს ბავშვის კვებას, ჩაცმას, ბანაობას, ანუ იმ ბავშვის, რომელიც იმდენად პატარაა, რომ ამის გაკეთება დამოუკიდებლად არ შეუძლია. ბიჭებთან მიმართებაში ეს ასაკია 2-დან 7 წლამდე. გოგონები დედასთან რჩებიან სქესობრივი სიმწიფის მიღწევამდე ან გათხოვებამდე. დედა თუ ხელახლა თხოვდება, ის სავარაუდოდ, კარგავს ჰადანას უფლებას. ჰადანა ყოველთვის მიეცემა მდებარეობითი სქესის ნათესავს. თუ დედას არ შეუძლია ჰადანას განხორციელება, მაშინ ამ მოვალეობას ასრულებს ბებია (დედის მხრიდან), ბავშვის დეიდა ან სხვა რომელიმე ნათესავი.

**ვალა** – ხორციელდება მამრობითი სქესის ნათესავის მიერ, თუ მამა უუნაროა ან გარდაცვლილია. ვალა ეხება ბავშვის პასპორტის აღების პროცედურას, სკოლაში შეყვანას და ა.შ.

## **ალჟირი**

ქალს ბიჭზე მეურვეობის უფლება აქვს, სანამ ის მიაღწევს 16 წელს და გოგონაზე, სანამ ის 18 წლის გახდება ან გათხოვდება. ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში, დედა ხდება ბავშვების მეურვე.

## **ეპვიპტა**

ქალები ბიჭებზე მეურვეობას ინარჩუნებენ, სანამ ისინი 7 წლის გახდებიან, გოგონებზე, კი სანამ ისინი 9 წლის გახდებიან. თუ მოსამართლე გადაწყვეტს, რომ ბავშვების კეთილდღეობისთვის უკეთესი იქნება თუ ისინი დედასთან დარჩებიან, მაშინ მას შეუძლია დედას გაუგრძელოს მეურვეობა ანუ ვაჟები დედასთან რჩებიან 9 წლამდე, გოგონები კი 11-მდე.

## **ირანი**

მამებს ეძლევათ მეურვეობის უფლება, როდესაც ბიჭები ხდებიან 2 წლის და გოგონები 7-ის. თუმცა, 2003 წლიდან დედები ზოგ შემთხვევაში, ბიჭებზეც 7 წლამდე ინარჩუნებენ მეურვეობას.

## **იორდანია**

იორდანის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, დედა უნდა იყოს სანდო, შეეძლოს თავისი მოვალეობის შესრულება და არ უნდა გათხოვდეს ხელმეორედ. დედას აქვს უფლება მოუაროს ბიჭს, სანამ ის გახდება 9 წლის, გოგონას კი, სანამ ის გახდება 11 წლის, თუმცა ის ამ დროს არ ითვლება მეურვეედ.

## **ქუვეითი**

მეურვეობა მიეცემა იმ მშობელს, რომელსაც მოსამართლე უფრო შესაფერისად ჩათვლის ბავშვისთვის. თუ ქალს ეძლევა მეურვეობა, მაშინ ის 15 წლამდე ზრუნავს ბიჭზე და გოგონაზე, სანამ ის არ გათხოვდება. ქალი თუ თხოვდება, მაშინ მეურვეობის უფლებას კარგავს.

## **ლიბანი**

ქალებს აქვთ უფლება მოუარონ ბიჭებს 7 წლამდე და გოგონებს 9 წლამდე.

## **საუდის არაბეთი**

ქალები ზრუნავენ ბიჭზე 5 წლამდე და გოგონაზე 7 წლამდე.

## **ტუნისი**

თუ მამა უღირსია ან გარდაცვლილია მეურვე ხდება დედა.

## **ტაილანდი**

უპირატესობა ენიჭება შეთანხმებას მშობლებს შორის, მაგრამ იმის გამო, რომ განქორწინება ხდება ძირითადად იმიტომ, რომ ქმარი არის ლოთი, თამაშობს კაზინოში ან არის აგრესიული, ამიტომ მოსამართლემ უნდა განიხილოს, რამდენად მოახდენს გავლენას ეს ნიშან-თვისებები ბავშვის განვითარებაზე.

## თავი VIII

### განქორწინების მსურველთა შესავსები ფორმაში

დიდ ბრიტანეთში წყვილის განქორწინებისას აუცილებელი იყო ფორმა D8A-ს შევსება, იმისთვის რომ წინასწარ გათვალისწინებული ყოფილიყო არასრულწლოვანთა ბედი. მოსამართლეს შეეძლო უარი ეთქვა წყვილისთვის განქორწინებაზე თუ შევსებული ფორმა არ აკმაყოფილებდა ბავშვის ან ბავშვების არსებით მოთხოვნებს და მათთვის ოპტიმალურად არ იყო შედეგინილი.

2014 წლის 22 აპრილიდან არასრულწლოვანთა თაობაზე შეთანხმების განცხადების შევსება, რომელიც აგრეთვე ცნობილია ფორმა D8A-ს სახელით, აღარ განიხილება განქორწინების სარჩელთან ერთად, რადგან ცვლილებები შევიდა ინგლისის საოჯახო სამართალში და ამ ცვლილების თანახმად, სასამართლოს აღარ მოეთხოვება წყვილის განქორწინებისას იმის გათვალისწინება, მიღწეულია თუ არა წინასწარ გარკვეული შეთანხმება ბავშვების თაობაზე და აქედან გამომდინარე, ძველი ფორმის D8A-ის შევსება აღარ არის აუცილებელი. მშობლებს, რომლებიც ვერ თანხმდებიან ბავშვების რეჟიმის და სხვა საკითხების შესახებ, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს თხოვნით, გამოსცეს დადგენილება ბავშვის თაობაზე მოლაპარაკების შესახებ, რომლის მეშვეობითაც დადგინდება ვისთან იცხოვრებს ბავშვი/ბავშვები, ვისთან რამდენჯერ და როდის უნდა იქონიონ კონტაქტი და ა.შ.

ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, დღეს გამოიყენება ფორმა D8.

მაგრამ, ჩვენ მაინც გადაწყვიტეთ წარმოგვედგინა ძველი ფორმა, რომელმაც შესაძლოა მოსამართლეებს ამ საკითზე მსჯელობის სურვილი გაუჩინოს და საკუთარი ორიგინალური ფორმის შემუშავება გადაწყვეტინოს.

### განქორწინების მსურველთათვის ბრიტანეთში ადრე მიღებული D8A ფორმა ნიმუშისთვის:

#### განქორწინების მსურველი მხარეების მიერ შესავსები ფორმა

სასამართლო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას 18 წლამდე ბავშვებისა და მოზარდების მეურვეობის საკითხთან დაკავშირებით,

პირველ რიგში, ზრუნავს ბავშვის ან მოზარდის კეთილდღეობაზე.

## **სასამართლო – (რომელი)**

### **მოსარჩელის სახელი და გვარი**

### **მოპასუხის სახელი და გვარი**

მოსარჩელემ უნდა შეავსოს ფორმა, თუ მას და მოპასუხეს ჰყავთ ბავშვები 16 ან 18 წლამდე, თუნდაც ისინი კოლეჯში ან სხვა ტიპის უმაღლესში სწავლობდნენ.

განქორწინებაზე თანხმობის მიღებამდე შეეცადეთ შეთანხმების მიღწევას თქვენ მეუღლესთან ბავშვის ან ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე.

თუ თქვენი მეუღლე არ ეთანხმება თქვენს თვალსაზრისს ან სურვილს, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს დასაბუთება, რატომ არ ეთანხმება თქვენს გადანყვეტილებას და წარმოადგინოს თავისი შეხედულებები.

მოპასუხე უნდა გაეცნოს მოსარჩელის მიერ შევსებული ფორმის ყველა დეტალს და თანხმობის შემთხვევაში ხელი უნდა მოაწეროს ფორმას. თუ მოპასუხე არ ეთანხმება მოსარჩელის გადანყვეტილებას, ის ფორმას ხელს არ აწერს. ამ შემთხვევაში მან უნდა წარმოადგინოს თავისი დასაბუთებული მოსაზრებები.

### **ფორმა**

1. მოგვანოდეთ დეტალური ინფორმაცია ბავშვის ან ბავშვების თაობაზე, თუ ბავშვებთან მიმართებაში გადანყვეტილება განსხვავდება, მაშინ ცალ-ცალკე ფურცელზე მოგვანოდეთ ინფორმაცია მათ შესახებ და დაურთეთ ფორმას.

### **ვისთან იცხოვრებს ბავშვი ან ბავშვები?**

სახელი (სახელები)

ვისთან იცხოვრებენ

მისამართი

### **2. ეს საკითხი ორივე მშობელთან არის შეთანხმებული?**

დიახ

არა

თუ ეს საკითხი ორივე მშობელთან შეთანხმებული არ არის, მოგვანოდეთ ინფორმაცია რა არის ამის მიზეზი?

**3. როგორია შეთანხმება ბავშვის (ბავშვების) თაობაზე, არამეურვე მშობელთან?**

**4. არიან თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებულები მოსარჩელე და მოპასუხე?**

დიახ

არა

თუ ეს საკითხი არ არის შეთანხმებული მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის, აგვიხსენით რა არის ამის მიზეზი?

**5. ვინ იზრუნებს ბავშვზე ყოველდღიურად?**

**6. შეთანხმებულები არიან თუ არა მოსარჩელე და მოპასუხე, იმაზე თუ ვინ იზრუნებს ბავშვზე ყოველდღიურად?**

დიახ

არა

თუ არა, მაშინ ახსენით რა არის ამის მიზეზი?

### **ბავშვის (ბავშვების) განათლება**

**7. ჩამოთვალეთ სკოლა, კოლეჯი, კურსები, ტრენინგები, წრეები, სადაც სწავლობს და დადის თქვენი შვილი (შვილები).**

ბავშვის სახელი

სკოლა (კოლეჯი)

კურსები  
წრეები

**8. განქორწინების შემდეგ შეიცვლება თუ არა ვითარება ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით?**

დიახ

არა

თუ ცვლილება მოხდება, მაშინ მიუთითეთ თუ რა ტიპის ცვლილება

**9. ბავშვს ან რომელიმე ბავშვს, ხომ არ სჭირდება სპეციალური დახმარების განწვევა განათლების პროცესში?**

დიახ

არა

თუ ამგვარი პრობლემა არსებობს, მიუთითეთ რა ტიპის პრობლემაა.

## ინფორმაცია ჯანმრთელობაზე

**10. არის თუ არა ბავშვი (ბავშვები) პრაქტიკულად ჯანმრთელი?**

დიახ

არა

თუ ბავშვს (ბავშვებს) სერიოზული პრობლემა აქვთ ჯანმრთელობასთან მიმართებაში, მიუთითეთ რა ტიპის პრობლემაა, არის ეს სერიოზული დარღვევა, ქრონიკული დაავადება, თუ სხვა.

**11. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სჭირდება სპეციალური დახმარება თქვენ შვილს (შვილებს)?**

დიახ

არა

**12. თუ სჭირდება დახმარება, მიუთითეთ რა ტიპის?**

## დამატებითი ინფორმაცია

**13. ხომ არ იმყოფება თქვენი შვილი (შვილები) სპეციალური დიეტის რეკომენდაციების ქვეშ?**

(სკოლის ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, პრობაციის ოფიცერი, სხვა)

დიახ

არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში დააზუსტეთ ინფორმაცია.

**14. ხომ არ შეეხო თქვენ შვილს (შვილებს) სპეციალური პროგრამა? (განრიდება, სხვა)**

დიახ

არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში დააზუსტეთ ინფორმაცია;

**15. მიღწეულია თუ არა შეთანხმება ბავშვის ფინანსური უზრუნველყოფის თაობაზე?**

დიახ

არა

თუ შეთანხმება მიღწეულია დააზუსტეთ შეთანხმების დეტალები.

თუ შეთანხმება მიღწეული არ არის დააზუსტეთ მიზეზები.

**16. ხომ არ ყოფილა თქვენი შვილი (შვილები) ოჯახური, სექსუალური ან სხვა ტიპის ძალადობის მსხვერპლი?**

დიახ

არა

დადებითი პასუხის შემთხვევაში დააზუსტეთ დეტალები (სავალდებულოა ინფორმაციის დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენა).

### **მედიაცია**

**17. თუ არ ეთანხმებით ზემოთ წარმოდგენილ ინფორმაციას, ხართ თუ არა მზად, რომ შეათანხმოთ ეს საკითხები მოპასუხესთან?**

დიახ

არა

**18. გსურთ მიმართოთ მედიაციის სამსახურს, თუ პირდაპირ სასამართლოს?**

მედიაციას

სასამართლოს

ზემოთ მოტანილი ინფორმაცია სწორია და ვეთანხმები.

### **მოსარჩელე**

სახელი, გვარი

ხელმოწერა

თარიღი

### **მოპასუხე**

ზემოთ მოტანილი ინფორმაცია სწორია და ვეთანხმები

დიახ

არა

სახელი, გვარი

ხელმოწერა

თარიღი



## **დღეს მოქმედი ფორმა D8**

### **ბანქორნინება**

#### **შუამდგომლობა სამართლებრივ გამოყოფაზე**

#### **სასამართლოს მიერ შესავსები**

სასამართლოს დასახელება

საქმე №

შუამდგომლობის სასამართლოში შესვლის თარიღი

გაცემის თარიღი

გაცემის დრო

#### **ახსნა-განმარტება მოსარჩელებისთვის**

- ეს ფორმა უნდა გამოიყენოთ, თუ თქვენ სასამართლოში შე-  
გაქვთ სარჩელი თქვენი ქორწინების ან სამოქალაქო პარტნიო-  
რობის გაუქმების თაობაზე.
- ფორმის შევსებამდე გაეცანით ახსნა-განმარტებებს.
- გთხოვთ, ყველა დასმულ კითხვაზე გასცეთ პასუხი და თუ  
თქვენ თვლით, რომ კონკრეტული კითხვა არ გეხებათ, მიუთი-  
თეთ.
- თუ არ გყოფნით გვერდების რაოდენობა, შეგიძლიათ ცარიელ  
ფურცელზე გააგრძელოთ წერა. დამატებულ ფურცელს დაანე-  
რეთ თქვენი სახელი და გვარი, თქვენი მეუღლის/სამოქალაქო  
პარტნიორის სახელი და გვარი და ნომერი იმ ინფორმაციისა,  
რომლისთვისაც ადგილი არ გეყოფ.
- თუ ხელით ავსებთ მოცემულ ფორმას, მაშინ გამოიყენეთ შავი  
ფერის მელანი და წერეთ დიდი ასოებით და მონიშნეთ შესაფე-  
რისი უჯრები.

#### **ახსნა-განმარტება შემავსებელთათვის**

სახელი და გვარი სრულად

განცხადება განქორწინების თაობაზე

ხელშეკრულების თაობაზე

მეუღლეების ცალ-ცალკე ცხოვრებაზე.

## **ნაწილი 1.**

### **მოსარჩელე**

სახელი

გვარი

მისამართი (საფოსტო ინდექსის ჩათვლით)

დაბადების თარიღი

პროფესია

დაკავებული თანამდებობა

მამაკაცი                      ქალი

### **მოპასუხე**

სახელი

გვარი

მისამართი (საფოსტო ინდექსის ჩათვლით)

დაბადების თარიღი

პროფესია

დაკავებული თანამდებობა

მამაკაცი                      ქალი

## **ნაწილი 2.**

### **ქორწინების ან სამოქალაქო პარტნიორობის დეტალები**

მე (სახელი, გვარი, როგორც ეს მითითებულია ქორწინების ან სამოქალაქო პარტნიორობის მონაწილეობის მოწმობაში) – დავქორწინდი/სამოქალაქო პარტნიორობა გავაფორმე – მეუღლის ან სამოქალაქო პარტნიორის/მოპასუხის სახელი, გვარი, როგორც ეს მითითებულია ქორწინების ან სამოქალაქო პარტნიორობის მონაწილეობის მოწმობაში) ..... თარიღი ..... როდის გაფორმდა ქორწინება/ სამოქალაქო პარტნიორობა ..... მიუთითეთ ადგილი, სად ჩატარდა ქორწინება/გაფორმდა სამოქალაქო პარტნიორობა.

თქვენი ქორწინების/სამოქალაქო პარტნიორობის მოწმობის ნოტარიულად დამონმებული ასლი უნდა გაიგზავნოს სასამართლოში შევსებულ ფორმასთან ერთად.

### **ნაწილი 3. სამართალწარმოება**

მე და მოპასუხე, როგორც ცოლი და ქმარი/სამოქალაქო პარტნიორები ვცხოვრობდით შემდეგ მისამართზე:

სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს ეს საქმე (მუხლი, რომელიც აძლევს სასამართლოს საქმის განხილვის უფლებას).

მოსარჩელე და მოპასუხე ორივენი არიან ..... ქვეყნის მოქალაქეები (მითითებულია ქვეყანა, რომლის მოქალაქეებიც არიან).

### **ნაწილი 4. სხვა პროცედურები და შეთანხმებები**

სასამართლოში აღძრული იყო სამართალწარმოება

ქორწინებასთან

სამოქალაქო პარტნიორობასთან

რომელიმე შვილთან

ან მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ქონებრივ საკითხთან დაკავშირებით (მიუთითეთ დეტალები)

ან მსგავს სამართალწარმოებას ადგილი არ ჰქონია

ეს შუამდგომლობა ეფუძნება 5 წლის განშორებას

შეთანხმება შედგა ან შეთავაზებულია მხარეების მიერ მოსარჩელის სასარგებლოდ (ბავშვის ან ბავშვების სასარგებლოდ)

შეთანხმება არ შემდგარა და არც შეთავაზება ყოფილა.

### **ნაწილი 5. ფაქტები**

მე ვშუამდგომლობ განქორწინების თაობაზე, რადგან ეს ფაქტი შეუქცევადია

ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, რადგან ეს ფაქტი შეუქცევადია

მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების თაობაზე და მე ვეყრდნობი შემდეგ ფაქტებს ჩემი შუამდგომლობის გასამყარებლად და მიზეზის ასახსნელად.

- მოპასუხემ ჩაიდინა ღალატის აქტი და მოსარჩელეს ამის გამო, აღარ შეუძლია თანაცხოვრების გაგრძელება მოპასუხესთან (ეს ფაქტი არ მოქმედებს სამოქალაქო პარტნიორობის შემთხვევაში)
- მოსარჩელის ქმედება და საქციელი არ აძლევს მოსარჩელეს მასთან თანაცხოვრების გაგრძელების საშუალებას
- მოპასუხემ მიატოვა მოსარჩელე სულ მცირე ორი წლით ადრე ამ შუამდგომლობის შემოტანამდე
- მეუღლეები/სამოქალაქო პარტნიორები სულ მცირე, ორი წლის მანძილზე მაინც შუამდგომლობის შემოტანამდე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ და მოპასუხე ეთანხმება გადანყვეტილებას
- მეუღლეები/სამოქალაქო პარტნიორები სულ მცირე ხუთი წლის მანძილზე მაინც შუამდგომლობის შემოტანამდე ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ.

## **ნაწილი 6. საქმის ფორმულირება**

(აღნიშნეთ და მოკლედ მიუთითეთ ფაქტის დამადასტურებელი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც თქვენ ეყრდნობით).

## **ნაწილი 7. ინფორმაცია ბავშვების თაობაზე**

### **ბავშვები და ოჯახი**

ბავშვის/ბავშვების სრული სახელი

სქესი

მდედრობითი                      მამრობითი

დაბადების თარიღი

**ოჯახში 16-დან 18 წლამდე მცხოვრები ბავშვები, რომლებიც სწავლობენ კოლეჯში, ეუფლებიან პროფესიულ ხელობას ან სრული დატვირთვით მუშაობენ.**

ორივე მხარის შვილები

ოჯახში მცხოვრები სხვა ბავშვი/ბავშვები

განაცხადი ბავშვის/ბავშვების შესახებ შეთანხმების თაობაზე

დაურთეთ შევსებული განაცხადი 16 წლამდე ან 18 წლამდე ოჯახში მცხოვრები ბავშვის/ბავშვების თაობაზე, რომლებიც სწავლობენ კოლეჯში ან ეუფლებიან პროფესიულ ხელობას.

განაცხადი დართული არ არის, რადგან ოჯახში არ არის ბავშვი ან ბავშვები, ან ოჯახში მცხოვრები ბავშვი/ბავშვები არიან 16 ან 18 წლამდე, არ სწავლობენ კოლეჯში და არ ეუფლებიან პროფესიულ ხელობას.

**ორივე მხარის ბავშვები, რომლებიც კონკრეტული ოჯახის შვილები არ არიან**

სქესი

მდედრობითი

მამრობითი

დაბადების თარიღი

ბავშვი მოსარჩელის შვილია ან მის მიერ არის შვილად აყვანილი

ბავშვი მოპასუხის შვილია ან მის მიერ არის შვილად აყვანილი.

**ნაწილი 8. საგანგებო დახმარება ან პირობები, თუ ესწრებით სასამართლო პროცესს**

თუ თქვენ ვალდებული ხართ დაესწროთ სასამართლო პროცესს, ხომ არ გჭირდებათ რაიმე სახის დახმარება ან განსაკუთრებული პირობები?

დიახ (მიუთითეთ რა ტიპის დახმარება გჭირდებათ)

არა.

**ნაწილი 9. ინფორმაცია მომსახურებაზე**

მე არ მყავს ადვოკატი

მე არ მყავს ადვოკატი, მაგრამ ვიღებ მისგან კონსულტაციას

მე მყავს ადვოკატი და ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა საბუ-

თი მას უნდა გაეგზავნოს

**ინფორმაცია ადვოკატზე**

სახელი, გვარი

ფირმის დასახელება

მისამართი, რომელზეც უნდა გაიგზავნოს საბუთები

საფოსტო კოდი

ტელეფონის ნომერი

ფაქსის ნომერი

ინდექსი საბუთების გასაგზავნად

ელექტრონული ფოსტის მისამართი

**მოსარჩელის მისამართი**

იგივე რაც ზემოთ

**მოპასუხის მისამართი**

იგივე რაც ზემოთ

**თანამოპასუხის მისამართი, თუ ასეთი არსებობს**

თანამოპასუხე არ არსებობს

თანამოპასუხე არსებობს

მისი მონაცემებია:

სახელი, გვარი

მისამართი საფოსტო კოდის ჩათვლით.

**ნაწილი 10.**

**მოთხოვნა-შუამდგომლობა**

**მოსარჩელე მოითხოვს – შუამდგომლობა**

1. განაცხადი

ქორწინება/სამოქალაქო პარტნიორობა იქნას გაუქმებული

ან სასამართლო გადანყვეტილებით იქნას განქორწინებული/დაშორებული

2. თანხა (იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე მოითხოვს თანხას მოპასუხისა ან თანამოპასუხისგან

მოპასუხეს – თანამოპასუხეს დაევალოს განაცხადის (სარჩელის) თანხის დაფარვა

3. ფინანსური დადგენილება (თუ თქვენ გნებავთ განაცხადის გაკეთება ფინანსური დადგენილების მისაღებად).

**ა) მოსარჩელეს ეძლევა ფინანსური სუბსიდია**

- განკარგულება ალიმენტის გადახდის თაობაზე.
- განკარგულება პერიოდული გადასახადის თაობაზე.
- გარანტირებული უზრუნველყოფა.
- განკარგულება ერთჯერადი მსხვილი თანხის გადახდაზე.
- განკარგულება საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირების თაობაზე.
- განკარგულება ფულადი დახმარების (პენსიის) გაყოფაზე.
- განკარგულება საკუთრებაზე დროებითი ყადაღის დადებაზე.

**ბ) ბავშვის/ბავშვების ინტერესები**

- პერიოდული გადასახადის განკარგულება.
- გარანტირებული უზრუნველყოფა.
- ერთჯერადი მსხვილი თანხის გადახდის განკარგულება.
- საკუთრებაზე უფლების დარეგულირების განკარგულება.

ხელმოწერა

თარიღი

## თავი IX

### პროვნიული კანონმდებლობა

მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს პროფესიული კომპეტენცია, როგორც სამართალში, ასევე სხვა სფეროში, რომლებიც უკავშირდება მისი სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებას. არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეთა და მაგისტრ მოსამართლეთათვის სამოსამართლო ეთიკის რეკომენდებულ პრინციპებზე მომუშავე კომიტეტის ანგარიშის მე-11 მუხლი.<sup>19</sup>

აღნიშნული დებულება აქტუალურია არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის სასამართლო პრაქტიკასთან მიმართებაში, სადაც მუდმივად ხდება სხვადასხვა პროფესიის ადამიანების, როგორებიცაა ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი, კრიმინალისტი და სხვა კომპეტენციების გადაკვეთა. ნარმოდგენილი პრინციპის ამგვარად ფორმულირებაც ამით იყო განპირობებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საოჯახო სამართლის თავი არეგულირებს მშობლებისა და შვილების ურთიერთობას. საოჯახო სამართლის თავით რეგულირდება:

- მშობლების მოვალეობები შვილების მიმართ, კერძოდ, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მშობლები უფლებამოსილი და მოვალენი არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით;
- განქორწინების შემთხვევაში შვილის მიკუთვნებისა და ალიმენტის დაკისრების საკითხი: განქორწინების შემთხვევაში შვილე-

---

<sup>19</sup> არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეთა და მაგისტრ მოსამართლეთათვის სამოსამართლო ეთიკის რეკომენდებულ პრინციპებზე მომუშავე კომიტეტის ანგარიში, 2010 წლის 17 მარტი. 2017 წლის 24 აპრილს, ჰამამეტში, ტუნისში გამართულ შეხვედრაზე არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეთა და მაგისტრ მოსამართლეთა საერთაშორისო ასოციაციის გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო ანგარიში და რეკომენდაციები არასრულწლოვანთა და საოჯახო სამართლის მოსამართლეთა და მაგისტრ მოსამართლეთა სამოსამართლო ეთიკის პრინციპების შესახებ.



ბის მიმართ მშობლებს აქვთ თანაბარი უფლებები და თანაბარი მოვალეობანი. შვილების აღზრდის ყველა საკითხს და ალი-მენტს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. შეუთან-ხმებლობის შემთხვევაში, სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით.<sup>20</sup>

თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზე დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადანყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.<sup>21</sup>

### **მშობლის უფლებების შეზღუდვა და მშობლის უფლებების ჩამორთმევა**

მეურვეობისა და მზრუნველობის საკითხი: სასამართლოს შეუძლია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში შეაჩეროს ან ჩამოართვას მშობელს მშობლის უფლება. მშობლის უფლების ჩამორთმევა, როგორც უკიდურესი ზომა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადანყვიტებით მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს ან 14 წლის ბავშვის ინიციატივით. მშობლებს ან (ერთ-ერთ მათგანს) შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლება თუ გამოირკვა, რომ ისინი (ან ერთი მათგანი) სისტემატურად არიან თავს შვილების აღზრდის მოვალეობას ან ბოროტად იყენებენ მშობლის უფლებას – სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მათზე გავლენას ახდენენ მათზე თავიანთი ამორალური ყაფაქცევით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ქრონიკული ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებული პირები არიან.<sup>22</sup>

მომრავლებული განქორწინებების ფონზე, ხშირია ყოფილ მეუღლეებს შორის შვილებთან დაკავშირებული დავების შემთხვევები. ამ შინაარსის დავები ხშირად სასამართლომდე არც აღწევს და სა-

<sup>20</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1197-ე და 1198-ე მუხლები, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786- III, 1997.

<sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1201-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786- III, 1997.

<sup>22</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 1206-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786- III, 1997.

კმაოდ რთულ ფორმებსაც იღებს ხოლმე. მშობლის უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლოს შეუძლია შეზღუდოს მშობლის ერთი ან რამდენიმე უფლება და მოვალეობა მშობლის სხვა უფლებებისა და მოვალეობებისაგან დამოუკიდებლად. გარდა მოვალეობისა და უფლების შეზღუდვისა, სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს კიდეც მშობლის უფლება.<sup>23</sup> ერთმანეთზე განაწყენებული განქორწინებულები, ხშირ შემთხვევაში, ბოლოს იქამდე მიდიან, რომ ყოფილი მეუღლისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევას ითხოვენ. მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება და აქვთ უფლება განსაზღვრონ, თუ ვისთან და სად უნდა იცხოვროს შვილმა. მშობლებს ენიჭებათ უფლება და ეკისრებათ ვალდებულება, ჰქონდეთ ურთიერთობა თავიანთ შვილებთან. მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებების და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში.<sup>24</sup>

სამოქალაქო კოდექსში ბოლო დროს შეტანილი ერთ-ერთი სიახლის თანახმად, თავად არასრულწლოვანს აქვს დაცვის უფლება მშობელთა მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევისას, მათ შორის, მშობლების (ერთ-ერთი მშობლის) მიერ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული მოვალეობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებისას ან მშობლის უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანს, უკვე 14 წლის ასაკიდან აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს.<sup>25</sup> როგორც სასამართლოში განმარტავენ, მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს. კანონის შესაბამისად, შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი, სადავო საკითხს წყვეტს სასამართლო მშობლების მონაწილეობით.

<sup>23</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1205-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786- IIს, 1997.

<sup>24</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1205-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786- IIს, 1997.

<sup>25</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1198-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786- IIს, 1997.

თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება, გადანყვიტოს ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი, წყვეტს სასამართლო, ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით.<sup>26</sup>

რაც შეეხება მშობლის უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევას. მშობლის უფლების ჩამორთმევა უკანასკნელი, უკიდურესი ზომია, რაც უკიდურეს შემთხვევაში ხდება და რის შესახებაც გადანყვიტილებას იღებს მხოლოდ სასამართლო. კანონმდებლობის მიხედვით, მშობელს, რომელიც სისტემატურად თავს არიდებს მშობლის მოვალეობის შესრულებას, ბავშვს უხეშად ექცევა, მასზე უარყოფით გავლენას ახდენს ამორალური საქციელით, ან რომელიც ქრონიკული ალკოჰოლიკი ან ნარკომანია, ჩამოერთმევა მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა. მსგავსი შინაარსის საქმეებზე სასამართლოებში გადანყვიტილება ბავშვის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით გამოდის.<sup>27</sup>

კანონმდებლობა მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენის მექანიზმსაც ითვალისწინებს. უფლებებისა და მოვალეობების ჩამორთმევიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, უფლება ჩამორთმეულ მშობელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა მოითხოვოს.

მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ სასამართლო წესით, ბავშვის ერთ-ერთი მშობლის ინიციატივით. მშობლის უფლებებისა და მოვალეობების აღდგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მშობლის უფლების შეზღუდვის ან ჩამორთმევის საფუძველი აღარ არსებობს.<sup>28</sup>

არასრულწლოვნის „უპირატესი ინტერესი“ (main interest) – მიიღოს მშობლებისგან ის სამართლებრივი სიკეთე, რაც აუცილებელია მისი საზოგადოებაში ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისათვის, უპი-

<sup>26</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1201-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786- IIს, 1997.

<sup>27</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1206-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786- IIს, 1997.

<sup>28</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1209-ე მუხლი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №786- IIს, 1997.

რისპირდება მშობლის უფლებას – ინოვაციებს და იურიდიულად იყოს მითითებული ბავშვის მამად. არასრულწლოვანი ბავშვის ამ ლეგიტიმური ინტერესის დაცვას ეძღვნება ეროვნული კანონმდებლობის – სამოქალაქო კოდექსის არა ერთი ნორმა, ბავშვის ეს უფლება გარანტირებულია ასევე, უნივერსალური საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, რომლებიც სახელმწიფო მხრიდან აწესებენ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვის ამგვარი ინტერესის დაცულობა. აღნიშნული მოიცავს სახელმწიფოს მხრიდან არა მხოლოდ ნეგატიური ჩარევის დაუშვებლობას (რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაარღვიოს არასრულწლოვანისთვის კანონით მინიჭებული უფლებები), არამედ აწესებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასაც – განახორციელოს აქტიური მოქმედებები არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დაცვისათვის, კერძოდ, შეიმუშავოს არასრულწლოვნის უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად საკანონმდებლო რეგულაციები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავის მხრივ, სასამართლოს გადანყვეტილება, რომელიც „სახელმწიფოს სახელით“ გამოტანილი სამართლებრივი დოკუმენტი და შეეხება არასრულწლოვნის ინტერესებს, არის სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების ყველაზე ნათელი მაგალითი.

## თავი X

### დედამიწვილების განცალკევება მშობლების განქორწინების დროს

#### სასამართლო პრაქტიკა

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მშობლების განქორწინებისას ხდება და-ძმის ან დების ან ძმების დაშორება და ერთი ბავშვი მიეკუთვნება ერთ მშობელს, ხოლო მეორე – მეორეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში „ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ“ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა).

საქმე ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ<sup>29</sup> ეხებოდა შვედეთის ხელისუფლების გადანყვეტილებას მომჩივანთა სამი შვილის (სტეფანი, ჰელენა და თომასი) სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მოქცევის შესახებ. სტეფანი გადასცეს მიმღებ ოჯახს, რომელიც ცხოვრობდა 100 კმ-ის დაშორებით მშობლების საცხოვრებელი ადგილიდან; ჰელენა და თომასი გადასცეს სხვადასხვა მიმღებ ოჯახს, 100 კმ-ით დაშორებით ერთმანეთისაგან და 600 კმ-ით დაშორებით მშობლებისაგან. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათი შვილების მოთავსება ასეთი დიდი მანძილით დაშორებულ მიმღებ ოჯახებში, იყო ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა. ამ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ გააკეთა მნიშვნელოვანი განმარტება:

„...პირველ რიგში, სასამართლო, აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში არ დგას ბავშვების გაშვილების საკითხი. ამიტომ გადანყვეტილება მზრუნველობის შესახებ დროებით ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს, რაც შეწყდება გარემოებების გაუმჯობესებისთანავე, ხოლო გატარებული ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს ოლსონების ოჯახის ხელახლა გაერთიანების მიზანს.

ფაქტობრივად, შვედეთის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები ეწინააღმდეგება ასეთ მიზანს. კავშირები ოჯახის წევრებს

<sup>29</sup> Olsson v. Sweden (N 1), 24 მარტი 1988, Series A N 130.

შორის და მათი წარმატებული გაერთიანება ძალაუნებურად შესუსტდება, თუ შეიქმნა დაბრკოლებები მათ შორის, იოლი და რეგულარული კონტაქტებისათვის. ჰელენასა და თომასის ყოფნას თავიანთი მშობლებისა და სტიფანისაგან ასეთ დიდ მანძილზე, უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა მათ ურთიერთობაზე“.

ამდენად, ევროპულმა სასამართლომ ნათელი მოჰფინა საკითხს – გადაწყვეტილება ბავშვების მზრუნველობის ქვეშ მოქცევის შესახებ ისე უნდა მიიღოს, რომ უზრუნველყოფილი იყოს მშობლების იოლი და რეგულარული კონტაქტი შვილებთან, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის ხელახლა გაერთიანების საბოლოო მიზანს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ თუ მშობლებსა და შვილს (შვილებს) შორის კონტაქტი მავნე გავლენას ახდენს შვილზე, მათ შორის მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, გარკვეული დროის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ კონტაქტის შეზღუდვა ან უკიდურეს შემთხვევაში აკრძალვა შეიძლება არ ჩაითვალოს არაგონივრულად.

### **თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 05 ოქტომბრის გადაწყვეტილება**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 05 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, თ.ხ-ს სარჩელი დაკმაყოფილდა. მცირეწლოვანი ბავშვების – 2007 წლის 20 ივლისს დაბადებული თ.გ-ს და 2006 წლის 06 აგვისტოს დაბადებული რ.გ-ს საცხოვრებელ ადგილად განისაზღვრა დედის – თ.ხ-ს საცხოვრებელი ადგილი.

თ.ხ-ს და ზ.გ-ს ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი: 2007 წლის 20 ივლისს დაბადებული თ. გ. და 2006 წლის 06 აგვისტოს დაბადებული რ.გ.

თ.გ. ამჟამად ცხოვრობს დედასთან – თ.ხ-სთან, ხოლო რ.გ. ცხოვრობს მამასთან – ზ.გ-სთან, ქობულეთის რაიონის სოფელ გ-ში.

მოსარჩელე თ.ხ-ს ბავშვების რჩენა-აღზრდისათვის აქვს ნორმალური პირობები. ოჯახში არის შექმნილი ბავშვებზე მზრუნველი გარემო და მათი განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები.

სასამართლომ მიუთითა, რომ მცირეწლოვანი და-ძმის დაშორება

სერიოზულ ზიანს მიაყენებს ბავშვების ფსიქიკას. იმისათვის, რომ დაცული იყოს ბავშვების უფლებები, საჭიროა ისინი იზრდებოდნენ ერთად.

სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ „მოპასუხის მოთხოვნის შესაბამისად, არასრულწლოვანი რ.გ-ს აღსაზრდელად მამისათვის დატოვება და და-ძმის ურთიერთდაშორებით გაზრდა ვერ შეუწყობდა ხელს საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული ურთიერთობის ჩამოყალიბებას ოჯახის წევრებს შორის, ამასთანავე უკანონოდ ხელყოფდა ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებებს ინდივიდუალობისა და ოჯახური კავშირების შენარჩუნების შესახებ. ამავე კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულიებას იღებენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა“.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივი ადამიანების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელი არიან ბავშვზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით. კანონი პატივს სცემს რა მშობლის უფლებას ურთიერთობა იქონიონ შვილებთან, აღნიშნული უფლების განხორციელების საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობას ანიჭებს ბავშვის ინტერესებს.

სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვების ასაკისა და მათი უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, ამავდროულად მშობლების კანონით გარანტირებული უფლებების შესაბამისად, არასრულწლოვანი და-ძმის საცხოვრებელ ადგილად უნდა განსაზღვრულიყო დედის საცხოვრებელი ადგილი და ისინი უნდა აღზრდილიყვნენ ერთად.

საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია სპეციალისტის მონაწილეობა პროცესში და მისი დასკვნის საფუძველზე ბავშვის საც-

ხოვრებელი ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ დედას აქვს ბავშვების აღზრდისთვის პირობები, არ არის საკმარისი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის გადასაწყვეტად. გადამწყვეტია ბავშვის დამოკიდებულება უკვე არსებული საცხოვრებელი პირობებისადმი. ამ საკითხის გამოკვლევისას სააპელაციო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სპეციალისტის მოსაზრება და ისე იმსჯელოს რ. გ-ს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზანშეწონილობაზე. კერძოდ, ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას როგორც საცხოვრებელი ადგილის პირობების სათანადობის გარკვევა, ასევე ბავშვის ფსიქიკური მონაცემების და მოსალოდნელი ცვლილებებისადმი მისი მოსალოდნელი დამოკიდებულების გარკვევა.

ზ.გ. და თ.ხ. ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ამასთან, ისინი ვერ თანხმდებიან ბავშვების საცხოვრებელ ადგილზე.

სააპელაციო სასამართლომ მიერ სხდომაზე რ. გ-ს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიზანშეწონილობის საკითხის გადასაწყვეტად, მონვეულ იქნა ფსიქოლოგთა კონსულტაციების და ტრენინგების ცენტრიდან ფსიქოლოგი.

სხდომაზე ფსიქოლოგმა ბავშვებზე დაკვირვების შემდგომ განმარტა, რომ ბავშვებს შორის არის არავერბალური კონტაქტი და ფსიქოლოგიური კავშირი მათ შორის არსებობს. ბავშვებს ერთმანეთთან აქვთ მიზიდულობა. ძალიან მტკივნეულად განსაცდელია მოზარდებისათვის ასეთ ასაკში დედასა და მამას შორის კონფლიქტის არსებობა, მაგრამ ურთულესია დაძმების დაშორება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით და დაუშვებელია, მით უმეტეს, როცა ასაკობრივი სხვაობა არც თუ ისე დიდია მათ შორის. ბავშვებს არ გაუჭირდებათ ერთად ყოფნა ფიზიკურად, რადგან ფსიქოლოგიურად ერთად არიან. დედასთან იქნებიან ისინი თუ მამასთან, ბავშვები უნდა იყვნენ ერთად. ფსიქოლოგმა ასევე განმარტა, რომ დამამას ძალიან დიდი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური კავშირი აქვს. ის ასაკი კი, რა ასაკშიც იმყოფებიან რ. გ. და მისი და ანუ ხუთ წლამდე ასაკი, ყველაზე სახიფათო ასაკია, ვინაიდან პიროვნების მთელი ნიშან-თვისებები, რომლებიც შემდგომში რაოდენობრივად და სიტუაციურად ვლინდება, ხუთ წლამდე ასაკში ყალიბდება. ბუნებრივია, რომ ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს დისკომფორტი საცხოვრებელი პირობების შეცვლის გამო, თუმცა, პრიორიტეტი ენიჭება და-



ძმის ერთად აღზრდას, მით უფრო, რომ მათზე დაკვირვებისას ცალსახაა, რომ დღეის მდგომარეობით ისინი მხოლოდ ფიზიკურად არ არიან ერთად.

ფსიქოლოგის განმარტების გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ არასრულწლოვანი რ.გ-ს საცხოვრებელი პირობების შეცვლით გამონვეული სავარაუდო უარყოფითი ემოცია შესაძლოა გაქარწყლდეს დასთან თანაცხოვრებით და ფიზიკური კავშირის აღდგენით.

საქმეში წარმოდგენილი გლდანი-ნაძალადევის რაიონის სოციალური მომსახურების სამსახურის სოციალური მუშაკის დასკვნის თანახმად, მოსარჩელე თ.ხ-ს აქვს დამაკმაყოფილებელი საყოფაცხოვრებო პირობები ბავშვების სრულფასოვანი აღზრდისათვის. ბავშვის აღზრდაში მას ეხმარებიან მშობლები, ოჯახს ეკონომიკური პრობლემები არ გააჩნია, ბავშვის საქიროებები დაკმაყოფილებულია.

ქობულეთის რაიონული განყოფილების სოციალური მუშაკის დასკვნა-რეკომენდაციით ირკვევა, რომ რ.გ. დედაზე საუბრისას ხდება მონყენილი, თუმცა სიხარულით ყვება თუ როგორ წაიყვანა მამამ იგი დედის სანახავად.

ბავშვების ასაკის და დედის საყოფაცხოვრებო პირობების გათვალისწინებით, და-ძმის ერთად აღზრდის უზრუნველყოფის მიზნით, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს რ.გ-ს აღსაზრდელად დედისთვის გადაცემას.

აღნიშნულ საქმეზე, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ არასრულწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მშობლების უფლება-მოვალეობათა სრული თანასწორობისა და ბავშვის სწორი აღზრდის ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, ბავშვის აღზრდის ინტერესებში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მშობლების მატერიალური პირობები, უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, თუ როგორი მორალური გარემოს შექმნას შეძლებენ მშობლები ბავშვისათვის მათი მატერიალური მდგომარეობის, ასაკის, მორალური სახის, ინტელექტუალური დონის და ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის ხარისხის გათვალისწინებით.

კანონი არ ცნობს რომელიმე მშობლის უპირატეს უფლებას შვილე-

ბის მიმართ, ვინაიდან, არა უფლებათა უპირატესობა, არამედ ბავშვის სწორად აღზრდის ინტერესები უნდა იყოს ამ დროს გადამწყვეტი.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უკეთესი საყოფაცხოვრებო პირობების ქონა ყოველთვის ვერ იქნება გადამწყვეტი ბავშვების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას. ამ დროს, როგორც უკვე აღინიშნა, ასევე გასათვალისწინებელია, თუ როგორი მორალური გარემოს შექმნას შეძლებენ მშობლები ბავშვისათვის მათი მატერიალური მდგომარეობის, ასაკის, მორალური სახის, ინტელექტუალური დონის და ბავშვის აღზრდაში მონაწილეობის ხარისხის გათვალისწინებით.

## თავი XI

### ბავშვის საუკეთესო ინტერესები

#### 11.1 სასამართლო პრაქტიკა

##### ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე ნულინდერი და შურუკი შვეიცარიის წინააღმდეგ<sup>30</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დიდი პალატის 2010 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებაში საქმეზე ნულინდერი და შურუკი შვეიცარიის წინააღმდეგ განმარტა, რომ „ბავშვის ინტერესი ორი ასპექტისაგან შედგება. ერთი მხრივ, ინტერესი მოგვიწოდებს, რომ ბავშვის კავშირი ოჯახთან შენარჩუნებული იყოს გარდა იმ შემთხვევისა, როცა ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ოჯახური კავშირები შეიძლება განყვეტილ იქნეს მხოლოდ გამონაკლის ვითარებაში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირველადი უთიერთობების შესანარჩუნებლად და როცა ეს შესაძლებელია, უნდა „აღდგეს“ ოჯახი. მეორე მხრივ, ცხადია ისიც, რომ ბავშვის ინტერესშია, უზრუნველყოფილ იქნეს მისი განვითარება ჯანსაღ გარემოში და მშობელი არ შეიძლება აღიჭურვოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული უფლებით იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რაც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილია მშობლების თანასწორუფლებიანობის პრინციპი შვილების მიმართ. მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით. მშობლების უფლებები არ უნდა განხორციელდეს ისე, რომ ამით ზიანი მიადგეს ბავშვის ინტერესებს.

მითითებული საკანონმდებლო დანაწესების ანალიზი იძლევა ცალსახა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მშობელთა უპირ-

<sup>30</sup> Neulinger and Shuruk v. Switzerland [დიდი პალატა], N 41615/07, ECHR 2010.

ველესი მოვალეობა ბავშვის ჰარმონიული აღზრდა-განვითარება, ოჯახური გარემოს შექმნა და ამ კუთხით მისაღები ნებისმიერი გადანყვეტილებისას უპირატესობა არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებს ენიჭება, შესაბამისად, ჩარევის პროპორციულობის დასაშვები ზღვარი იმის უალტერნატივოდ დადგენაა, რომ ამგვარი ჩარევა წარმოადგენს ერთადერთ სწორ და მისაღებ გადანყვეტილებას არასრულწლოვნის/მცირეწლოვნის, როგორც საზოგადოების მომავალი სრულუფლებიანი და ღირსეული წევრის განვითარებაში.

### **საქმე №ას-53-51-2016. 6 ივლისი, 2016 წელი**

აღნიშნულ საქმეში, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საპროცესო რეალიზაციის წესზეც. საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცალკე თავის სახით არის გამოყოფილი, რადგან მას ახასიათებს გარკვეული თავისებურებები. ამ თავისებურებას განაპირობებს საოჯახო ურთიერთობების სპეციფიკა, რომელიც უპირატესად ატარებს პირადულ და განგრძობად ხასიათს. ერთ-ერთ ფუნდამენტურ თავისებურებას საოჯახოსამართლებრივი დავების განხილვისას, სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვისაგან განსხვავებით, წარმოადგენს ინკვიზიციურობის პრინციპის უფრო ფართოდ გამოყენება. მართალია, საოჯახოსამართლებრივი ურთიერთობები განეკუთვნება კერძოსამართლებრივი ურთიერთობების სფეროს, მაგრამ ამ ურთიერთობების განვითარებითა და სიმტკიცით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სასამართლო ინარჩუნებს უფლებას, დაადგინოს ის გარემოებები, რომელთა აუცილებლობა განაპირობებს არასრულწლოვანის ინტერესებისათვის ყველაზე კეთილსაიმედო გადანყვეტილების მიღებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს, რომელიც იხილავს კონკრეტულ საოჯახოსამართლებრივ დავას, მინიჭებული აქვს უფლება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილისა და 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არ დასჯერდეს მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და თავისი ინიციატივით განსაზღვროს იმ გარემოებათა წრე, რომელთა დადგენის გარეშე შეუძლებელია საქმის სწორად გადანყვეტა (მტკიცების საგანი). მაშასადამე, საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა და მას უპირატესობა ენიჭება ამავე კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგად ნორმასთან შედარებით.

საოჯახო საქმეთა განხილვისას პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლოს აძლევს უფლებას „წარმართოს საქმის წარმოება“, რაც ნიშნავს, რომ სასამართლო არსებით გავლენას ახდენს საქმის მიმდინარეობასა და პროცესის შედეგზე. სასამართლომ საქმის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებმა წარადგინონ განმარტებები და შესაბამისი შუამდგომლობები. სასამართლოს აკისრია ვალდებულება, მისცეს მხარეებს განმარტებები, რომლითაც ისინი გადალახავენ დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებიდან გამომდინარე სიძნელეებს.

შეჯიბრებითობის პრინციპის პარალელურად, სასამართლოს გადაცემული აქვს პროცესის მატერიალური ხელმძღვანელობის უფლებამოსილება. თუმცა, აქედგება ამ ორი პრინციპის, მხარეთა შეჯიბრებითობისა და სასამართლოს აქტიურობის პრინციპების პროპორციის საკითხი. ამიტომაც, შეჯიბრებითობის პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სასამართლოს უკიდურესი პასიურობა. საპროცესო კანონმდებლობით სასამართლოს არ ერთმევა უფლება, შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები, ასე მაგალითად, მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან დავა შეეხება არასრულწლოვანის კანონიერ ინტერესებს, აქ უპირატესია ბავშვის აღზრდის, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში წარმატებული ადაპტაციისათვის აუცილებელი წინაპირობების გათვალისწინება. შესაბამისად, არასრულწლოვანთან მიმართებით ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოს ამოსავალი ნერტილი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბერის კონვენციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის შესაბამისად, მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში, კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს. ამავე კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მშო-

ბელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ ევრო საბჭოს ნეკრი სახელმწიფოების მინისტრთა კომიტეტის R(84)4 რეკომენდაციის პირველი პრინციპის თანახმად, მშობლის პასუხისმგებლობა არის ვალდებულებებისა და უფლებამოსილებების ერთობლიობა, რომელიც მონოდებულისა უზრუნველყოს ბავშვის მორალური და მატერიალური კეთილდღეობა კერძოდ, ბავშვის მოვლა, ბავშვთან პირადი ურთიერთობების შენარჩუნება, და მისი უზრუნველყოფა განათლებით, რჩენისათვის საჭირო სახსრებით, ოფიციალური წარმომადგენლობით და მისი ქონების ადმინისტრირებით.

ამავე რეკომენდაციის მე-2 პრინციპის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მშობლის პასუხისმგებლობის განსაზღვრასთან ან ამ პასუხისმგებლობის განხორციელების გზებთან დაკავშირებით უპირველესად უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის ინტერესებს.

მაშასადამე, სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ სხვა კატეგორიის საქმეთაგან განსხვავებით, საოჯახოსამართლებრივი დავების განხილვა ინკვიზიციური ელემენტებითაა გაჯერებული, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის საფუძველზე კანონმდებელი შესაძლებლად მიიჩნევს საქმის გარემოების დადგენას სასამართლოს ინიციატივითაც. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მითითებული საპროცესო წესის გამოყენება სააპელაციო სამართალწარმოების

ეტაპზე მით უფრო გამართლებულია, რამდენადაც სააპელაციო სასამართლო, როგორც სამართალწარმოების მეორე ინსტანცია, დავის ფაქტობრივი გარემოებების დამდგენი სასამართლოა და ამავდროულად კოდექსის 380-ე მუხლით, მას ახალ მტკიცებულებათა მიღების შესაძლებლობაც გააჩნია. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, როდესაც საკითხი სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ სასამართლოს პოზიტიურ ვალდებულებას შეეხება, სასამართლომ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა ზედმიწევნით სწორად დაადგინოს არასრულწლოვანის ქვამარიტი ინტერესები. ბავშვების მიმართ ყველა მოქმედებაში, იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას (ბავშვთა უფლებათა კონვენციის 3.1 მუხლი). ბავშვი არ უნდა განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელთან განშორებული ბავშვის უფლებას, რეგულარულ საფუძველზე პირადი ურთიერთობა და პირდაპირი კონტაქტები იქონიოს ორივე მშობელთან, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს წინააღმდეგობა (ამავე კონვენციის 9.1. და 9.3. მუხლები).

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ“ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სიკეთეში ჩარევის „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების“ სწორი შეფასებისათვის, საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე: ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ (იოჰანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ)<sup>31</sup> აღნიშნა, რომ ბავშვთან გაერთიანების შესახებ საკითხის გადაწყვეტისას, მშობლის ინტერესსა და ბავშვის ინტერესს შორის უნდა იქნას დაცული ბალანსი. აღნიშნული ბალანსის ძიებისას, სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს ბავშვის

<sup>31</sup> Johansen v. Norway, 7 აგვისტო 1996, განჩინებათა და გადაწყვეტილებათა ანგარიშები, 1996-III.

ინტერესებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს პრიორიტეტული მნიშვნელობა მშობლის ინტერესებთან მიმართებით. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გაერთიანების საკითხის გადანყვეტისას, ანგარიშგასანევ ფაქტორებს წარმოადგენს ოჯახური ცხოვრება, მშობლებთან თანაბარი ურთიერთობის შესაძლებლობა და სხვა ისეთი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვანის სრულფასოვან აღზრდა-განვითარებას შეუწყობს ხელს. ასეთ სიტუაციაში შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც – ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი. სტრასბურგის სასამართლოს განმარტებით, მშობლებსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პარაგრაფის ფარგლებში, წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (სილიზი ნიდერლანდების წინააღმდეგ)<sup>32</sup>. ერთ-ერთ საქმეზე სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო იმ ბავშვების მიმართ, რომლებიც მშობლების განქორწინებამდე ერთად, ერთ სახლში ცხოვრობდნენ (ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ)<sup>33</sup>. კონვენციის მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს, თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებადი პრინციპები იდენტურია: ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნას შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით (ტუკუაბო-ტეკლე და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ)<sup>34</sup>. საქმეზე მუსტაფა და არმაღან აკინი თურქეთის წინააღმდეგ<sup>35</sup> სასამართლომ მიიჩნია, რომ

<sup>32</sup> *Ciliz v. the Netherlands*, N 29192/95, ECHR 2000-VIII.

<sup>33</sup> იხ: ზემოთ.

<sup>34</sup> *Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands*, N 60665/00, 1 დეკემბერი 2005.

<sup>35</sup> *Mustafa and Armađan Akın v. Turkey*, N 4694/03, 6 აპრილი 2010.



ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილება ბავშვების განცალკევების თაობაზე წარმოადგენდა მომჩივნების ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევას. აღნიშნული გადანყვეტილება არა მხოლოდ და-ძმას უკრძალავდა ერთმანეთის ნახვას, არამედ, პირველი მომჩივნისთვის (მამისათვის) შეუძლებელს ხდიდა, ორივე შვილი ერთდროულად ენახა. საკითხის განხილვისას მხედველობაში იქნა მიღებული მე-8 მუხლთან მიმართებით დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკა, რომელიც ხაზს უსვამს ხელისუფლების ვალდებულებაზე, იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით (მასლოვი ავსტრიის წინააღმდეგ).<sup>36</sup> გარდა ამისა, გადანყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასება სტრასბურგის სასამართლოსგან მოითხოვს, დაადგინოს, ჰქონდა თუ არა შიდა სასამართლოების გადანყვეტილებას საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს მოწმეთა ჩვენებებს, კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოთა დასკვნებს, ფსიქოლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო ცნობებს); აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ბავშვებს, მიეცათ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (ჰაველკა და სხვები ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ),<sup>37</sup> (ჰაასი გერმანიის წინააღმდეგ).<sup>38</sup> სტრასბურგის სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის პოზიცია, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადანყვეტილებები და-ძმას ერთმანეთის ნახვას არ უკრძალავდა, ვინაიდან ბავშვები სამეზობლოში ცხოვრობდნენ და ამრიგად, ერთმანეთთან კონტაქტის შენარჩუნება შესაძლებელი იყო. სასამართლოს განმარტებით, ბავშვებს შორის კავშირის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო და აღნიშნულის მშობლების დისკრეციისა და ახირებისთვის მინდობა დაუშვებელი იყო. დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული ეროვნული სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანთათვის შაბათ-კვირის ერთად გატარება იქნებოდა მიუღებელი ცვლილება ბავშვისათვის, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. ალტერნატივის სახით, მომჩივნების მიერ შეთავაზებული ვარიანტი შეუფერებლადაც რომ მიეჩნია, ეროვნულ სასამართლოს შეეძლო, ბავშვების მიერ ერთმანეთის ნახვის სხვა მეთოდები განეხილა და ამრიგად, დაეცვა კონვენციის მე-8 მუხლით

<sup>36</sup> Maslov v. Austria [დიდი პალატა], N 1638/03, ECHR 2008.

<sup>37</sup> Havelka and Others v. the Czech Republic, N 23499/06, 21 ივნისი 2007.

<sup>38</sup> Haase v. Germany, N 11057/02, ECHR 2004-III (ამონარიდები).

გათვალისწინებული მათი უფლებები. სტრასბურგის სასამართლო აგრეთვე, არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტს, რომ ცალკე მცხოვრები შვილის მიერ ყოველი შაბათ-კვირის მამასთან ერთად გატარება უარყოფითად იმოქმედებდა მის განვითარებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს აღნიშნული არგუმენტის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულება, როგორცაა ფსიქოლოგის ან სხვა ექსპერტის შეფასებები. მშობლებისა და შვილების მიერ ერთმანეთის კომპანიით ორმხრივად სარგებლობა კონვენციის „ოჯახური ცხოვრების“ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (კუცნერი გერმანიის წინააღმდეგ)<sup>39</sup>.

სტატისტიკის მიხედვით, უმეტესწილად, დედები არიან მეურვეები და მთავარი როლი ეკუთვნით ბავშვის მოვლასა და მასზე ზრუნვაში, როგორც განქორწინებამდე, ისე განქორწინების შემდეგ. უამრავი კვლევა ადასტურებს, რომ ბავშვის კეთილდღეობისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დედის მიერ მშობლის ფუნქციის სრულყოფილად შესრულებას ანუ მთავარი მეურვის როლში ყოფნას. ბუნებრივია, რომ ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს არა რეზიდენტი ანუ არა მეურვე მამის როლს და მასთან ურთიერთობას, თავისუფალი დროის მასთან გატარებას, გასართობად წასვლას, მაშინ, როდესაც დედის ფუნქცია ამის გარდა, ბავშვზე ზრუნვას, მის კვებას, პირადი ჰიგიენის დაცვას, დაძინებას, მის ყოველდღიურ საჭიროებებზე ზრუნვასაც მოიცავს, მით უფრო, როდესაც საუბარია მცირეწლოვან ბავშვზე და მით უფრო გოგონაზე, თუმცა არის უამრავი შემთხვევა, როდესაც მამას ვანიჭებთ უპირატესობას, იმიტომ რომ უკეთ აკმაყოფილებს ზემოთ დასახელებულ პარამეტრებს. მაგრამ ეს დოგმა არაა და სასამართლო დავის დროს, სასამართლომ უნდა მიაქციოს ყურადღება მხარეთა არგუმენტებს, სოციალური სამსახურისა და ფსიქოლოგის დასკვნებს და რაც მთავარია, გაითვალისწინოს „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები“.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მე-3 მუხლი, არ გაითვალისწინა ამ ნორმის თაობაზე ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ 2013 წელს გაკეთებული ზოგადი (№ 14) კომენტარი. ამ თვალსაზრისით არ შეუფასებია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხი და ის, თუ

---

<sup>39</sup> Kutzner v. Germany, N 46544/99, ECHR 2002-I,

დედის საცხოვრებლის მიხედვით მისი საცხოვრებლის განსაზღვრით რა სულიერი და ფსიქოლოგიური ტრავმა შეიძლება მიადგეს ბავშვს. მართალია, როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს, ისე ფსიქოლოგის დასკვნაში, საუბარია დედა-შვილის მიჯაჭვულობაზე, თუმცა, პალატას არ შეუფასებია მამა-შვილისა და დების მიჯაჭვულობის საკითხი. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვი უკვე ერთი წელია ცხოვრობს მამისა და დის გარემოში, დედის გარეშე და ამ გარემოს შეცვლამ შესაძლოა მას ზიანი მოუტანოს. სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის საპირისპიროდ, სასამართლომ არასწორად არ მიანიჭა უპირატესობა მამის საცხოვრებელს და სრულიად გაუმართლებლად „გაყო“ ბავშვები. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს დედამამიშვილების დაშორების საკითხი, რადგანაც, მოცემულ შემთხვევაში, ამ გამონაკლისის დაშვების საფუძველი არ არსებობდა.

### საქმე №ას-967-916-2015

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მოცემულ საქმეში, მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ 1980 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად, არასრულწლოვანი ბავშვის გერმანიაში დაბრუნებასთან დაკავშირებით. უზენაესი სასამართლოს განხილვის საგანი იყო არასრულწლოვნის საქართველოში ყოფნის მართლზომიერება, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობისა და დასკვნების გაანალიზება, რათა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სამართლებრივად შეფასებულიყო კასატორის პრეტენზია იმ კონტექსტში, რომ ბავშვი არამართლზომიერად არის დაკავებული საქართველოში. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ განმარტა, რომ: „ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, იქ სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების შესა-

ფერისი მიღება“. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოდავე მხარეებიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, უთითებენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობაზე, რაც სასამართლოს არწმუნებს, რომ მშობლები სწორედ არასრულწლოვანის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებით იმოქმედებენ წინამდებარე გადაწყვეტილების აღსრულებისას და თითოეული მათგანი შვილის უპირატეს ინტერესს აღიარებს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფციის უზენაესობა ყოველთვის გადაწონის მშობლის უფლებასა და ინტერესს.

## **11.2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება სამოქალაქო ურთიერთობებში**

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს, რომ ბავშვებთან დაკავშირებით ნებისმიერი მოქმედების განხორციელებისას, საჯარო ან კერძო სოციალური კეთილდღეობის დანესებულებების, სასამართლოების, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.<sup>40</sup> სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ბავშვთა კეთილდღეობაზე.<sup>41</sup> ბავშვზე ზრუნვის ყველა საჯარო, კერძო და მოხალისეობრივი დანესებულება და სერვისი უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს.<sup>42</sup> კონვენცია მიუთითებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების ვალდებულების შესახებ, ასევე, ისეთ საკითხებზე, რომლებიც ეხება მშობლის ვალდებულებებს,<sup>43</sup> ოჯახის გაერთიანებას,<sup>44</sup> ბავშვის განცალკევებას მშობლისგან, ოჯახური გარემოსგან მოშორებას და ალტერნატიულ ზრუნვას,<sup>45</sup> შვილად აყვანას.<sup>46</sup>

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია მოითხოვს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა მიიღონ

---

<sup>40</sup> მუხ. 3.1.

<sup>41</sup> მუხ. 3.2.

<sup>42</sup> მუხ. 3.3.

<sup>43</sup> მუხ. 18.1.

<sup>44</sup> მუხ. 10.

<sup>45</sup> მუხ. 9.

<sup>46</sup> მუხ. 20.

ყველა საჭირო ზომა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებმა სხვა ბავშვების თანასწორად ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ქმედებაში, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესები.<sup>47</sup>

კომიტეტის თანახმად,<sup>48</sup> ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია:

- ა) *მატერიალური უფლება*. ბავშვის (ბავშვთა ჯგუფის, ზოგადად, ბავშვების) უფლება მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება მასთან დაკავშირებით ნებისმიერ საკითხზე გადანყვეტილების მისაღებად. ესაა კონვენციით დადგენილი, სახელმწიფოს არსებითი ვალდებულება, რომელიც პირდაპირ უნდა იქნას გამოყენებული და დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრდეს სასამართლოში;
- ბ) *ფუნდამენტური სამართლებრივი პრინციპი*. თუ ეროვნულ კანონში სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების საშუალებას, გამოყენებული უნდა იქნას ის განმარტება, რომელიც ყველაზე მეტად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, როგორც მოცემულია კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში;
- გ) *საპროცესო ნორმა*. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. უფრო მეტიც, ბავშვთან, ბავშვთა ჯგუფთან ან ზოგადად, ბავშვებთან დაკავშირებით მიღებული გადანყვეტილება უნდა მოიცავდეს ამ უფლების უპირატესად გათვალისწინების დასაბუთებას. კერძოდ, დასაბუთებაში უნდა იქნას ახსნილი, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად; რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა და როგორ იქნა დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები სხვა პირთა ინტერესებსა და პოლიტიკურ საკითხებთან მიმართებაში.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითი-

---

<sup>47</sup> მუხ. 21.

<sup>48</sup> ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14, „ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ“, პარ. 6.

თებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ მიუთითებს სახელმწიფოს შემდეგ ვალდებულებებზე:

1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების უფლების კანონმდებლობით უზრუნველყოფა;
2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას: ა) ბავშვის მოსაზრებებს უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა; ბ) გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვის ყველა სხვა უფლება, მათ შორის, ღირსების, თავისუფლების და თანაბარი მოპყრობის უფლება; გ) გამოყენებული უნდა იქნას მულტიდისციპლინური მიდგომა ყველა უწყების მიერ, რომელიც შეისწავლის ყველა ინტერესს, მათ შორის, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, სამართლებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს;
3. სასამართლოებმა ბავშვა მონაწილეობით საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოიყენონ მულტიდისციპლინური მიდგომა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დასადგენად.<sup>49 50</sup>

### 11.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

კოდექსი მიუთითებს, რომ მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი „ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით“.<sup>51</sup> გარდა ამისა, სამოქალაქო კოდექსი ადგენს, რომ მშობლებს ევალებათ დაიცვან თავიანთი არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები, რაც მოიცავს შვილების ქონების მართვასა და გამოყენებას.<sup>52</sup> აღ-

<sup>49</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები 1-4, გვ. 19.

<sup>50</sup> „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ – კანონმდებლობის ანალიზი, დოკუმენტი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროგრამის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, თებერვალი, 2017 წელი.

<sup>51</sup> მუხ. 1198.1.

<sup>52</sup> მუხ. 118.4.

სანიშნავია, რომ „საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების“ პრინციპი აღნიშნულია მხოლოდ მშობელთა მიერ ბავშვის აღზრდის მოვალეობებთან მიმართებაში და არა ყველა უფლებასთან დაკავშირებით, როგორცაა მშობლის მიერ ბავშვის წარმომადგენლობა მესამე პირებთან ურთიერთობაში და ბავშვის ქონების მართვა. კანონი არ ადგენს ბავშვის ქონებრივი უფლებების დაცვის მყარ სამართლებრივ გარანტიებს მშობელთა მიერ მისი ქონების განკარგვის უფლების ბოროტად გამოყენების რისკების თავიდან აცილებისთვის.

სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სასამართლო განხილვას ექვემდებარება ბავშვთა მონაწილეობით შემდეგი საკითხების განხილვა: ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში;<sup>53</sup> ბავშვის აღზრდის საკითხების გადაწყვეტა მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში;<sup>54</sup> მშობლის უფლება-მოვალეობების შეზღუდვა შეიძლება სასამართლოს მიერ, თუმცა მას უნარჩუნდება ბავშვის რჩენის ვალდებულება;<sup>55</sup> მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევა (მათ შორის, 14 წელს მიღწეული ბავშვის ინიციატივით);<sup>56</sup> მშობლის უფლება-მოვალეობების აღდგენა;<sup>57</sup> საალიმენტო მოვალეობის შესახებ დავა;<sup>58</sup> შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება;<sup>59</sup> შვილად აყვანის ბათილობა.<sup>60</sup> ამ საკითხებთან დაკავშირებით კოდექსი არ ასახავს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირველესად გათვალისწინების პრინციპს.

რეკომენდებულია სამოქალაქო კოდექსმა აღიაროს ბავშვის მატერიალური უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ ყველა საკითხთან დაკავშირებით, რომელიც მას ეხება, როგორც მშობელთა მიერ აღზრდის მოვალეობის, ასევე, მათ მიერ ბავშვის მესამე პირებთან წარმომადგენლობის და ბავშვის ქონების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღე-

---

<sup>53</sup> მ.უ.ხ. 1201.2.

<sup>54</sup> მ.უ.ხ. 1200.

<sup>55</sup> მ.უ.ხ. 1205.

<sup>56</sup> მ.უ.ხ. 1206.

<sup>57</sup> მ.უ.ხ. 1209.

<sup>58</sup> მ.უ.ხ. 1214.

<sup>59</sup> მ.უ.ხ. 1242, 1254 და 1255.

<sup>60</sup> მ.უ.ხ. 3.1.1272.

ბისას. შესაბამისად, ეს პრინციპი უნდა გავრცელდეს სასამართლოს მიერ ბავშვთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავებისას გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსით ბავშვის ფუნდამენტური მატერიალური უფლების აღიარება მისი საუკეთესო ინტერესების შეფასებასა და უპირატესად გათვალისწინებაზე მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. კანონში ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ ამ უფლების დარღვევა ექვემდებარება სასამართლოში გასაჩივრებას.<sup>61</sup>

#### **11.4 საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინება, როგორც საპროცესო ნორმა**

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები ან მზრუნველები. ამასთანავე, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც.<sup>62</sup> მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი. სასამართლო უფლებამოსილია მცირეწლოვანიც ჩააბას.<sup>63</sup>

კოდექსი ადგენს, რომ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.<sup>64</sup> სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, ბავშვთან დაკავშირებით მიიღოს შუალედური გადაწყვეტილება საოჯახო დავების დროს მშობელთა მიერ ბავშვზე ზრუნვის, აღსაზრდელად გადაცემის, ბავშვთან ურთიერთობის და რჩენის საკითხებზე.<sup>65</sup>

<sup>61</sup> „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ – კანონმდებლობის ანალიზი, დოკუმენტი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროგრამის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, თებერვალი, 2017 წელი.

<sup>62</sup> მუხ. 81.3.

<sup>63</sup> მუხ. 81.4.

<sup>64</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 294-ე მუხლის მე-4 პუნქტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1106-ს1, 1997.

<sup>65</sup> მუხ. 355.



სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ადგენს სპეციფიკურ საპროცესო გარანტიებს და ბავშვთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების სათანადოდ დასაბუთების წესს.

აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებისას ყურადღება გამახვილდეს ბავშვთა მონაწილეობით სამოქალაქო საქმეთა წარმოების დროს ისეთი პროცესუალური გარანტიების დადგენაზე, როგორიცაა: მოსამართლის მიერ ბავშვთან დაკავშირებით ფაქტების დადგენა და გაანალიზება მისი საუკეთესო ინტერესების დასადგენად მულტიდისციპლინური მიდგომით, საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სპეციალისტების მონაწილეობით; გადაწყვეტილებათა მიღების დროულობა და მისი გადასინჯვის შესაძლებლობა ბავშვის ზრდადი განვითარების გათვალისწინებით; გადაწყვეტილებათა დასაბუთების ვალდებულება ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების შესახებ. რაც შეეხება გადაწყვეტილების დასაბუთებას, მასში უნდა იყოს ახსნილი, რა იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესებად; რა კრიტერიუმებს დაეფუძნა ასეთი მსჯელობა; და როგორ იქნა დადგენილი ბავშვის საუკეთესო ინტერესები სხვა პირთა ან უწყებათა ინტერესებთან მიმართებაში.<sup>66</sup>

### **11.5 ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება სხვა სფეროს მარეგულირებელი კანონებით**

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგენს მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს, რომელთაც ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.<sup>67</sup> მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს შორის მითითებულია: სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის, საჯარო თავშეყრის ადგილებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის სათანადოდ ადაპტირება და აღჭურვა ბავშვებისათვის, ასევე, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება სოციალური დახმარების, ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის, ოჯახ-

<sup>66</sup> „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ – კანონმდებლობის ანალიზი, დოკუმენტი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროგრამის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, თებერვალი, 2017 წელი.

<sup>67</sup> მუხ. 15.2.

ში ძალადობის პრევენციის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, ასევე, უფლებამოსილია გადანყვიტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რაც ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილება არ არის და აკრძალული არაა კანონით.<sup>68</sup>

კოდექსი არ მიუთითებს ვალდებულებებზე, როგორცაა ყველა გადანყვიტების მიღებისას ბავშვის, ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად, ბავშვთა პოპულაციის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინება. გამომდინარე იქედან, რომ ამ პრინციპის აღიარება არ წარმოადგენს მხოლოდ ბავშვის უფლებების მიმართ პატივისცემის გამოხატვას, არამედ თავისთავში მოიცავს მისი განხორციელების კონკრეტულ მექანიზმებს, როგორცაა ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის ინტერესების შეფასება ყველა სხვა უფლებების გათვალისწინებით, ბავშვთა მოსმენა და მათი მოსაზრებების სათანადოდ გათვალისწინება და საბოლოოდ მათ საუკეთესო ინტერესებთან ყველაზე შესაბამისი გადანყვიტების მიღება სათანადო დასაბუთებით. კოდექსი ასევე არ ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას ბავშვთა მონაწილეობის პრინციპს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია განხორციელდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც გააუმჯობესებს ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებას და დაცვას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

კანონი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ მიუთითებს, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის არასრულწლოვან წევრთა ინტერესებს წარმოადგენენ მათი კანონიერი წარმომადგენლები. ქმედებანი არასრულწლოვანთა სახელით ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად.<sup>69</sup> კანონი არ მოიცავს სხვა რაიმე მითითებას ამხანაგობის მიერ გადანყვიტების მიღებისას ბავშვთა მონაწილეობის, მათი საუკეთესო ინტერესების და უფლებების შესახებ. მნიშვნელოვანია ბავშვის აზრის მოსმენის და სერიოზული მნიშვნელობის მინიჭების პრინციპი, როგორც საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების შემადგენელი ნაწილი, უზრუნველყოფა მოხდეს ყველა დონეზე, პირველ რიგში, ოჯახსა და საცხოვრებელ გარემოში.

---

<sup>68</sup> მუხ. 16.2 „უ“, 3,4.

<sup>69</sup> მუხ. 19.4.

კანონი გარემოს დაცვის შესახებ ძირითად მიზნებს შორის მიუთითებს სახელმწიფოს მიერ გარემოს დაცვის და რაციონალური ბუნებათსარგებლობის უზრუნველყოფას „მომავალი თაობების ინტერესების“ გათვალისწინებით.<sup>70</sup> სხვა მხრივ, არცერთი სხვა დებულება არ ეხება გარემოს დაცვის საკითხების დაგეგმვის და გადამწყვეტის დროს ბავშვთა უფლებების და საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპს.<sup>71</sup>

## **11.6 ბავშვის საუკეთესო ინტერესები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით**

სტრასბურგის სასამართლოს პოზიციები ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვასა და ზოგადად, ბავშვსა და მშობელს შორის ურთიერთობის და მიკუთვნების შესახებ უაღრესად მნიშვნელოვანია. აღნიშნულმა სასამართლომ თავის საქმეებში რამდენიმეჯერ ხაზი გაუსვა, იმ ფაქტს, რომ „ძალიან სერიოზული დონის ჩარევას ოჯახის გახლეჩა“. ასეთი ზომის გამართლება იშვიათად თუ შეიძლება, მაგალითად, მხოლოდ მატერიალური სირთულეებით (როგორიცაა, არაშესაბამისი საცხოვრებელი სივრცე).

საქმეში იოჰანსენი ნორვეგიის წინააღმდეგ,<sup>72</sup> სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება „კრიტიკული მნიშვნელობისაა“ და ეროვნულ ორგანოებს ბავშვის მზრუნველობაში აყვანის შეფასებისას თავისუფლების მაღალი დონე აქვთ. თუმცა, სასამართლო უფრო მკაცრად გამოიკვლევს მშობელთა უფლებებისა და ბავშვთან კონტაქტის შეზღუდვას, რადგან მსგავსმა შეზღუდვებმა შეიძლება მშობელსა და ბავშვს შორის ოჯახური ურთიერთობა შეაფერხოს. სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის მზრუნველობის ქვეშ მოთავსება იოჰანსენის საქმეში პროპორციული იყო, თუმცა დედისთვის ბავშვთან კონტაქტის და მშობლის უფლებების შეზღუდვა მის ქალიშვილთან მიმართებით გაუ-

<sup>70</sup> მუხ. 3.1.

<sup>71</sup> „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ – კანონმდებლობის ანალიზი, დოკუმენტი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროგრამის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, თებერვალი, 2017 წელი.

<sup>72</sup> *Johansen v. Norway*, 7 აგვისტო, 1996, გადამწყვეტილებათა და განჩინებათა ანგარიშები, 1996-III.

მართლებლად და სახელმწიფო თავისუფლების არეალის მიღმა არსებულად მიიჩნია.

კერძოდ, წინამდებარე საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი იყო ბავშვის კავშირის შენარჩუნება საკუთარ მშობლებთან და მეორე მხრივ, მისი მშვიდ და სტაბილურ გარემოში აღზრდა.

ამ საქმიდან გამომდინარე, გოგონა დაბადებიდან მალევე იქნა მზრუნველობის ცენტრში გადაყვანილი და ნახევარი წლის განმავლობაში იმყოფებოდა დროებით მზრუნველებთან, სანამ განთავსდებოდა გრძელვადიანი პირობებით მიმღებ ოჯახში. იგი თავისი განვითარების ისეთ ეტაპზე იმყოფებოდა, როდესაც უმნიშვნელოვანესი იყო მისი უსაფრთხო და ემოციურად სტაბილურ პირობებში ცხოვრება. ევროპული სასამართლო ვერ ხედავს მიზეზს დაექვევდეს, რომ მიმღებ ოჯახში მიღებული ზრუნვა უფრო მეტად ეფექტური იქნებოდა, თუ აღნიშნული გაშვილების მიზნით განხორციელდებოდა.

გარდა ამისა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის ფაქტი, რომ ბავშვთა კეთილდღეობის დაცვის ორგანოებმა დაადგინეს, რომ მომჩივანი არ იყო „განსაკუთრებით მოტივირებული, რომ მიეღო აღნიშნული მომსახურება“. მომჩივანი ფიქრობდა, რომ ერთხელაც მის ქალიშვილს წაიყვანდა. მაგალითად, მას ჰქონდა ერთი შემთხვევა, როცა შეეცადა თავის ვაჟიშვილთან ერთად მიმალვას. მეორე შემთხვევაში, მომჩივანმა – დედამ ვერ აუწყა შესაბამის ორგანოებს, რომ მისი ვაჟი გაიქცა ბავშვთა სახლიდან, რათა დაბრუნებოდა დედამისს.

საქმის არსიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილება 90-იან წლებში, რაც უზღუდავდა დედას საკუთარ ქალიშვილთან ურთიერთობას და მშობლისა და შვილის ურთიერთობაში უხემ ჩარევას წარმოადგენდა, არ შეესაბამებოდა საქმის სირთულეს და არ იყო გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებებით. მხოლოდ იმ ფაქტზე მითითება, რომ დედის ცხოვრების წესი არ შეესაბამებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, არ იყო საკმარისი საფუძველი აღნიშნულის გასამართლებლად.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა გადააბიჯეს მათთვის მი-

კუთვნიებულ „შეფასების ფართო ზღვარს“ და აქედან გამომდინარე, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება).

საქმეზე ბ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ<sup>73</sup> – ევროპულმა სასამართლომ ნათელი მოჰფინა იმას, რომ მშობლები უნდა იყვნენ ჩართული თავიანთი შვილების მზრუნველობაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რათა ისინი უზრუნველყოფილ იყვნენ თავიანთი ინტერესების სათანადო დაცვით. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ:

„ამდენად, საქმის კონკრეტული გარემოებებისა და მისაღები გადაწყვეტილების სერიოზული ხასიათის გათვალისწინებით, უნდა დადგინდეს, იყვნენ თუ არა მშობლები საკმარისად ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც აუცილებელი იყო თავიანთი ინტერესების სათანადოდ დასაცავად. თუ არა – მაშინ ვერ იქნება უზრუნველყოფილი ოჯახური ცხოვრების პატივისცემა ...“.

მშობლებსა და შვილებს შორის კონტაქტების შენარჩუნება ამ უკანასკნელთა მზრუნველობაში ყოფნის განმავლობაში, ის საკითხია, რომელსაც ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. თუმცა, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ გადაწყვეტილება ბავშვზე მზრუნველობის დანესების შესახებ შეესაბამება კონვენციას, მან ასევე შეიძლება დაადგინოს, რომ მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის შეზღუდვა ან აკრძალვა არ აკმაყოფილებს მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ამ მიმართებით გასათვალისწინებელია ორი ინტერესი: მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს, ერთი მხრივ, შვილის ინტერესების დაცვის არსებით და საკმარის მიზეზებს და მეორე მხრივ, ოჯახის შემდგომი გაერთიანების აუცილებლობას. ურთიერთობის შეზღუდვა უნდა იყოს იმ ინტერესის პროპორციული, რომელსაც ემსახურება შეზღუდვა.

---

<sup>73</sup> B. v. the United Kingdom, 8 ივლისი 1987, Series A N 121.

## თავი XII

### საერთაშორისო სტანდარტები

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს საერთაშორისო კონვენციებით და ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებს.

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.<sup>74</sup>

კონსტიტუცია ასევე, აღიარებს ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებს და ავალდებულებს სახელმწიფოს იმოქმედოს ამ ვალდებულების ფარგლებში:

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას, ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.<sup>75</sup>

საქართველო არის ადამიანის უფლებათა ამსახველი მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა (ICCPR), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტია ადამიანის უფლებათა კუთხით. როგორც ევროპის საბჭოს წევრი, საქართველო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილეც არის.<sup>76</sup>

<sup>74</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი № 31-11, 1995.

<sup>75</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, საქართველოს საპარლამენტო უწყებანი №31-11, 1995.

<sup>76</sup> წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ ინდივიდუალური სარჩელები ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა დაცვის უფლებათა დარღვევისთვის განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (თუ შესაბამისად არ არის გადანყვეტილი ეროვნული სასამართლოს მიერ).

საქართველო ასევე, არის ბავშვის უფლებათა კონვენციის მონაწილე სახელმწიფო. კონვენცია მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს და მას შემდეგ თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული. კონვენცია არის ადამიანის უფლებათა ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც კონკრეტულად ბავშვის უფლებებს იცავს. ვინაიდან ბავშვები არიან საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი წევრები, ისინი საჭიროებენ დაცვის მაღალ ხარისხს მართლმსაჯულების ეროვნულ სისტემებში.<sup>77</sup>

ეს გარემოება უნდა იყოს გათვალისწინებული სამართლებრივი იერარქიის დროს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი კანონმდებლობით. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია გთავაზობს ბავშვთა უფლებების დაცვის ფართო სპექტრს, ამ მასალებში განხილული იქნება მხოლოდ რამდენიმე დებულება, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მყოფ ბავშვებს. საქართველო არის წევრი სახელმწიფო გაეროს და ევროპის საბჭოს თითქმის ყველა საერთაშორისო კონვენციისა და მათი დამატებითი ოქმებისა, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ, ეხება ბავშვთა უფლებებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები და ინსტრუმენტები ასახავს მართლმსაჯულებასთან კონტაქტში მყოფი ბავშვის უფლებების დაცვის გარანტიებს, რომელთა უზრუნველყოფაც სახელმწიფოს ვალდებულებაა. წინამდებარე ანალიზი განხორციელდა იმ საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების მიხედვით, რომლებიც უშუალოდ ეხება ბავშვთა უფლებების და მართლმსაჯულებაზე წვდომის საკითხებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სფეროს კანონმდებლობის ქრილში, კერძოდ:

### **გაეროს ინსტრუმენტები:**

- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989)<sup>78</sup>;

---

<sup>77</sup> Monica Feria Tinta, “The Landmark Rulings of the Inter-American Court of Human Rights on the Rights of the Child: Protecting the Most Vulnerable at the Edge”, *International Studies in Human Rights*, Volume 96, 32-33; *The 1959 Declaration of the Rights of the Child (1959)*, preamble, G.A. res. 1386 (XIV), 14 U.N. GAOR Supp. (N16) at 19, U.N. Doc. A/4354. “The child, by reason of his physical and mental immaturity, needs special safeguards and care, including appropriate legal protection[.]”

<sup>78</sup> საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1994 წელს.

- ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (2000);<sup>79</sup>
- ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი შეტყობინების პროცედურების შესახებ (2014);<sup>80</sup>
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენცია (2008);<sup>81</sup>
- გაეროს რეზოლუცია (2005) „სახელმძღვანელო მითითებები მართლმსაჯულების შესახებ მსხვერპლი და მოწმე ბავშვების მონაწილეობით“.

**გაეროს კომიტეტების ზოგადი კომენტარები  
(სახელმძღვანელო განმარტებები):**

- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №5 (2003) „ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების ზოგადი ღონისძიებები (მუხ. 4, 42 და 44 (6))“;
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №12 (2009) „ბავშვის უფლება მისი მოსაზრებების მოსმენაზე“;
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14 (2013) „ბავშვის უფლება მისი საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების შესახებ“;
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №6 (2005) „თანმხლების გარეშე მყოფი და ოჯახისგან განცალკევებული ბავშვების მიმართ მოპყრობა წარმოშობის ქვეყნის გარეთ“;
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №8 (2006) „ბავშვის უფლება დაცული იყოს ფიზიკური დასჯისა და სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელებისგან“;
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №9 (2006) „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებები“;

---

<sup>79</sup> საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს.

<sup>80</sup> საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2016 წელს.

<sup>81</sup> საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2013 წელს.



- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №13 (2011) „ბავშვის უფლება ძალადობის ყველა ფორმისგან დაცვის შესახებ“;
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №15 (2013) „ბავშვის უფლება ჯანდაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის შესახებ“;
- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №1 (2001) „მუხ. 29 (1). განათლების მიზნები“;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №4 (2016) „მუხ. 24. უფლება ინკლუზიური განათლების შესახებ“.

### **ევროპის საბჭოს ინსტრუმენტები:**

- ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია;<sup>82</sup>
- ევროპის სოციალური ქარტია;<sup>83</sup>
- ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობისგან ბავშვთა დაცვის შესახებ;<sup>84</sup>
- ევროპის კონვენციამ წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის შესახებ;<sup>85</sup>
- ევროპის საბჭოს კონვენცია პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ინდივიდთა დაცვის შესახებ.<sup>86</sup>

<sup>82</sup> საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 1999 წელს.

<sup>83</sup> ევროპის სოციალური ქარტია (შესწორებული), მიღებულია 1996 წლის, 3 მაისს, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს.

<sup>84</sup> ე.წ. „ლანზაროტის კონვენცია“ ძალაში შევიდა 2010 წელს, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2014 წელს.

<sup>85</sup> მიღებულია 1987 წელს, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2000 წელს.

<sup>86</sup> ძალაში შევიდა 1985 წელს; საქართველოს მიერ რატიფიცირებულია 2005 წელს.

## ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები პოლიტიკისა და კანონმდებლობის შესახებ:

- ევროპის საბჭოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები ძალდობისგან ბავშვთა დაცვის ინტეგრირებული ეროვნული სტრატეგიების შესახებ.<sup>87</sup>
- ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებები ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების შესახებ.<sup>88</sup>

## ბავშვის უფლება მონაწილეობაზე

ბავშვის უფლებათა კონვენცია მოითხოვს, სახელმწიფომ უზრუნველყოს ბავშვის მიერ, მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის უფლება, როდესაც ბავშვს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკუთარი მოსაზრებები, რომლებსაც უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა ბავშვის ასაკისა და განვითარების შესაბამისად. ბავშვს უნდა მოუსმინონ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სასამართლო და ადმინისტრაციულ პროცესში, პირდაპირ, წარმომადგენლის ან შესაბამისი დაწესებულების მეშვეობით, ეროვნული საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.<sup>89</sup>

კონვენცია სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყოს ბავშვის მონაწილეობის უფლების აღსრულებას მისი მოსმენით და მისი მოსაზრებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებით, რაც გარანტირებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით;<sup>90</sup> ყველა პროცესი, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ და ხდება მათი მოსმენა, აუცილებლად უნდა იყოს: ინფორმატიული, ნებაყოფლობითი, პატივისცემით განწყობილი, ბავშვზე მორგებული, ინკლუ-

<sup>87</sup> სახელმძღვანელო პრინციპები შემუშავდა 2008-2009 წლებში, <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?document=090000168046d3a0>.

<sup>88</sup> „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ – კანონმდებლობის ანალიზი, დოკუმენტი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროგრამის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, თებერვალი, 2017 წელი

<sup>89</sup> მუხ. 12.

<sup>90</sup> ზოგადი კომენტარი, №12, პარ.15.

ზიური, ბავშვის საკითხებზე გადამზადებული პროფესიონალების მიერ, უსაფრთხო, ბავშვისადმი ანგარიშვალდებულო.<sup>91</sup>

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები<sup>92</sup> მიუთითებს სახელმწიფოებს:

- მოსამართლეებმა მოსმენაზე უნდა დაიცვან ბავშვის უფლება ყველა საკითხზე, რომელიც მას ეხება. მოსმენის დროს გამოყენებული უნდა იქნას ბავშვის აღქმის დონისა და კომუნიკაციის შესაძლებლობებთან შესაბამისი საშუალებები საქმის გარემოებებთან გათვალისწინებით. ბავშვებს უნდა ჰკითხონ, თუ რა ფორმით ურჩევნიათ ამ უფლების განხორციელება. ბავშვის მოსაზრებებს და შეხედულებას უნდა მიენიჭოს სათანადო მნიშვნელობა მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად;
- მხოლოდ ასაკის გამო ბავშვს არ უნდა წაერთვას შესაძლებლობა მოუსმინონ. როდესაც კი ბავშვი გამოიჩენს ინიციატივას მოუსმინონ მას, მასთან დაკავშირებულ საქმეზე, მოსამართლემ არ უნდა უარყოს და უნდა მოუსმინოს მის მოსაზრებებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.<sup>93</sup>

---

<sup>91</sup> ზოგადი კომენტარი, №12, პარ. 132-134, გვ.29.

<sup>92</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები, 44-47, გვ.28.

<sup>93</sup> „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“ – კანონმდებლობის ანალიზი, დოკუმენტი მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ევროკავშირის და გაეროს ერთობლივი პროგრამის „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში“ ფარგლებში, თებერვალი, 2017 წელი.

## თავი XIII

### მეურვის შერჩევა – ფსიქოლოგიური ანალიზი

#### 13.1 რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი ბავშვის მამისთვის დატოვება ან გაერთიანებული მეურვეობის შერჩევა

##### ფსიქოლოგიური ანალიზი სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ არასრულწლოვანი ნ.ბ. (მამრობითი სქესის) ცხოვრობს მამასთან საქართველოში, დედა კი, წარმოშობით გერმანელი ამჟამად ცხოვრობს გერმანიაში და იგი არ არის თანახმა, რომ ბავშვი იმყოფებოდეს საქართველოში. ცოლ-ქმარი განქორწინებული არ არის. ნ.ბ. წელიწადნახევარზე მეტი სწავლობდა ქართულ ბაღში და სკოლაში, იყო გამორჩეული მოსწავლე, კარგად ფლობს ქართულ ენას და აღნიშნულიდან გამომდინარე, მან სწავლა გააგრძელა ქართულ სკოლაში. სკოლაში ნ.ბ. გამორჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით და რეგულარულად სახელდება კვირის საუკეთესო მოსწავლედ და სრულად არის ინტეგრირებული არსებულ გარემოში. მამა – გ.ბ. სრულად უზრუნველყოფს მის სწავლას და განვითარებას. ნ-ს აღზრდაში მონაწილეობას იღებს ბებია – გ.ბ-ს დედა და ბიძა – გ.ბ-ს ძმა.

ნ.ბ-ს დედა ა.პ.ბ-მ ცხოვრობს და სწავლობს გერმანიაში და შაბათ-კვირას მუშაობს კაფეში. სწავლას ის სავარაუდოდ, 2017 წლის აგვისტოში ამთავრებს. ა.პ.ბ-მ არ აპირებს საქართველოში გადმოსვლას და მოითხოვს ბავშვის გერმანიაში დაბრუნებას. მისი თქმით, ბავშვი ჩარიცხულია მარტინ ლუთერის სკოლაში, სადაც ის პირადად მიიყვანს ბავშვს დილით და საღამოს წამოიყვანს.

არასრულწლოვანი ნ.ბ. მამის გ.ბ-ს გადმოცემით, ბავშვის დედას ა.პ.ბ-მ-ს არა აქვს ბავშვის აღზრდისათვის დამაკმაყოფილებელი პირობები, რადგან ის ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში, მუშაობს ყოველდღე შაბათ-კვირის ჩათვლით, დილის რვა საათიდან საღამოს ცხრა საათამდე და პარალელურად სწავლობს. როდესაც ის მუშაობს, ბავშვს მის სამსახურში – კაფეს სამზარეულოში უწევს ყოფნა ან კაფეს ეზოში მარტო თამაშობს.

საქართველოში ნ.ბ-ს აქვს უკეთესი პირობები – მას აქვს სახლი, სკოლიდან მოსულს (სკოლიდან ის მოყავს მამას ან მძღოლს) ხვდება ბებია, რომელიც მას სადილს ახვედრებს და უვლის. საღამოს

მამა ეხმარება გაკვეთილების სწავლაში, ეთამაშება ჭადრაკს და ლეგოს, ნ.ბ-ს აქვს საკუთარი ოთახი და განვითარებისათვის საჭირო ყველა პირობა და უსაფრთხო გარემო. შაბათ-კვირას გ. ბ. ხშირად ასეირნებს ნ.ბ-ს პარკ „ბომბორა“-ში და დაჰყავს კინოში ან მეგობრებთან. მას აქვს ხშირი და დაუბრკოლებელი ურთიერთობა დედასთან სკაიპის მეშვეობით და მასთან ურთიერთობის დრო არა აქვს შეზღუდული.

მამა შიშობს, რომ ნ.ბ-ს უკან, გერმანიაში დაბრუნება საფრთხეს შეუქმნის მის ფსიქიკას, იგი მონყდება სასკოლო ცხოვრებას, სადაც ასე წარმატებულად არის ინტეგრირებული და აგრეთვე მონყდება სხვა საგანმანათლებლო აქტივობებსა და სპორტს.

ა.პ.ბ-მ-ის განცხადებაზე, რომ ის ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას მარტო გაუმკლავდება თავისი ნათესავების დახმარებით, გ.ბ. ამბობს, რომ მისი მეუღლის მშობლები ცხოვრობენ 120 კილომეტრში ა.პ.ბ-მ-ის საცხოვრებელი ადგილიდან და თვეში ერთხელ ერთი დღით თუ ჩამოდიან დედა-შვილის მოსანახულებლად, ამიტომ იმ შემთხვევაში თუ ნ.ბ. გერმანიაში იქნება, გაურკვეველია, თუ ვინ მიხედავს მას სკოლის შემდეგ, მითუმეტეს, როდესაც ამჟამად ბავშვის დედა არა მარტო მუშაობს, არამედ სწავლობს კიდევ და დროში მეტად შეზღუდულია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის დედა ბავშვის წაყვანის შემთხვევაში მოახდენს მის სრულ იზოლირებას მამისგან, რადგან ის ამბობს, რომ – „მე არასოდეს არ გამოვუშვებ მას საქართველოში“.

### **ექსპერტს უნდა ეპასუხა შემდეგ შეკითხვებზე:**

1. შესაძლებელია, თუ არა, მიმდინარე მომენტისათვის გამოიკვეთოს, 2008 წლის 15 აგვისტოს დაბადებულ ნ.ბ-ს (მისი ასაკის, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით) ცალსახა პოზიცია მუდმივი საცხოვრებელი გარემოს (გერმანია თუ საქართველო) არჩევასთან მიმართებაში, ანუ რა პოზიცია გააჩნია ბავშვს?
2. ბავშვის მოცილება მამის და ჩვეული გარემოდან (საქართველოდან) და მისი გამგზავრება გერმანიაში იქნება თუ არა ტრავმა არასრულწლოვნისთვის, საფრთხეს შეუქმნის თუ არა მის ფიზიკურ, გონებრივ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას?

3. გთხოვთ, მოგვცეთ მეთოდოლოგიური რჩევები, რა სიხშირით და რა ფორმით არის მიზანშეწონილი არასრულწლოვნის მშობლებთან ურთიერთობა იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება არასრულწლოვნის სურვილი ცხოვრობდეს და იზრდებოდეს რომელიმე მშობელთან (დედასთან ან მამასთან).

### **კითხვებზე პასუხის გასაცემად, წარმოდგენილი იყო საქმის მასალები და ტესტირება ჩაუტარდა ნ.ბ-ს**

6 წლის ნ.ბ-მ თავიდან უარი თქვა ტესტირებაში მონაწილეობის მიღებაზე, უხალისოდ იყო და ჭირვეულობდა, თუმცა მცირე ხნის მერე ინტერესმა დაძლია, ჩაერთო ცდაში და კარგად გაართვა თავი ყველა დავალებას.

მას ჩაუტარდა საუბრის მეთოდი, ლუშერის ფერიტი ტესტი, შონდი ტესტი. მან აგრეთვე ფერიტი ტესტის მეშვეობით შეაფასა თავისი დამოკიდებულება ისეთი ცნებების მიმართ როგორცაა, საკუთარი თავი, დედა, მამა, სკოლა, სწავლა, მეგობრები, მულტფილმის პერსონაჟი და სხვა.

### **სატესტო მასალის დამუშავებამ შემდეგი შედეგები მოგვცა:**

#### **ლუშერის ფერიტი ტესტი**

##### **არსებული სიტუაცია:**

ბავშვი იცავს თავს. გრძნობს, რომ მას ემოქერებიან და ის არაა დეკვატურად არის გარემოში დამკვიდრებული. მიუხედავად ამისა, შეუპოვრად იცავს თავის პოზიციას მოსალოდნელი კონფლიქტის მიუხედავად და ეწინააღმდეგება გარემოს ზეწოლას. მასში არსებული დაპირისპირება იწვევს შფოთვის, მაგრამ ის ჯიუტად იცავს თავის მიზნებს. ამავე დროს არის მგრძნობიარე, აქვს წარმოსახვის კარგი უნარი და ცდილობს განიტვირთოს თავის მსგავსთან ერთად. მისი ინტერესის აღძვრა ძალიან ადვილია, მოსწონს ყველაფერი ახალი, უჩვეულო და სათავგადასავლო.

##### **სტრესის წყარო:**

სტრესი გამონვეულია არსებული შეზღუდვებით, რომელსაც უწევს წინააღმდეგობას და ისწრაფვის დამოუკიდებლობისკენ. საკმაოდ აქტიური და ბეჯითია. ცდილობს დაძლიოს შინაგანი წინააღმდეგობები და აქვს ამისი უნარი. უარს არასდროს ამბობს თავის მოთ-

ხოვნებზე და აღწევს თავისას. ადვილად აღვზნებადია და ცოტა მოუთმენელი. ადვილად ღიზიანდება. აქვს განცდა, რომ ჩათრეულია რთულ და უსიამოვნო პროცესში.

### **დათრგუნული მოთხოვნილებები და განდევნილი თვისებები:**

საკუთარ თავში ჩაკეტილობის მოთხოვნილება, მონყვლადობა.

### **სასურველი მიზანი ანუ მოდუს ოპერანდი და სტრესის საკომპენსაციო ჯგუფი:**

ჰგონია, რომ სასურველ მიზანს ვერ მიაღწევს.

### **აქტუალური პრობლემები:**

ეძებს გამოსავალს, რომელიც არსებულ შეზღუდვებს მოხსნის.

დამოუკიდებელია და ამავე დროს დაღლილია დამოუკიდებლობისაგან და ნებელობის დაძაბვისგან. არიდებს თავს კონფლიქტს, ცდილობს ნეიტრალური პოზიცია დაიჭიროს და ამავე დროს განიცდის სიტუაციაში ჩაურთველობას. განიცდის არსებულ კონფლიქტურ სიტუაციას.

აქვს სრული იდენტიფიკაცია მამასთან. ჭირვეულია, ცდილობს არ იფიქროს დედისა და მამის ურთიერთობაზე, არც საკუთარ ემოციებზე და განცდებზე, მეგობრობს იმასთან ვისთანაც ახდენს იდენტიფიკაციას ანუ თავის მსგავსთან, უნდა წარმოსახულ სამყაროში ცხოვრება და არარეალური სამყარო მისთვის ყველაზე დიდი ხალისის მომტანია (მაგ. მულტფილმი). გაკვეთილებისა და სკოლის მიმართ იჩენს ამბივალენტურ დამოკიდებულებას.

### **შონდი ტესტის მონაცემები:**

ზოგჯერ ვერ აკონტროლებს ემოციებს, ცოტა არ იყოს ინდიფერენტულია გარშემომყოფების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობის დამყარება შეუძლია გარშემომყოფებთან და სიამოვნებასაც იღებს გართობისგან და ადამიანებთან ურთიერთობით, უყვარს განმარტოვება და შეუძლია კიდეც დამოუკიდებლად თავის გართობა.

ცვალებადი ხასიათი აქვს და უდარდებობიდან შეიძლება უცბად გადავიდეს დათრგუნულ მდგომარეობასა და უგუნებობაში. ადვი-

ლად ლიზიანდება.

ჯიუტია და თუ რაღაც არ უნდა, შეუძლია ძლიერი წინააღმდეგობის განწევა.

უყვარს თავის მოწონება, თუმცა სიტუაციურად შეიძლება დაირცხვინოს და უკან დაიხიოს.

სურს თავისი სურვილის დაკმაყოფილება და თავისის გატანა, ხშირად იწყებს ხოლმე, სევდიანობს და ხშირად ეცვლება გუნება-განწყობილება.

შემეცნება, ლექსიკური მარაგი და ზოგადი განვითარების დონე შესაბამება ასაკს.

აღნიშნება ფსიქოლოგიური ტრავმატიზების ნიშნები.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ბ-ს გარკვეულწილად აქვს გამოხატული ემოციური ტრავმატიზების ნიშნები, ამავე დროს არ იკვეთება ბავშვზე ფსიქოლოგიური ძალადობის ან ფსიქიკის ტრავმირების კვალი.

**კითხვა 2.** ბავშვის მოცილება მამისგან და ჩვეული გარემოდან (საქართველოდან) და მისი გამგზავრება გერმანიაში იქნება თუ არა ტრავმა ბავშვისთვის, საფრთხეს შეუქმნის თუ არა მის ფიზიკურ, გონებრივ და ფსიქო-ემოციურ განვითარებას?

საქმის მასალების შესწავლის და ბავშვის ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით, მიგვაჩნია, რომ გერმანიაში მისი დიდი ხნით (დავამატებდით, მზაობის შემუშავების გარეშე) დაბრუნება ამ ეტაპზე იქნება სერიოზული ტრავმატიზების მიზეზი, რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება მის ფსიქიკაზე და ჩვენი აზრით, მის აკადემიურ მოსწრებასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით გვინდა ხაზი გაეუსვათ იმ ფაქტს, რომ ახლა შუა სასწავლო წელია და ნახევარ გზაზე ბავშვისთვის უკვე აწყობილი სასწავლო პროცესის მიტოვება და ახალ სასწავლო სისტემაზე გადასვლა არ იქნება მიზანშეწონილი, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ზოგადად, ახალ სკოლაში გადასვლა ბავშვებისთვის რთული პროცესია და ისინი შესაძლოა საკმაოდ ბევრი პრობლემის წინაშე დადგნენ და ამას წინასწარ სჭირდება შემზადება. ბავშვი თავდაჯერებული უნდა იყოს და კომფორტულად გრძნობდეს თავს სასწავლო გარემოში. საერთოდ, ბავშვები მძიმედ განიცდიან დაშორებას ნაცნობ



და შეჩვეულ გარემოსთან, მით უფრო თუ მასთან კარგად არიან მორგებული და ნარმატივულნიც არიან. აგრეთვე, რთულია ახალ სკოლაში ახალ მასწავლებლებთან და ახალ მეგობრებთან შეგუება და მორგება.

ახალ სკოლაში გადასვლა არ არის რეკომენდებული სასწავლო წლის შუაში, მით უფრო რომ ყველა სკოლას აქვს სწავლების თავისი სტრატეგია და ბავშვისთვის უცებ ახალ სისტემასთან შეგუება რთულია და რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო პრობლემატურია მისთვის მზაობის გარეშე ახალ გარემოში ნარმატივული ფუნქციონირება. აქვე გვინდა დავამატოთ შემდეგი ამონარიდი: სასწავლო წლის შუაში ბავშვის ახალ სკოლაში გადაყვანა დაკავშირებულია სოციალურ და აკადემიურ პრობლემებთან. ბავშვი შეიძლება გახდეს უყურადღებო, ჰიპერაქტიური, ჯიუტი.

ადგილის ცვლა მაშინაც კი შეიძლება ტრავმული აღმოჩნდეს ბავშვისთვის, მით უფრო თუ ის სკოლაში დადის და უკვე ჰყავს მეგობრები და მორგებულია გარკვეულ სოციალურ სისტემასთან, როდესაც მშობლები განქორწინებულები არ არიან. ბუნებრივია, რომ ბავშვებისთვის ოპტიმალურია, როდესაც ისინი ორივე მშობელთან ინარჩუნებენ კონტაქტს და აქვთ კარგი ურთიერთობა.<sup>94</sup>

ამას ემატება ისიც, რომ ნ. ბ. დადის ქართულ სკოლაში, სადაც ბუნებრივია, ქართულ ენაზე მიმდინარეობს სწავლება და მართალია, ჯერ მარტივ, მაგრამ მაინც გარკვეულ სპეციალურ ტერმინოლოგიას ითვისებს, ხოლო გერმანიაში მას ახალ და განსხვავებულ სასწავლო სტრატეგიასთან მოუხდება შეხება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი მეტყველებს გერმანულად და ჩვეულებრივი ურთიერთობის პრობლემა მას არ ექნება, როგორც ცნობილია, სასწავლო ტერმინოლოგია ჩვეულებრივი სალაპარაკო ენისგან განსხვავდება და მას მოუხდება სპეციალური მზაობის შემუშავება გერმანიაში სწავლის დასაწყებად, რაც ამ მოკლე პერიოდში ბუნებრივია, ვერ მოესწრება. ამას ემატება ის ფაქტი, რომ ნ.ბ-ის მამის, გ. ბ-ს თქმით, მამას და შვილს ყოველთვის განსაკუთრებული მიჯაჭვულობა ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ, რადგან უმეტეს დროს ერთად ატარებდნენ, მათ შორის შაბათ-კვირასაც, რადგან ბავშვის დედა მუშაობდა და შაბათ-კვირა პრაქტიკულად ოჯახთან ერთად არ გაუტარებ-

---

<sup>94</sup> Judith Wallerstein & Sandra Blakeslee – The unexpected Legacy of Divorce., 2000.

ბია. ამ დროს მამა-შვილი სეირნობდა ან სტადიონზე თამაშობდნენ ბურთს. ძილის წინ ნ.ბ-ს მამა უკითხავდა ზღაპრებს და აძინებდა, ძალიან ხშირად ბანდა და აცმევდა, რამაც ტუნებრივია გამოიწვია ბავშვის მამასთან განსაკუთრებული მიჯაჭვულობა.

რაც შეეხება „მიჯაჭვულობის“ ფენომენს, ფსიქოლოგიური ასპექტით, ე.წ. „მიჯაჭვულობის“ ხარისხს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების, განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვების კეთილდღეობისთვის (მიჯაჭვულობის ჩამოყალიბება თავდაპირველად ბიოლოგიურად განპირობებული პროცესია). თუმცა, მცირეწლოვან ბავშვს როგორც წესი უყალიბდება მრავალმხრივი მიჯაჭვულობა – დედის, მამის, პაპა-ბებების, აღმზრდელის და სხვათა მიმართ. თუმცა, ბავშვს მაინც ჰყავს მიჯაჭვულობის ობიექტი ან ობიექტები, რომელთაც ანიჭებს უპირატესობას და მისგან ელის დამშვიდებას და ტკივილის დაყუჩებას და ესენი ხშირ შემთხვევაში დედა და მამაა.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ბავშვის მეურვის შერჩევის თაობაზე, მიჯაჭვულობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან:

- „მიჯაჭვულობა“ ბავშვისა და მასზე მზრუნველის სპეციფიკური ურთიერთობაა, რომელიც ბავშვს უსაფრთხოებითა და დაცულობის განცდით უზრუნველყოფს.<sup>95</sup> ბავშვებს უმუშავდებათ „მიჯაჭვულობების“ იერარქია სხვადასხვა მომვლელის მიმართ, მაგ. დედა, მამა და ძიძა და იმ მომვლელის მიმართ, რომელიც უმეტესწილად სწრაფად და გულისხმიერად რეაგირებს ბავშვის პრობლემაზე ტირილზე ან ტკივილზე აყალიბებს „მიჯაჭვულობის“ უსაფრთხო და დაცულ ფორმას და არის ე.წ. ორგანიზებული „მიჯაჭვულობა“, რომელთანაც დაკავშირებულია ბავშვის პოზიტიური განვითარება;
- ითვლება, რომ მამრობითი სქესის ბავშვები უფრო ხშირად ირჩევენ მამას, როგორც მიჯაჭვულობის ობიექტს გოგონებისგან განსხვავებით და საზოგადოდ, ბავშვები მამის მიმართ იჩენენ განსაკუთრებულ „მიჯაჭვულობას“ 6-7-წლიდან 12-14 წლამდე. ჩვილები და მცირეწლოვანი ბავშვები ნაკლებად არიან „მიჯაჭვულები“ მამაზე და უპირატესობას ანიჭებენ დედას, როგორც

<sup>95</sup> Diane Benoit – Infant – Parent Attachment., 2002.

„მიჯაჭვულობის“ ობიექტს;

- „მიჯაჭვულობა“ ძირითადად, არის უსაფრთხოების განცდა და ნდობა და ცენტრალურია ბავშვის ემოციური, მენტალური და სოციალური განვითარებისთვის.<sup>96</sup>

ამგვარად, ის ფაქტიც, რომ ნ.ბ. საკმაოდ მიჯაჭვულია მამაზე უდავოდ გასათვალისწინებელია და მათი უეცრად და მომზადების გარეშე ერთმანეთთან დაშორება არ იქნება მიზანშეწონილი, თუ საერთოდ აუცილებელი გახდება მათი დაშორება.

**კითხვა: 1.** შესაძლებელია თუ არა, მიმდინარე მომენტისათვის გამოიკვეთოს, 2008 წლის 15 აგვისტოს დაბადებულ ნ.ბ.-ს (მისი ასაკის, ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით) ცალსახა პოზიცია მუდმივი საცხოვრებელი გარემოს (გერმანია თუ საქართველო) არჩევასთან მიმართებაში? რა პოზიცია გააჩნია ბავშვს?

მიუხედავად იმისა, რომ დისტანცირება დედისგან შემცირდა დედის ჩამოსვლის შემდეგ, ბავშვს გერმანიაში წასვლა მაინც არ უნდა, რაც აგრეთვე დასტურდება ბავშვთან საუბრისას. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს ურჩევნია დედა და მამა ერთად ცხოვრობდნენ მასთან ერთად და ამ ფაქტს განიცდის, რაც დასტურდება ცდის მასალებითაც, ის მაინც ამბობს, რომ მას მხოლოდ ცოტა ხნით უნდა გერმანიაში ჩასვლა დედის სანახავად და მალევე უკან დაბრუნდება, რადგან დიდი ხნით არ დაშორდეს მამას. როგორც ნ.ბ. ამბობს, მას სურს საქართველოში მამასთან ერთად ცხოვრება – „მდლით ჩავალ გერმანიაში და მერე უკან ჩამოვალ, რომ აქ ვიცხოვრო“. ამ ეტაპზე ცალსახა პასუხის მოთხოვნა ბავშვისგან თუ სად უნდა, რომ იცხოვროს არ არის ეთიკური და ძალდატანებითი ხასიათის იქნება.

ცალსახა პასუხის დაფიქსირება უნდა მოხდეს იმ გარემოში, სადაც ორივე მშობელი თანაბრად განახორციელებს მზრუნველობას არასრულწლოვანზე, რის შედეგადაც მას შეუსუტდება დანაკარგის შიში და უფრო მეტად მოახდენს ფოკუსირებას თავისუფალ არჩევანზე, საბოლოო ეტაპზე კი საჭიროა არასრულწლოვანი ნ.ბ.-ს შემზადება ფსიქოკონსულტაციების გზით, ნებისმიერი გადაწყვეტილების უმტკივნეულოდ გადასატანად.

<sup>96</sup> Katrina Miller – Mother – Child Bonding vs. Father-Child Bonding – 2014.

**კითხვა 3.** გთხოვთ, მოგვცეთ მეთოდოლოგიური რჩევები, რა სიხშირით და რა ფორმით არის მიზანშეწონილი არასრულწლოვნის მშობლებთან ურთიერთობა იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება არასრულწლოვნის სურვილი ცხოვრობდეს და იზრდებოდეს, რომელიმე მშობელთან (დედასთან ან მამასთან).

პირველ რიგში, გარდა ეკონომიკური და სოციალური პირობებისა, მეურვე მშობელი უნდა აკმაყოფილებდეს მეურვე მშობლისთვის აუცილებელ პირობებს.

### **მეურვე მშობლის ძირითადი მოვალეობები:**

- აქტიურად იყოს ჩართული ბავშვის ცხოვრებაში;
- შეუქმნას ბავშვს კომფორტული და უსაფრთხო გარემო;
- არ გაუფუჭოს ურთიერთობა არამეურვე მშობელთან, არ განაწყოს მის წინააღმდეგ და ხელი არ შეუშალოს არამეურვე მშობელთან და მისი ოჯახის წევრებთან ბავშვის ურთიერთობას.

მშობლისთვის მეურვეობის მისაცემად ის უნდა იყოს აქტიურად ჩართული ბავშვის მოვლასა და ცხოვრებაში.

### **13.2 რამდენიმე ამონარიდი თანამედროვე კვლევებიდან**

- კვლევებმა ცხადყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის მშობლებს განქორწინების შემდეგ ნორმალური და კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, ბავშვები ნორმალურად და კარგად ვითარდებიან. ბავშვის მუდმივი ურთიერთობა ორივე მშობელთან მომავალში განაპირობებს მათ უკეთ ადაპტაციას გარემოსთან. (Tracy Ahen – Psychological and Emotional Aspects of Divorce).
- ბავშვის ინტერესებშია, რომ ორივე მშობელთან თანაბარი კონტაქტი ჰქონდეს.
- სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები ე.წ. კანონის მექანიზმს იყენებენ იმისთვის, რომ ბავშვი გაუცხოვდეს მეორე მშობელთან, დაშორდეს მას და ეს გაკეთდეს „ლეგალურად“. ზოგჯერ ერთი მშობელი განაწყობს ბავშვს მეორის მიმართ, ბავშვმა კი მისივე კეთილდღეობისათვის უნდა იცოდეს, რომ მშობლები ერთმანეთს პატივს სცემენ და იცავენ ერთ-

თმანეთის უფლებებს.

- მშობლებს უნდა ჰქონდეთ ცივილიზებული, საქმიანი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა.
- ძირითადად, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ინტერესები და ბავშვის მშობლებთან ცხოვრების გრაფიკი ამის მიხედვით უნდა განაწილდეს.
- გრაფიკი მყარი და იმავე დროს მოქნილიც უნდა იყოს, იმ შემთხვევისთვის, რომ საჭიროებისა და გარკვეული ვითარების შემთხვევაში შეიცვალოს.
- ბავშვი ორივე სახლში უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

ბუნებრივია, ყველაზე ოპტიმალური ფორმა იქნებოდა გაერთიანებული მეურვეობა, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქვეყნებს შორის არსებული (საქართველო-გერმანია) გეოგრაფიული დაშორებულობის გამო პრობლემური ხდება, თუმცა სურვილის შემთხვევაში, გარკვეული კომპრომისის მოძებნა ალბათ, აქაც შესაძლებელი იქნებოდა.

შევჩერდეთ გაერთიანებული მეურვეობის საკითხზე, რადგან ეს ფორმა ყველაზე ოპტიმალურია და დღეს სულ უფრო ხშირად მიმართავენ გაერთიანებული მეურვეობის პრაქტიკას, რადგან მისი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ საკითხის ამგვარი გადაწყვეტა აგვარიდებს გაუთავებელ ბრძოლას ბავშვის მეურვეობისთვის (როზ ზინერი – გაერთიანებული ფიზიკური მეურვეობა – 2013). აღნიშნული მეურვეობა გულისხმობს ორივე მშობლის თანაბარ პირობებში ჩაყენებას, ანუ ეს ნიშნავს, რომ ბავშვი თანაბრად ცხოვრობს ორივე სახლში, გრაფიკიც მშობლების შეთანხმებით დგება, მათი შესაძლებლობების მიხედვით. ორივე მშობელს ყოველდღე აქვს ბავშვის ნახვის და მის ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება, ბავშვი შეიძლება დღეგამოშვებით რჩებოდეს, ხან ერთ, ხან მეორე მშობელთან ან ზაფხულს ატარებდეს მამასთან ან დედასთან, ანუ რომელიც მტკადა დაკავებულია და წლის განმავლობაში არ სცალია. ამგვარი მეურვეობის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ბავშვები მყარ და ახლო ურთიერთობას ინარჩუნებენ ორივე მშობელთან. ბავშვის კეთილდღეობისთვის სასურველია მშობლების თანამშრომლობა და მშვიდობიანი ურთიერთობა. გაერთიანებული მეურვეობა ახდენს ბავშვების მიერ დანაკარგის განცდის ნიველირებას და ტრავმის შერბილებას. ცნობილია, რომ

ბავშვებს, რომელთაც თანაბარი და უპრობლემო ურთიერთობა აქვთ ორივე მშობელთან ნაკლებად აქვთ დანაკარგის, უარყოფილობის შეგრძნება და დაბალი თვითშეფასება. სოციალური მუშაკების დაკვირვება ცხადყოფს, რომ როდესაც ბავშვები ძირითადად, ერთ მშობელთან იმყოფებიან, უფრო მიდრეკილნი არიან დეპრესიისკენ, უჭირთ კომუნიკაციის დამყარება და მორგება გარემოსთან, აგრესიის უფრო მაღალი დონე აქვთ, ხშირად გულჩათხრობილები ხდებიან და ავლენენ უფრო მეტ სომატურ სიმპტომსა თუ ჩივილს.

კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ბავშვის კეთილდღეობისთვის აუცილებელია განქორწინებულ მშობლებს შორის დამყარდეს თანამშრომლობითი ურთიერთობა, რადგან როგორც წესი, ბავშვი, რომელსაც თანაბრად კარგი ურთიერთობა აქვს ორივე მშობელთან, უკეთ ეგუება გარემოს<sup>97</sup> და უცილებელია და დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მშობელი, რომელთანაც ძირითადად იქნება ბავშვი – იყოს ყურადღებიანი და სენზიტიური ბავშვის მოთხოვნებისა და საჭიროებებისადმი.<sup>98</sup>

შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ნებისმიერი გადანაცვლებილება ეს იქნება ეს არასრულწლოვანი ნ. ბ-ს გამგზავრება გერმანიაში თუ საქართველოში დარჩენა, მისთვის იქნება ტრავმის მომტანი და საფრთხეს შეუქმნის არასრულწლოვნის ჯანსაღ ფსიქო-ემოციურ განვითარებას. ნ.ბ-ს გერმანიაში დაბრუნება დიდი ხნით, ახლა როდესაც ის შეეჩვია გარემოს სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმის მიზეზი შეიძლება გახდეს, რადგან მსგავსი შემთხვევები მაფრუსტრირებელია და არასრულწლოვნები ავლენენ დეპრესიისადმი მიდრეკილებას მსგავს შემთხვევებაში, რაც ნეგატიურად აისახება მათ ფსიქიკურ განვითარებაზე.

უნდა მოხერხდეს მშობლებისა და ბავშვის თანაბარი ურთიერთობა და ამ ურთიერთობის დროს გამოიკვეთოს, რომელ მშობელთან და რომელ გარემოში ურჩევნია ბავშვს ცხოვრება. საერთოდ, როგორც ბოლო დროის დასავლეთის პრაქტიკა გვიჩვენებს, ბავშვი რასაკვირველია, მისი სურვილის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ

---

<sup>97</sup> J.Jurgens – Behavioral Manifestations of Adolescent School Relocation and Trauma., 1996.

<sup>98</sup> Vol. 15, 1998 Psychological Effects of Relocation 119 The Psychological Effects of Relocation for Children of Divorce, Marion Gindes, Ph.D.

მშობლები სხვადასხვა ქალაქში ან ქვეყანაში ცხოვრობენ, უფრო ხშირად რჩება იმ მშობელთან, რომლისთვისაც უფრო რთულია მისი მონახულება წლის განმავლობაში.

აუცილებელია შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც ორივე მშობელს თანაბრად მიეცემა შვილთან ურთიერთობის შესაძლებლობა.

### **13.3 რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი ბავშვის მამისთვის დატოვება**

#### **ფსიქოლოგიური ანალიზი სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე**

2013 წლის 9 აგვისტოს, სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ დაკ-მაყოფილდა მოსარჩელის თ.მ-ს შუამდგომლობა დროებითი განკარგულების თაობაზე, რომ მცირეწლოვანი დ.გ. (მამრობითი სქესის) დაბადებული 2011 წლის 13 ოქტომბერს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღსაზრდელად გადაეცეს დედას – თ.მ-ს.

მოპასუხე გ.გ-მ განცხადებით მიმართა სენაკის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა დროებითი განკარგულების შეცვლა, კერძოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დ.გ. აღსაზრდელად დარჩეს მასთან და თ.მ-ს კი გ.გ-ს თანდასწრებით შეუზღუდავად ჰქონდეს ურთიერთობა ბავშვთან შემდეგი გარემოებების მითითებით: განმცხადებლის განმარტებით, თ.მ-ს აქვს ფსიქიკური პრობლემები, რაც დაეწყო მშობიარობის შემდეგ. იგი აღრიცხვაზე იმყოფება ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში. თ.მ-ს ჰქონდა თვითმკვლელობის მცდელობები, ასევე მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ბავშვის სხეულის დაზიანების ფაქტსაც. ასეთ პირობებში მისთვის აღსაზრდელად ბავშვის გადაცემა საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აგრეთვე, მცირეწლოვანი დ.გ. ცხოვრობს და იზრდება მამასთან – გ.გ-სთან და ბებიასთან ი.ჩ-სთან, მათ საცხოვრებელ სახლში, აქვს ნორმალური პირობები, დედის ბალში და შეჩვეულია ამ გარემოს.

ექსპერტს შემდეგ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი:

1. არის თუ არა განკურნებადი თ.მ-ს დიაგნოზში დაფიქსირებული დაავადება – დეპრესიული ფსიქოზი F32.3 ?
2. ახასიათებს თუ არა დაავადებას რემისია ანუ შეიძლება თუ არა თ.მ. კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ტოვებდეს ჯანმრთელის შთაბეჭდილებას?

3. ახასიათებს თუ არა დაავადებას რეციდივი?
4. 2 წლის დ.გ.-ს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების თვალსაზრისით რამდენად გამართლებული იქნება მსგავსი დიაგნოზის მქონე ქრონიკულ ავადმყოფს თ. მ.-ს აღსაზრდელად გადაეცეს იგი რუსეთის ფედერაციის ქ. სარატოვში სამუდამოდ წასაყვანად?
5. დ.გ.-ს მეტყველების სტიმულირებისთვის ესაჭიროება თუ არა ერთენოვანი გარემო და ქართულენოვანი გარემოს ცვლილება უარყოფითად აისახება თუ არა მისი მეტყველების განვითარებაზე?
6. როცა დ.გ. ემოციურად მიჯაჭვულია მამაზე, მისი სოციალური გარემოს ცვლილება განსაკუთრებით კი, მამასთან განშორება აისახება თუ არ ბავშვის ემოციურ მდგომარეობაზე?
7. რამდენად მიზანშეწონილია დ.გ.-სთვის დღევანდელი საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახური გარემოს შეცვლა?

### **პასუხი კითხვებზე**

1. კითხვა აღემატება ფსიქოლოგის კომპეტენციას, თუმცა ლიტერატურიდან ცნობილია, რომ დეპრესიული ფსიქოზის მკურნალობა საკმაოდ ეფექტურია და ავადმყოფი ერთი წლის მანძილზე იკურნება, თუმცა მას შემდგომაც სჭირდება მკურნალობის გაგრძელება და ექიმის მეთვალყურეობა, რადგან დეპრესიული ფსიქოზი სერიოზული დაავადებაა, განსაკუთრებით თავისი ციკლური ბუნების გამო და ამ დროს ძალიან დიდია სიუციდისა და რეციდივის რისკი.
2. რემისიის პერიოდში, რომელიც თავისთავად ამ დაავადებისთვის დამახასიათებელია, რადგან დეპრესიული ფსიქოზი (იგივე მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი) ისედაც ხასიათდება ციკლური მიმდინარეობით და დეპრესიულ ფაზას ცვლის მანიაკალური ფაზა, რომლის დროსაც პიროვნება შესაძლოა ტოვებდეს ჯანმრთელის შთაბეჭდილებას, რადგან არის მხიარული, ენერგიული, აქტიური და ამაღლებული გუნებ-განწყობილებით გამოირჩევა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რემისია სრულია და ხანგრძლივი, რადგან თავისთავად ეს დაავადება ქრონიკული ხასიათისაა და მუდმივ მეთვალყურეობას საჭიროებს. დროთა გან-



მავლობაში ხდება ამ დაავადების ფაზების ნიველირება, თუმცა ამას სჭირდება დრო, ადეკვატური მკურნალობა და ექიმის მეთვალყურეობა.

3. ასევე ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თუ პაციენტი არ იქნება კონტროლის ქვეშ, მას შეიძლება გაუმეორდეს ეპიზოდი სტრესის ფონზე, უფრო ადრეც კი, ვიდრე სავარაუდოა დაავადების ციკლური ხასიათიდან გამომდინარე.
4. ნებისმიერი ფსიქიკური დარღვევა საყურადღებოა და მსგავსი პაციენტისთვის 2 წლის ბავშვის გადაცემა მიზანშეწონილი არ არის.
5. იმ შემთხვევაში, როდესაც დ.გ-ს როგორც ამას ვკითხულობთ ნეიროფსიქოლოგიურ დასკვნაში – გამოუვლინდა ექსპრესიული და რეცეპტიული მეტყველების განვითარების მსუბუქი შეფერხება, ბუნებრივია, რომ ორენოვანი გარემო მიზანშეწონილი არ არის, რადგან მეორე ენის ათვისების აუცილებლობა, ვიდრე ერთი ენა ჯერ სრულყოფილად ჩამოყალიბებული არ არის, ბუნებრივია შეაფერხებს მშობლიური ენის ათვისებას, მით უფრო, რომ მაშინაც კი, როდესაც ბავშვი ორ ენაზე ერთდროულად იწყებს ლაპარაკს – ეს ფაქტი ანუ ბილინგვიზმი, ზოგიერთ შემთხვევაში შემაფერხებელი შეიძლება აღმოჩნდეს გონებრივი განვითარებისთვის.
6. დაშორება ცალსახად უარყოფით გავლენას მოახდენს ბავშვზე, მით უფრო, რომ როგორც საქმის მასალის და მონშეთა დაკითხვის ოქმიდან ვიგებთ, დედას ბავშვთან არ ჰქონია ხანგრძლივი ურთიერთობა და ბავშვი მას შეჩვეული არ არის. განშორების შემთხვევაში ბავშვი მოინწყენს და ძალიან გაუჭირდება ახალ გარემოსთან შეგუება, რაც შემდგომში შესაძლოა უარყოფითად აისახოს ბავშვის ფსიქიკასა და განვითარებაზე.
7. ზემოთ, განსაკუთრებით მე-6 კითხვაზე გაცემული პასუხიდან უკვე ცალსახად იკვეთება, რომ ბავშვისთვის ამ ეტაპზე მისი საცხოვრებელი ადგილისა და ოჯახური გარემოს შეცვლა არ არის მიზანშეწონილი და ეს ცვლილება არასასურველ შედეგებს გამოიწვევს და უარყოფითად აისახება ბავშვის შემდგომ ფსიქოემოციურ განვითარებასა და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე.

## დასკვნა

ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს შესაძლებლობას ცალსახად დავასკვნათ, რომ 2 წლის ბავშვის ამ ეტაპზე შეჩვეული ოჯახური გარემოდან მოშორება და მით უფრო დედისთვის გადაცემა ქალაქ სარატოვში ნასაყვანად, მიზანშეწონილი არ არის. ბავშვის დედაპრაქტიკულად ჯანმრთელიც რომ ყოფილიყო და არ ჰქონოდა დეპრესიული ფსიქოზის ეპიზოდი, მაინც არ არის მიზანშეწონილი არასრულწლოვნის გადაცემა იმ მშობლისთვის, რომელსაც მცირეწლოვანი ბავშვი შეუჩვეველია. ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია დედას გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვთან ურთიერთობა ჰქონდეს მისთვის ჩვეულ გარემოში, დაიმსახუროს მისი ნდობა და მხოლოდ მერე არის შესაძლებელი საუბარი არასრულწლოვნის გადაცემაზე, იმ პირობით თუ ის შეინარჩუნებს ახლო ურთიერთობას მამასთან და მას არ შეექმნება ჩვეული გარემოს დეფიციტი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა გ.გ-ს განცხადება დროებითი განკარგულების შეცვლის თაობაზე და დაადგინა, რომ დ.გ. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე აღსაზრდელად დარჩეს მამის – გ.გ-ს საცხოვრებელ სახლში და დედას – თ.მ-ს მიეცეს უფლება შეუზღუდავად იქონიოს ურთიერთობა ბავშვთან.

იგივე საქმე დაბრუნდა ხელახალ წარმოებაში და ამჯერად ექსპერტს პასუხი უნდა გაეცა შემდეგ კითხვებზე:

1. უარყოფითად ხომ არ აისახება ბავშვზე – მცირეწლოვან დ.გ-ზე მამასთან და ჩვეულ გარემოსთან განშორება და დედასთან საცხოვრებლად სარატოვში გადასვლა?
2. რამდენად მიზანშეწონილია მცირეწლოვანი ბავშვებისთვის მიჯაჭვულობის ობიექტთან დაშორება და რა გართულება შეიძლება მოჰყვეს ამ მოქმედებას?

ცნობილია, რომ როდესაც ნებისმიერი პიროვნება და მით უფრო მცირეწლოვანი ბავშვი იძულებულია დატოვოს ის გარემო, რომელსაც ის შეჩვეულია და სადაც თავს დაცულად და კომფორტულად გრძნობს, ეს სტრესთანაა დაკავშირებული და არასტაბილობის და დაუცველობის განცდას წარმოშობს.

კვლევების თანახმად, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესია, როდესაც განქორწინებული მშობლები ერთმანეთთან

მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებენ და ახლოს ცხოვრობენ, ერთ რაიონშიც კი, რომ ბავშვს არ მოუხდეს ჩვეული გარემოს შეცვლა და დიდი ხნით დაშორება მეგობრებთან, ახლობლებთან, რომელთაც შეჩვეულია და მათთან თავს უსაფრთხოდ და ლალად გრძნობს. „ბავშვებს არ უნდათ იმ გარემოს მიტოვება სადაც ცხოვრობენ“<sup>99</sup> (The Psychological Effects of Relocation for Children of Divorce by Marion Gindes, Ph.D.). ამგვარმა ვითარებამ, ანუ რელიოკაციამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბავშვის ფსიქიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას. აგრეთვე არ არის მიზანშეწონილი ბავშვების დაშორება შეჩვეულ მეგობრებთანაც, ვისთანაც ბავშვი სიამოვნებით ატარებს დროს და თამაშობს.

შეჩვეული გარემოსგან მონყვეტა ინტაქტური ოჯახის ბავშვებისთვისაც კი არ არის მიზანშეწონილი და მით უფრო იმ პირობაში თუ გეოგრაფიული დაშორების გამო ბავშვს მოუხდება იმ მშობელთან განშორება, რომელთანაც იზრდება და რომლის ნახვის შესაძლებლობაც მას ძალიან იშვიათად ექნება. ბუნებრივია, რომ ამგვარი ცვლილება ნებისმიერ ბავშვში გამოიწვევს შფოთვას და ფსიქიკური თუ ფსიქოლოგიური სტატუსის არასასურველ შემფოთებას.

აგრეთვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბავშვის ადაპტაცია ახალ გარემოსთან საკმაოდ ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესია და მნიშვნელოვან კვალს ტოვებს მის ფსიქიკაზე. ამ დროს შესაძლოა ძილის რეჟიმის დარღვევა, ცრემლიანობა, შფოთვა და ა.შ.

ბავშვებს, განსაკუთრებით კი მცირეწლოვან ბავშვებს არ ჰყოფნით კოგნიტური რესურსი, რომ მიხვდნენ, თუ სად გაქრა მიჯაჭვულობის ობიექტი, ანუ ის მშობელი, რომელთანაც ისინი იზრდებიან. ბავშვები ამ დროს განსაკუთრებით მონყველადები ხდებიან და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მათ ჯერ არ შეუძლიათ თავიანთი გრძნობების ვერბალიზება, დისტრესს განიცდიან. (JOHN BOWLBY, ATTACHMENT AND LOSS). ბავშვებს ამ დროს უჩნდებათ მიტოვებულობის განცდა, რომელიც შესაძლოა მერე დიდხანს გაჰყვეთ და იმოქმედოს მათ ჰარმონიულ განვითარებაზე, ანუ იმოქმედოს აკადემიურ მოსწრებაზე, სოციალურ ადაპტაციაზე და ა.შ.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი ბავშვი და განსაკუთრებით მცირეწლოვანი, მგრძნობიარეა მშობლის მდგო-

---

<sup>99</sup> Marion Gindes, Ph.D. – The Psychological Effects of Relocation for Children of Divorce., 1998.

მარეობისადმი და თუ მეურვე მშობელს აქვს დეპრესია ან სტრესის მდგომარეობა ან ზოგადად, მისი ფსიქიკური სტატუსი არ არის მშვიდი და სტაბილური, ბავშვს არ შეეძლება ჰარმონიულად განვითარების პირობები და არ ექნება თანმიმდევრული დისციპლინა და სათანადო ყურადღება, რაც სამომავლოდ ბევრ ნეგატიურ შედეგს გამოიწვევს. უამრავი კლინიკური მონაცემი ცხადყოფს, რომ ბევრი დისტრესში მყოფი მეურვე მშობელი ბავშვებს იყენებს, როგორც დასაყრდენს და სტიმულს და ვერ უზრუნველყოფს მათ სათანადო ემოციური უკუკავშირით, რაც თავის მხრივ ეჭვქვეშ აყენებს არასრულწლოვნის ჯანსაღ ფსიქოლოგიურ განვითარებას.

ჩვენ დავაკვირდით მცირეწლოვანი დ. გ-ს ურთიერთობას მამასთან, რომელთანაც ის იზრდება.

ბავშვი არის ლალი, მხიარული, თავისი ასაკისთვის შესაფერისად განვითარებული; იცის ბევრი ლექსი, ადეკვატურია. მიჯაჭვულია მამაზე და მამის ოჯახის წევრებზე. კითხვაზე ვისთან ერთად უნდა თამაში და სამოგზაუროდ წასვლა, ასახელებს მამას, პაპას და ბიძაშვილებს. ამბობს, რომ ყველაზე მეტად უყვარს გ. (მამა), ი. (გ-ს მამა, ანუ ბავშვის პაპა) და ი. (მამის ბებია).

ბავშვი კომფორტულად და დაცულად გრძნობს თავს არსებულ გარემოში და მისთვის გარემოს ცვლა და მამასთან დაშორება იქნება მეტად მძიმე. ამან შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი რეაქცია ბავშვის მხრიდან და საჭირო გახდეს შესაბამისი სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქონევროლოგი) დახმარება. მით უფრო არასასურველი იქნება მისი ჩვეული გარემოდან, ანუ საკუთარი სახლიდან მომზადების გარეშე მონყვეტა და მისთვის უცხო გარემოში, შეუჩვეველ მშობელთან ერთად წასვლა გეოგრაფიულად დაშორებულ რეგიონში, სადაც მას არ ექნება მამის და საკუთარი ოჯახის (ბავშვი სრულად არის ინტეგრირებული იმ გარემოში, სადაც იზრდება) ნახვის საშუალება. ამან შეიძლება იმოქმედოს ბავშვის თვითიდენტიფიკაციაზეც და გამოიწვიოს შფოთვა. ამას ემატება ისიც, რომ ბავშვს მოუხდება ენობრივი გარემოს შეცვლა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მცირეწლოვანი დ. გ-ს მშობლიური გარემოდან მონყვეტა ყოველგვარი მომზადების გარეშე მიზანშეწონილი არ არის და ეს აუცილებლად იქნება სტრესთან დაკავშირებული, რადგან გაუცხოვებულ მშობელთან შეგუება საკმაოდ ხანგრძლივი და ფაქიზი პროცესია.

თუმცა, კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, მწვავე აუცილებლობის გარეშე, გეოგრაფიულად დაშორებული რელოკაციის განხორციელება პრინციპში მიზანშეწონილი არ არის, მით უფრო რომ ბავშვმა უნდა დატოვოს მშობლიური სახლი და მიჯაჭვულობის ობიექტი (საკუთარი მამა), რაც მასზე უარყოფითად აისახება.

### **13.4 რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი ბავშვის დედისთვის დატოვება**

#### **ფსიქოლოგიური ანალიზი სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე მცირეწლოვანი ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა**

ს.ჯ. რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა დ. დ-სთან 2010 წლიდან 2013 წლამდე და განქორწინდნენ. განქორწინების შემდეგ მცირეწლოვანი ბ. (გოგონა) ცხოვრობდა დედასთან და ეს გარემოება სადავო არ იყო. ფაქტობრივად ს.ჯ. თავის მცირეწლოვან შვილთან ბ-სთან ერთად ცალკე ცხოვრობდა 2013 წლის 10 აგვისტოდან, ანუ იმ დღიდან, როდესაც ს.ჯ-მ გადაწყვიტა განქორწინება და ბავშვის დედასთან ცხოვრება ბუნებრივად ჩაითვალა მისი ყოფილი მეუღლის მხრიდანაც. ამ საკითხში ს.ჯ-ს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. 2013 წლის ნოემბერში, მამამ საბავშვო ბაღში მიაკითხა ბ-ს, ნაიყვანა თავის სახლში და არ აძლევდა ს.ჯ-ს შვილის ნახვის უფლებას. ს.ჯ-მ ბავშვი ვერ წამოიყვანა, იმის გამო, რომ შეეშინდა დ.დ-ს არაადეკვატური ქმედება არ ჩაედინა, მით უფრო რომ დ.დ. ნარკოტიკებს მოიხმარს.

დ. დ-ს შეგებებული სარჩელიდან ირკვევა, რომ 2013 წლის 8 ოქტომბერს ს.ჯ. რეგისტრირებულ ქორწინებაში გატარდა მოქალაქე გ.ო-სთან და მიატოვა მცირეწლოვანი ქალიშვილი. მხარეებს არ ჰქონიათ მოლაპარაკება შვილის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის თაობაზე და რომ დედამ დაარღვია მორალური მხარე, როდესაც გათხოვდა, მიატოვა მცირეწლოვანი ქალიშვილი და ცხოვრობს თბილისში ნაქირავებ ბინაში. არ მუშაობს და არა აქვს ნორმალური მატერიალური პირობები ბავშვის აღსაზრდელად.

გაირკვა, რომ განქორწინების შემდგომ ბავშვი იმყოფებოდა დედასთან თვენახევრის განმავლობაში და ამ ვადის გასვლის შემდეგ მამამ მოტყუებით ნაიყვანა ბავშვი ზუგდიდში და აღარ დააბრუნა, რის შემდეგაც ს.ჯ. ჩადის ზუგდიდში და მიჰყავს თავისთან და და-

ჰყავს ბალში, საიდანაც ერთ დღეს ის ველარ წამოიყვანა, რადგან მამამ წაიყვანა არასრულწლოვანი და აუკრძალა დედას მისი ნახვა. (ს.ჯ-სთან საუბრის შედეგად ირკვევა, რომ ს. და დ. მანამდეც განქორწინებულან, ამ დროს არასრულწლოვანი დედასთან იმყოფებოდა და ამაზე არავინ დავობდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი ხელმეორედ დაქორწინდნენ და მეორედ განქორწინდნენ და არასრულწლოვანი ისევ დედასთან იმყოფებოდა, თანაც თბილისში. დ.დ-ს ამაზე არავითარი პრეტენზია არ გამოუთქვამს, სანამ არ შეიტყობდა, რომ ს.ჯ. გათხოვდა. ამის შემდეგ, დ.დ-მ წაიყვანა არასრულწლოვანი და დედას აღარ ატანს).

საქმეში აგრეთვე წარმოდგენილია 2014 წლის 14 იანვარს, ზუგდიდის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკის დასკვნა, რომლის თანახმადაც არასრულწლოვანი ბ.დ. არის ჯანმრთელი, გაკეთებული აქვს ასაკობრივი აცრები, კოგნიტიური და თვითმოვლის უნარები შეესაბამება ასაკს და არა აქვს ქცევითი და ფსიქოლოგიური პრობლემები. აქედანვე ვიგებთ, რომ ბ-ზე ძირითადად ზრუნავენ პაპა და ბებია. იქვე ვკითხულობთ, რომ ოჯახის დისფუნქციის გამო ბ-მ დედასთან ერთად ცხოვრების შესაძლებლობა დაკარგა, მაგრამ მყარი მიჯაჭვულობის გრძნობა ჩამოუყალიბდა მამისა და მამის მშობლების მიმართ. ბ-ს ნამდვილად სჭირდება დედასთან ურთიერთობა, მაგრამ არა მამასთან უკვე ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობის რღვევის ხარჯზე. დედის ოჯახის შეფასებისთვის, თუ რამდენად კეთილსაიმედო და უსაფრთხო გარემო იქნება ბავშვისთვის, მხოლოდ სატელეფონო საუბრები არ კმარა, საჭიროდ მიგვაჩნია, ბავშვი ნაცნობ გარემოში აღიზარდოს მამისა და მისი მშობლების გარემოცვაში, რომლებსაც შეჩვეულია და კარგად გრძნობს თავს (ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომ სანამ დ.დ. წაიყვანდა ბავშვს, ბ. ცხოვრობდა დედასთან და კომფორტულად გრძნობდა თავს, როგორც დედასთან, ისე მის გარემოცველ გარემოში). დასკვნის ბოლოს ვკითხულობთ, რომ თანმიმდევრული კომუნიკაციით და არასრულწლოვანთან შეთანხმებული მოქმედებით შესაძლებელია დედასთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაც (ამ ფრაზას თუ დავეყრდნობით, უნდა ვიფიქროთ, რომ ბ. დ. გაუცხოვებულია დედასთან, ვერ ამყარებს მასთან კონტაქტს და დედისა და ბავშვის ურთიერთობის აღდგენას დრო სჭირდება, რაც საქმეში წარმოდგენილი მასალებიდან გამომდინარე (ფაქტობრივი გარემოება, ფოტოსურათები, ვიდეოკადრები, დედის მიერ მონოღებული ინფორმაცია) არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვი-

ლეს, მით უფრო, რომ არსებული მყარი და ახლო ურთიერთობის შემდეგ (დედა ბავშვისთვის პირველი რიგის ფიგურა უნდა ყოფილიყო, რადგან ის უვლიდა მას და ზრუნავდა მასზე და ბავშვი მასთან ცხოვრობდა ბოლო 4 თვის გარდა. 4 თვე კი არ არის საკმარისი ვადა იმისთვის, რომ დაბადებიდან ჩამოყალიბებული პირველადი მზრუნველის ხატი დაირღვეს, მით უფრო, რომ დედას არც ამ 4 თვის განმავლობაში გაუნყვეტია შვილთან კონტაქტი).

### **ექსპერტს შემდეგ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი:**

1. როგორია ბავშვის დამოკიდებულება ანუ მიჯაჭვულობა მშობლების მიმართ?
2. რა გავლენა მოახდინა ბავშვის ფსიქიკაზე მამასთან მუდმივად საცხოვრებლად გადასვლამ?
3. მამის ოჯახიდან მონყვეტამ (ბავშვის წამოყვანამ) რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბავშვზე?
4. დედასთან ცხოვრებამ მისი (დედის) მეორე ქორწინებაში ყოფნის პირობებში რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე?
5. როგორი შეიძლება იყოს სწორი სტრატეგია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, მოსალოდნელი სტრესისგან თავის ასარიდებლად?
6. დედა-შვილის ურთიერთობის აღდგენა-გაღრმავების რა რესურსები არსებობს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გარეშე ან შეცვლის შემთხვევაში?

მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ვიდრე სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე კონკრეტულად გავცემდით პასუხს, ზოგადად განგვეხილა ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი თემები, კერძოდ: მეურვეობის მინიჭება, ანუ ვისთან უნდა იზრდებოდეს არასრულწლოვანი და განსაკუთრებით მცირეწლოვანი გოგონა, „მიჯაჭვულობის“ ფემონემი, ბავშვისთვის საცხოვრებელი ადგილის შერჩევა, მამინაცვლის და ზოგადად, ნაცვალ მშობელთან ურთიერთობა და ის ფსიქოლოგიური პრობლემები, რომლებიც აღმოცენდება, როდესაც ბავშვისა და მშობლების ურთიერთობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ასევე, რა შემთხვევაში შეიძლება დედას ჩამოვართვათ

ბავშვი და შევზღუდოთ მასთან ურთიერთობა ან უარი ვუთხრათ მას მეურვეობაზე. ჩვენი ამოცანა იყო ამ თემებისა და მათთან დაკავშირებული კვლევების შედეგების განხილვა თანამედროვე ლიტერატურის საფუძველზე, საქმეში არსებულ მასალებთან მისადაგებითა და მათი გათვალისწინებით.

### **პასუხი დასმულ კითხვებზე:**

1. როდესაც არასრულწლოვანს იძულებით უხდება მიჯაჭვულობის ობიექტისგან განშორება, ის დარდობს, რადგან მისთვის არასასურველ სიტუაციაშია მოხვედრილი და მიჯაჭვულობის ობიექტის მიმართ უჩინდება წყენა, რადგან მან ის მიატოვა (ბავშვი ხომ ვერ აცნობიერებს, რომ ხშირად მიტოვება იძულებითია, როგორც ბ.დ-ს და ს.ჯ-ს შემთხვევაში) და ამან შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი და არასასურველი სოციალური და ემოციური პრობლემები.
2. პასუხი კითხვაზე თუ რა გავლენა მოახდინა არასრულწლოვანის ფსიქიკაზე მამასთან მუდმივად საცხოვრებლად გადასვლამ პასუხის გაცემა ემპირიული დაკვირვებისა და ბავშვის შემონეების გარეშე შესაძლებელია მხოლოდ იმ ცვლილებების საფუძველზე თუკი ასეთი არის, რომელიც განიცადა არასრულწლოვანმა ამ ხნის განმავლობაში. საერთოდ ბუნებრივია, რომ ბავშვისთვის არ უნდა ყოფილიყო ადვილი დედასთან განშორება.
3. ბუნებრივია, რომ თუ არასრულწლოვანს სამუდამოდ წაიყვანენ მამის ოჯახიდან ეს მასზე უარყოფით გავლენას მოახდენს, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, დედა არ აპირებს მამისა და შვილის დაშორებას და ამდენად ბავშვს როდესაც ეცოდინება, რომ ნებისმიერ მომენტში შეეძლება მამის და მამის ოჯახის ნახვა და იქ ყოფნა, მისთვის დედის ოჯახში გადასვლა სტრესული არ იქნება, მით უფრო, რომ ბ.დ. დედასთან ცხოვრობდა და კარგად გრძნობდა თავს, ვიდრე მას მამა წაიყვანდა.
4. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბ.დ. მუდმივად (ბოლო 4 თვის გარდა) დედასთან იმყოფებოდა და განქორწინების დროსაც თავიდან დედასთან ცხოვრობდა, მას არანაირი პრობლემა არ ექნება დედასთან ურთიერთობისას და ძალიან მალე აღიდგენს დედასთან ჩვეული ურთიერთობის სტილს. რაც შეეხება დედამისის მეორე მეუღლეს, ს.ჯ-სთან საუბრისას გაირკვა, რომ სანამ მისი ყოფილი მეუღლე შეიტყობდა იმის შესახებ, რომ ს.ჯ. გათ-



ხოვდა, მას არ ჰქონდა ბავშვის ნამოყვანის პრეტენზია და მცირეწლოვანი ბ. დ. უპრობლემოდ დატოვებული ჰყავდა დედასთან თბილისში, სადაც ბ.დ. ცხოვრობდა დედასთან და მის მეუღლესთან, რომელთანაც ბავშვი უპრობლემოდ ურთიერთობდა. ასე რომ ეს სიტუაცია არც ახალი და არც შეუჩვეველი არ იქნება ბ.დ-სთვის. რაც უფრო ადრე გადავა ბ.დ. დედის ოჯახში და ამ ოჯახის წევრადაც ჩათვლის თავს, მით უფრო უკეთესია სამომავლოდ, რადგან ს.ჯ. ელოდება მეორე შვილს და მიზანშეწონილია, რომ ბ.დ-ს მზაობა ჰქონდეს ძმის მისაღებად და თავიდანვე მიეჩვიოს თავის ძმას, არ იყოს მასთან გაუცხოვებული და არ აღიქვას დედასთან ურთიერთობის ხელისშემშლელად და არასასურველ კონკურენტად, რაც შემდგომში გაართულებს ბ-ს ურთიერთობას დედასთან და საზიანო იქნება მისი სოციალური და ფიზიკური განვითარებისთვის, ასევე უარყოფითად აისახება ბავშვის ფსიქიკაზე.

5. ბუნებრივია, რომ არასრულწლოვანი უნდა იყოს იქ, სადაც თავს კომფორტულად გრძნობს და სადაც არის ყველა პირობა მისი განვითარებისთვის და სადაც მას ჯანსაღი ფსიქოლოგიური გარემო აქვს.
6. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დედასთან ურთიერთობის აღდგენა სავარაუდოდ არ იქნება საჭირო, რადგან ის არც დარღვეულია, რადგან 4 თვე არ არის ის ვადა, როდესაც 2,5 წელი დედა მუდმივად ბავშვთან იყო და ახლაც ურთიერთობს მასთან. ჩვეულებრივ კი, თუ ბავშვს დედა დიდი ხანია არ უნახავს და გაუცხოვებულია, დედას ეძლევა საშუალება მიიჩვიოს ბავშვი და მას მერე რაც ბავშვს მასთან ყოფნის სურვილი გაუჩნდება, იმოქმედოს მოლაპარაკებისამებრ.

### **დასკვნა და რეკომენდაციები:**

ამ საკითხზე არსებული თანამედროვე ლიტერატურის შეჯერება, საქმის მასალების ანალიზი და ბ.ჯ-ს დედასთან საუბარი გვაძლევს შემდეგი დასკვნის და რეკომენდაციების გამოტანის საშუალებას:

კიდევ ერთხელ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ დედასა და შვილის დაშორება არის ხელოვნური და არ არის ბავშვის სურვილით გამოწვეული. ბუნებრივია, მიზანშეწონილია, რომ მცირეწლოვანი გოგონა დედასთან იზრდებოდეს, თუ დედას აქვს ამის სურვილი და პირობა, რათა უზრუნველყოს ბავშვი მისთვის აუცი-

ლებელი გარემოთი, რაც მტკიცდება საქმის მასალებით.

განქორწინების შემდეგ ყველაზე მთავარია მშობლებმა თავის ინტერესებზე, წყენაზე და შურისძიების გრძობაზე მაღლა დააყენონ არასრულწლოვნის კეთილდღეობა და ინტერესები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება 5 წლამდე ბავშვს.

მშობლების არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ – არაკეთილგანწყობამ ერთმანეთის მიმართ, პირადმა წყენამ, შურისძიების გრძობამ არ უნდა დააზიანოს ბავშვის კეთილდღეობა, განსაკუთრებით, თუ ბავშვი მცირეწლოვანია.

ბავშვის კეთილდღეობისთვის აუცილებელია, რომ მან შეინარჩუნოს თბილი ურთიერთობა ორივე მშობელთან. დაუშვებელია რომელიმე მშობელი ან ბავშვის უახლოესი გარემოცვა უარყოფითად განაწყობდეს მას მეორე მშობლის მიმართ. ამით ბავშვს შეიძლება გამოუხსნორებელი ზიანი მიადგეს.

გარემოებები, თუ რატომ მიგვაჩნია აუცილებლად დედისთვის, თუნდაც გარკვეული პერიოდით ბავშვის დაბრუნება, თუნდაც საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე:

1. დედისთვის ბავშვის გადაცემა საბოლოოდ გაარკვევს რამდენად ეგუება და ხალისიანად ცხოვრობს ბ. დედასთან და შეუძლია თუ არა მამისა და მამის ოჯახის გარეშე ყოფნა იმ პირობაში, თუ მამასთან და მისი ოჯახის წევრებთან მას ხშირი და შეუფერხებელი კონტაქტი ექნება;
2. ჩვენი აზრით, აუცილებელია იმ პერიოდში, როდესაც ბ.ჯ-ს ძმა უნდა ეყოლოს, მან ეს პერიოდი დედასთან გაატაროს, რათა ბუნებრივად მოხდეს მის ცხოვრებაში ძმის შემოსვლა და მიხვდეს, რომ მისი ძმა დედასთან ურთიერთობას არ უშლის და დედას ორივე ერთნაირად უყვარს;
3. ასევე სასურველია, ბ.ჯ. შეეგუოს მამინაცვალთან ურთიერთობას და ეს ახლა, როდესაც ბ.დ. მცირეწლოვანია უფრო ადვილად მოხდება, რათა შემდგომში კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდეს მასთან და ამან ხელი არ შეუშალოს მას დედასთან ურთიერთობაში და პატარაობიდანვე აღიქვას და გაითავისოს, რომ მას აქვს ორი უსაფრთხო და მოსიყვარულე ოჯახი და ორივე სახლში ლაღად და ბედნიერად იცხოვროს;

4. მეტად მნიშვნელოვან გარემოებად, რაც დედის სასარგებლოდ მეტყველებს და განგვანყოფს დედისთვის ბავშვის გადასაცემად, არის ის ფაქტიც, რომ ის არ არის იმის წინააღმდეგი, რომ ბ.დ-ს მამასთან ჰქონდეს ურთიერთობა, პირიქით, მას ამ საკითხთან დაკავშირებით ჯანსაღი და ცივილიზებული დამოკიდებულება აქვს, ხოლო რაც შეეხება მამას, საქმის ვითარებიდან გამომდინარე, არსებობს საშიშროება, რომ მან შეაფერხოს ბ.დ-ს ურთიერთობა დედასთან, რაც ნამდვილად საზიანო იქნება ბ.დ-ს, როგორც ფსიქიკური, ისე ფიზიკური ჯანმრთელობისთვის და ხელს შეუშლის მის სოციალურად და ფსიქოლოგიურად ადეკვატურ პიროვნებად ჩამოყალიბებაში.

**13.5 მიზანშეწონილია თუ არა დროებით თავის შეკავება ბავშვებისთვის დედინაცვლის ნახვისგან, თუ ბიოლოგიური დედა არ არის ფსიქოლოგიურად ამისთვის მზად**

**ფსიქოლოგიური ანალიზი სასამართლო პრაქტიკის მაგალითზე**

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ბავშვების (ორივე მამრობითი სქესის) დედა მ. გ. და მამა ი. მ. შეუღლდნენ 2004 წელს და განქორწინდნენ 2012 წელს. ი. მ-მ იქორწინა ხელმეორედ და სურს, რომ ბავშვებს ურთიერთობა ჰქონდეთ მის მეორე მეუღლესთანაც, რისი წინააღმდეგაც არიან მ. გ. (გ. და დ. მ-ის ბიოლოგიური დედა) და თავად ბავშვებიც.

ჩვენ ვესაუბრეთ მ. გ-ს, გ. და დ. მ-ებს.

მ. გ-ს ბავშვების მამასთან და მამის ოჯახის წევრებთან ბავშვების ურთიერთობის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუმცა ის კატეგორიული წინააღმდეგია ბავშვების ურთიერთობისა ი. მ-ის ამჟამინდელ მეუღლესთან.

ბუნებრივია, რომ ამგვარი პოზიცია ძაბავს ურთიერთობას და არანაირ შემთხვევაში არ შეიძლება სასიკეთოდ აისახოს ბავშვების ფსიქიკაზე და მათ ურთიერთობაზე მამის მეორე მეუღლესთან.

თავად ბავშვები გამოირჩევიან თავისებური ხასიათით, თუმცა შემეცნებითი სფეროს თავისებურებები, ლექსიკური მარაგი და განვითარების დონე შეესაბამება მათ ასაკს და ადეკვატურია. ბავშვები კარგად გრძნობენ თავს დედასთან და იჩენენ მისდამი მიჯაჭ-

ვულობას.

გ. და დ.მ-ები პოზიტიურ დამოკიდებულებას იჩენენ მამის და პაპა-ბებიის მიმართ (ი.მ-ს მშობლები), თუმცა მაინც დედას ანიჭებენ უპირატესობას. მამის მეორე მეუღლის არსებობა მათთვის სტრესულია და მასთან ურთიერთობის სურვილს არ გამოთქვამენ.

ჩვენ არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად ბავშვების იძულების წესით მამის მეორე მეუღლესთან ურთიერთობა, რაც აუცილებლად უარყოფითად აისახება მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და გამოიწვევს დაძაბულობას. ეს არის ფაქიზი და ხანგრძლივი პროცესი და ბავშვების მზაობას მოითხოვს, რომელიც მათ ჯერ არა აქვთ. ნებისმიერი ფორსირება უარყოფით რეაქციას გამოიწვევს და გაამწვავებს, ისედაც გამწვავებულ სიტუაციაში.

გარდა ბავშვების მზაობისა, ამ პროცესისთვის მზად უნდა იყოს ბავშვების ბიოლოგიური დედა მ.გ-ც, რომელიც დღემდე მწვავედ განიცდის შექმნილ ვითარებას და მისთვის სიტუაცია მტკივნეული და სტრესულია. მ.გ მზრუნველი დედაა და მისი ცხოვრების არსს შვილები წარმოადგენენ და მისი სურვილის გარეშე ბავშვების მამის მეორე მეუღლესთან ურთიერთობა უარყოფითად იმოქმედებს ბავშვების ბიოლოგიურ დედაზე, რაც შეიძლება ასევე უარყოფითად აისახოს მის შრომისუნარიანობაზე და გუნებ-განწყობილებაზე, რაც თავის მხრივ დააზარალებს ბავშვებს.

ამ სიტუაციის მოგვარება, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, არ უნდა მოხდეს ფორსირების გზით და როგორც ბავშვების დედას, ისე ბავშვებს უნდა მიეცეთ გარკვეული დრო ამ სიტუაციის გადასალახავად და მასთან შესაგუებლად.

გარდა ამისა, ბავშვების დედა მ.გ. მოითხოვს, რომ მამამ ბავშვები მხოლოდ 3 დღის განმავლობაში ნახოს, რაც ამ გამწვავებულ ვითარებაში ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბავშვების ასაკიდან და სკოლის რეჟიმიდან გამომდინარე, მით უფრო რომ ბავშვების საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრულია დედის საცხოვრებელი ადგილი და ძირითადი „სახლი“ მათთვის იქ არის, სადაც დედა იმყოფება. ამ ეტაპზე დედისგან დიდი ხნით დაშორება არასასურველია და სამომავლოდ ბავშვებზე ეს ნეგატიურად აისახება.

## თაპი XIV

### აღამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეკომენდაციური პრინციპული გადაწყვეტილებები

#### ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ<sup>100</sup>

მომჩივნები არიან დეიდა და მისი სამი მცირეწლოვანი დისშვილი. 2009 წლის ნოემბერში, დედის სიკვდილის შემდეგ, ბიჭები დედის ნათესავებთან ცხოვრობდნენ, რადგან მათი მამა წარსულში მოიხმარდა ნარკოტიკს და იმ პერიოდისთვის გადიოდა მკურნალობის კურსს.

2010 წლის დასაწყისში, მამამ სასამართლოს მიმართა შვილების დაბრუნების თაობაზე. პირველ ინსტანციაში, მიუხედავად იმისა, რომ მან ბიჭების ინტერესების დასაცავად მოითხოვა წარმომადგენელი, სამართალწარმოებაში სოციალური მომსახურების სააგენტო არ იყო ჩართული. სასამართლომ ბავშვები მამას დაუბრუნა, მიუხედავად ექსპერტის ანგარიშისა, რომლის მიხედვითაც, არ იყო მიზანშეწონილი ბავშვების საცხოვრებელი გარემოს შეცვლა, რადგან ისინი ბრაზობდნენ მამასთან დაშორების გამო და ამჟღავნებდნენ მისდამი უარყოფით დამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭების დაბრუნების შესახებ ბრძანება ძალაში იყო, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, იგი მაინც აღუსრულებელი დარჩა, რადგან ბიჭებმა უარი განაცხადეს მამასთან გადასვლაზე და მათი გადაცემის ორი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

დეიდა, მისი დისშვილების სახელით დავობს, რომ ბიჭების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლება (კონვენციის მე-8 მუხლი) დაირღვა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებით – მამასთან დაბრუნების შესახებ. მთავრობა აცხადებდა, რომ დეიდას არ ჰქონია უფლება ემოქმედა მისი დისშვილების სახელით, რადგან დედის სიკვდილის შემდეგ მამა გახდა მათი ერთადერთი კანონიერი მემურვე.

ა) დედის უფლება ან შესაძლებლობა – საქმე აღძრას ან გამოცხადდეს სასამართლოში. ვინაიდან, არასრულწლოვნებმა, რომლებმაც დაკარგეს დედა, ჰქონდათ რთული და მტრული ურთიერთობა

<sup>100</sup> N.Ts. and Others v. Georgia, N 71776/12, 2 თებერვალი 2016.

მამასთან და იმყოფებოდნენ დაუცველ პოზიციაში. ეჭვგარეშეა, რომ დეიდას ბავშვებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა და შესაბამისად, შეეძლო ედავა მათი სახელით, რადგან ისინი ცხოვრობდნენ მასთან და დეიდა ზრუნავდა მათზე ორ წელზე მეტი ხნის მანძილზე, მათ შორის, იმ დროისთვის, როდესაც საჩივარი იქნა შეტანილი სასამართლოში. უფრო მეტიც, მამისგან ჩამოშორების ფაქტის გათვალისწინებით, არ არსებობდა უახლოესი ნათესავი, რომელიც იდავებდა მათი სახელით. როგორც პოტენციური ინსტიტუციური ალტერნატივა, აღნიშნულ საქმეში სოციალური მომსახურების სააგენტო თავად წარმოადგენდა კრიტიკის საგანს და არ არსებობდა მოლოდინი იმისა, რომ იგი ხელს შეუწყობდა ბიჭების სახელით სასამართლოში სარჩელის შეტანას.

საჩივრის საგანთან მიმართებით ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისა და ბიჭების მნიშვნელოვან ინტერესთა გათვალისწინებით, დეიდამ მათი სახელით შეიტანა სარჩელი.

პირველადი პრეტენზია მიუღებლობის მოთხოვნით, არ იქნა მიღებული (ერთსულოვნად);

(ბ) საქმის არსებითი გარემოებები – მდგომარეობს მომჩივნის საჩივარში, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული საქმისწარმოება არ შეესაბამებოდა მე-8 მუხლის მოთხოვნებს და არ ითვალისწინებდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. განსახილველია ორი ფუნდამენტური ასპექტი: სათანადოდ იყვნენ თუ არა ბიჭები ჩართულნი სამართალწარმოებაში და ითვალისწინებდა თუ არა ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება ბავშვების საუკეთესო ინტერესებს;

(გ) წარმომადგენლისა და მოსმენის უფლება – მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლომ ბიჭებისთვის მოითხოვა წარმომადგენლის დანიშვნა, სასამართლოს მაინც ჰქონდა დამატებითი შენიშვნა, შიდასახელმწიფოებრივი საქმისწარმოების დროს, წარმომადგენლის კონკრეტულ როლთან დაკავშირებით. პირველ რიგში, სოციალური მომსახურების სააგენტო საქმისწარმოებაში ოფიციალურად ჩართული იყო მხოლოდ სააპელაციო ეტაპიდან და შემდეგ როგორც „დაინტერესებული მხარე“ – ამ სტატუსზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აკეთებდა არანაირ დათქმას. შესაბამისად, გაურკვეველია თუ როგორ შეეძლო სააგენტოს ეფექტურად წარმოედგინა ბავშვების ინტერესები, როდესაც არ არსებობდა

ფორმალური პროცედურული როლი.

მეორე – ორაზროვნად დარჩა, თუ რა იგულისხმებოდა ამ წარმომადგენლობაში, რადგან შესაბამისი კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა წარმომადგენლის უფლებებსა და ვალდებულებებს. რეალურად, მომჩივნის საქმეზე სამართალწარმოება ორ წელზე დიდხანს გაგრძელდა, სააგენტოს წარმომადგენელი მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდა ბიჭებს მათი საცხოვრებელი პირობების და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის მომზადების მიზნით, მაგრამ რეგულარული კონტაქტი არ იქნა შენარჩუნებული იმისათვის, რომ მომხდარიყო ბიჭების მონიტორინგი და დამყარებულიყო სანდო ურთიერთობა.

ამ კონტექსტში, სასამართლომ მიუთითა რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციაზე, მათ შორის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელოზე – „ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულება“, რომელიც მიზნად ისახავს, რომ ისეთ საქმეებში, სადაც არსებობს მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტი დაინიშნოს მეურვე ან სხვა დამოუკიდებელი წარმომადგენელი ბავშვთა ინტერესების დასაცავად და ინფორმირებული იყოს საქმისწარმოების შესახებ. სასამართლომ ვერ დაინახა, თუ როგორ შეიძლება ჩაითვალოს ადეკვატურ წარმომადგენლობად – სოციალური მომსახურების სააგენტოს ანგარიშების მომზადება და სასამართლო პროცესზე დასწრება, ამ სტანდარტების გარეშე. უფრო მეტიც, საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს, უფროსი ბიჭის (რომელიც 2002 წელს დაიბადა) საქმისწარმოებაში უშუალოდ ჩართვის შესაძლებლობის გათვალისწინება;

(დ) ბავშვთა საუკეთესო ინტერესების შეფასება – ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილება ძირითადად, ეფუძნებოდა იმ მოსაზრებას, რომ მამასთან დაბრუნება წარმოადგენდა ბიჭების საუკეთესო ინტერესს და რომ დედის ოჯახს უარყოფითი გავლენა ჰქონდა მათზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული სასამართლო დაეთანხმა ამ დასაბუთებას, მან აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს იმ მნიშვნელოვანი ფაქტის მხედველობაში მიღება, რომ ბიჭებს არ უნდოდათ მამასთან დაბრუნება. რაც არ უნდა მანიპულაციურ როლს ასრულებდეს დედის ოჯახი ბავშვების მამისგან ჩამოშორებასთან მიმართებით, ეროვნული სასამართლოების წინაშე წარმოდგენილი მტკიცებულება ბიჭების

მტრულ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ცალსახაა. უფრო მეტიც, არსებობდა ფსიქოლოგთა რამდენიმე ანგარიში, რომლებიც აფრთხილებდნენ ბიჭების ფსიქოლოგიური პრობლემების რისკის არსებობის თაობაზე, იმ შემთხვევაში თუკი მათ იძულებით დააბრუნებდნენ მამასთან. ამგვარ ვითარებაში, ბრძანება ასეთი რადიკალური ზომის მიღების შესახებ სათანადო გადასვლისა და წინასწარი მოსამზადებელი ზომების გათვალისწინების გარეშე ბავშვებისა და მათი მამის ურთიერთობის აღსადგენად, ეწინააღმდეგებოდა ბიჭების საუკეთესო ინტერესებს.

სასამართლომ დაასკვნა, რომ ხარვეზიანი წარმომადგენლობით და ამით გამოწვეული მარცხით, რომ შესაბამისად მომხდარიყო სასამართლო პროცესზე ბიჭების დასწრება და მათი მოსაზრებების მოსმენა, დაირღვა პროცედურული სამართლიანობა გადაწყვეტილების მიღებისას და გაძლიერდა ბიჭების საუკეთესო ინტერესის არაადეკვატური და ცალმხრივი გათვალისწინება, რომლითაც მოხდა მათი ფსიქიკური მდგომარეობის იგნორირება, მათი ოჯახისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევით.

**დასკვნა:** დადგინდა დარღვევა (ერთხმად).

### **კრასიტსკი პოლონეთის წინააღმდეგ<sup>101</sup>**

საქმე ეხებოდა ბ-ნი კრასიტსკის საჩივარს პოლონეთის ხელისუფლების მიმართ, რომელმაც ვერ უზრუნველყო მისი უფლებების აღსრულება, კერძოდ: საკუთარ ორ ვაჟთან (დაბადებულები: 1999 წლის იანვარსა და 2000 წლის დეკემბერში) კონტაქტის შენარჩუნება. 1970 წელს დაბადებული მომჩივანი პოლონეთის მოქალაქეა და ცხოვრობს ვარშავაში. ბ-ნი კრასიტსკი არასდროს თანაცხოვრობდა მეუღლესთან ან შვილებთან ერთად, თუმცა 2005 წლის დასაწყისამდე არ ჰქონდა პრობლემები შვილების ნახვასთან დაკავშირებით. სირთულეები შემდგომში წარმოიშვა და ეროვნულმა სასამართლოებმა 2006 წლის 8 თებერვლის ბრძანებით განსაზღვრეს ბავშვებთან ურთიერთობის ღონისძიებები. სხვადასახვა ორგანოები – სასამართლოები, სასამართლოს მიერ დანიშნული მეურვეები, პოლიცია და ბავშვთა სკოლა – ჩართული იყო აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფაში. თუმცა, წინამდებარე ღონისძიებები ნაკლებად წარმატებულად ხორციელდებო-

<sup>101</sup> Krasicki v. Poland, N 17254/11, 15 აპრილი 2014.



და მომჩივანისადმი დედის მტრული დამოკიდებულების გამო. ბოლოს, სასამართლოს მიერ დანიშნული მეურვის რეკომენდაციით, ბავშვები გადაუდებელი მზრუნველობის ცენტრში უნდა გადაეყვანათ, რადგან ისინი სკოლაში რეგულარულად არ დადიოდნენ, მათი დედა ცალკე ცხოვრობდა და ვერ უმკლავებოდა შვილების აღზრდას. ბავშვების დედის მიერ დანყებულ სამართალწარმოება გადაუდებელი მზრუნველობის ცენტრში მოთავსებასთან დაკავშირებული ბრძანების გაუქმების მოთხოვნით მიმდინარეობდა. ამ ხნის განმავლობაში ბავშვები რჩებოდნენ დედასთან. კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) ბ-ნი კრასიტსკი დაობდა, რომ ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები, ბავშვებთან კონტაქტის უფლების უზრუნველყოფის შესახებ, არ იყო საკმარისი და ინვესტირება მდგომარეობას, რაც გამოიხატებოდა იმ რისკებით, რომ მომჩივანი თავის ვაჟებთან ურთიერთობას ველარ აღადგენდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის ურთიერთობა საკუთარ ვაჟებთან წარმოადგენდა „ოჯახურ ცხოვრებას“ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. აღნიშნული ტერმინის ფუნდამენტური ელემენტი მოიცავს როგორც მშობლის, ისე ბავშვის მიერ წინამდებარე მუხლის აღიარებული უფლებით სარგებლობას. კონვენციის მე-8 მუხლის არსი მდგომარეობს ინდივიდის სახელმწიფო ორგანოების მიერ თვითნებური ჩარევისგან დაცვაში. ამასთან, სახელმწიფოს გარკვეული პოზიტიური ვალდებულებები ეკისრება ოჯახური ცხოვრების დაცვის კუთხით. ეს ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს ისეთი ზომების მიღებას, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახური ცხოვრების დაცვას, მათ შორის ადამიანის უფლებების დაცვის მარეგულირებელი ჩარჩო სასამართლო და აღმასრულებელი მექანიზმების შექმნითა და კონკრეტული ნაბიჯების იმპლემენტაციის გზით. სახელმწიფოს როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური მოვალეობების შეფასებისას, ხაზი უნდა გაესვას ინდივიდისა და საზოგადოების შეპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის ვალდებულებას, მათ შორის მესამე პირების უფლებებს და სახელმწიფოს დისკრეციას ამ სფეროში. ამასთან, სასამართლო მხედველობაში მიიღებს კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფის ზოგად ინტერესს.

სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებით უმნიშვნელოვანესია ბავშვის საუკეთესო ინტერესები და იგი უპირატესად უნდა იქნას განხილული. მშობელი, კონ-

ვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, არ არის უფლებამოსილი მიიღოს ისეთი ზომები, რომელიც ზიანს მიაყენებს ბავშვის ჯანმრთელობას და განვითარებას. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან მიმართებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ერთ-ერთი მშობლის ბავშვთან კონტაქტის უფლების განხორციელების შემთხვევებში, კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს მშობლის უფლებას – მიიღოს ისეთი ზომები, რომელიც უზრუნველყოფს მშობელთან შვილის გაერთიანებას და ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებას – ხელი შეუწყოს ასეთ გაერთიანებას. აღნიშნული გარემოება ნაკარნახევია ბავშვის ინტერესიდან – ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რათა შენარჩუნდეს პიროვნული ურთიერთობები და სადაც შესაძლებელია, „გაერთიანდეს“ ოჯახი.

როცა აღნიშნული ღონისძიებები ეხება მშობლების დავას შვილების თაობაზე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს როლი არ არის ჩაანაცვლოს ეროვნული ხელისუფლების ორგანოები ასეთი საქმეების გადანყვეტისას, არამედ განიხილოს ეროვნული ხელისუფლების ორგანოების გადანყვეტილებები ევროპული კონვენციის ფარგლებში. ამ კუთხით, სასამართლომ უნდა დაადგინოს, რომ მომჩივნის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების განხორციელების მიზნით მიღებული ზომები რელევანტური და საკმარისია. შესაბამისად, არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

სასამართლო პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს მშობლის უფლებას – შვილებთან გაერთიანების მიზნით მიიღოს შესაბამისი ზომები და სახელმწიფოს ვალდებულებას – მიიღოს ასეთი ზომები. ამასთან, ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ვალდებულება – განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები არამეურვე მშობლისთვის, განქორწინების შემდეგ ბავშვთან კონტაქტის დამყარების მიზნით – არ არის აბსოლუტური. მთავარი საკითხი ეხებოდა შესაბამისი ორგანოების მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯის შეფასებას, რათა უზრუნველყოფილიყო საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, ბავშვთან კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა. ბავშვთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას გასათვალისწინებელი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორია დრო, რადგან ყოველთვის არსებობს რისკი იმისა, რომ ნებისმიერი პროცედურული დაგვიანება გამოიწვევს სასამართლოს წინაშე საკითხის დე ფაქტო გადანყვეტას. ამასთან, გადანყვეტილების მიღების პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს მშობლის ინტერესების საკმარის დაცვას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე საქმეში გადამწყვეტია პოლონეთის სახელისუფლებო ორგანოებმა თუ მიიღეს ყველა შესაბამისი ზომა ბავშვებთან კონტაქტის ღონისძიებების აღსრულების მიზნით. საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი და სრულყოფილი შესწავლის და გამოკვლევის შემდეგ, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნული ხელისუფლების ორგანოებმა განახორციელეს ყველა შესაბამისი ღონისძიება და მიიღეს სათანადო ზომები, მშობლის შვილთან კონტაქტის უზრუნველყოფის მიზნით. აქედან გამომდინარე, სასამართლო ვერ დაასკვნის, რომ ეროვნულ დონეზე ადგილი ჰქონდა უკანონო ან არასათანადო ქმედებებს შესაბამისი ორგანოების მხრიდან. ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-8 მუხლი.

### **პასკალი რუმინეთის წინააღმდეგ<sup>102</sup>**

მომჩივანი 1976 წელს დაიბადა და რუმინეთში ცხოვრობს. იგი დაქორწინებული იყო ო.მ.მ-ზე; მათ 2004 წლის 8 ივნისს ქალიშვილი შეეძინათ. 2006 წლის 1-ელ აგვისტოს, წყვილის დაშორების შემდეგ, მომჩივანმა ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ სამართალწარმოება დაიწყო, რათა მოეპოვებინა დროებით ბავშვთან ურთიერთობის უფლება. სასამართლომ გადაწყვეტილების რამდენჯერმე გასაჩივრების შემდეგ, საბოლოოდ, დადგინდა, რომ მომჩივანი ქალიშვილს ნახავდა კვირა დღეს, დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ო.მ.მ-ს სახლში ან სადმე სხვაგან. 2007 წლის 7 მარტს, მომჩივანმა მიმართა სასამართლოს, იგი მოითხოვდა გამოაკლისოს სახით, 28, 29 და 30 მარტს ჰქონოდა ბავშვის ნახვის შესაძლებლობა. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა და მამას 1 დღის განმავლობაში ბავშვთან კომუნიკაციის ნებართვა მისცა, იმ საფუძველზე, რომ მამასა და ნათესავებთან ოჯახური კავშირების შენარჩუნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ასეთი გამონაკლისი მოთხოვნით კიდევ ორჯერ მიმართა მომჩივანმა სასამართლოს. ორივე შემთხვევაში მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ერთ-ერთი მოთხოვნა შეეხებოდა 2007 წლის საშობაო არდადეგების მამასთან გატარებას. სასამართლომ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა და მიიჩნია, რომ მშობლებს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის გათვალისწინე-

<sup>102</sup> Pascal v. Romania, N 805/09, 17 აპრილი 2012.

ბით, ბავშვის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენდა, რომ ბავშვს მამა დედის სახლიდან მოშორებით ენახა. შედეგად, მომჩივანმა ბავშვი 7 დღით წაიყვანა. მომჩივნის ყოფილმა მეუღლემ სასამართლოს ზემოთ ხსენებული გადაწყვეტილება წარუმატებლად გაასაჩივრა.

2006 წლის 23 აგვისტოს, მომჩივანმა ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ განქორწინებასა და მეურვეობასთან დაკავშირებით საქმის წარმოება დაიწყო. სასამართლო გადაწყვეტილებით ბავშვის მეურვეობა დედას მიეკუთვნა. მოწმეთა ჩვენებებზე დაყრდნობით, მეურვეობის ორგანოს სოციალური გამოძიებისა და რეკომენდაციის საფუძველზე სასამართლომ დედა განსაზღვრა ბავშვის მთავარ მეურვედ. აღნიშნული გადაწყვეტილება არც ერთ მშობელს არ გაუსაჩივრებია.

2007 წელს, მომჩივანმა მიმართა სასამართლოს, რათა დადგენილიყო ბავშვთან ვიზიტების გრაფიკი. მან სასამართლოს მოთხოვა ორ წელიწადში ერთხელ, განსაზღვრული დღეების, მათ შორის ქრისტიანული აღდგომისა და შობის, მასთან გატარების უფლების მინიჭება. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მამის მოთხოვნა და კვირაში რამდენიმე საათით დედის თანდასწრებით ბავშვის ნახვის უფლება მისცა. შეხვედრებზე დედის ყოფნა უზრუნველყოფდა ბავშვისთვის სტრესული სიტუაციის თავიდან არიდებას, რაც გამოწვეული იყო მშობლებს შორის არსებული დაძაბულობით. ამასთან, მამასთან კავშირი ბავშვისთვის სასარგებლო იყო, ვინაიდან მისი ემოციური და ფსიქოლოგიური განვითარებისთვის საჭირო იყო ორივე მშობელთან ურთიერთობის შენარჩუნება. რაც შეეხება, მომჩივნის მოთხოვნას ხანდახან ბავშვის ქვეყნის გარეთ გაყვანასთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვს ჰქონდა ნათესავებთან ურთიერთობის უფლება. მას მამის მხრიდან ფრანგი ნათესავები ჰყავდა და მათთან კავშირი უნდა შენარჩუნებულიყო. დედის განცხადება, რომ მომჩივანი ბავშვს არ დააბრუნებდა რუმინეთში, დაუსაბუთებელი იყო, ვინაიდან მას მანამდეც ჰქონდა ამის შესაძლებლობა, თუმცა ბავშვს ყოველთვის დროულად აბრუნებდა დედასთან. დამატებით, სასამართლომ მომჩივანს უფლება მისცა ორ წელიწადში ერთხელ, საშობაო და აღდგომის არდადეგებზე ბავშვი ერთი კვირით ქვეყნის გარეთ წაეყვანა, თუნდაც დედა ამის წინააღმდეგი ყოფილიყო.

2009 წელს, მას შემდეგ, რაც დედა-შვილი საცხოვრებლად გაერ-

თიანებულ სამეფოში გადავიდა, მომჩივანმა ყოფილი ცოლის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა და მოითხოვა ბავშვთან ურთიერთობის ახალი გრაფიკის შედგენა, კერძოდ, ყოველ მეორე კვირას დედის ხარჯებით ბავშვი დაბრუნებულიყო რუმინეთში, ასევე ორ წელიწადში ერთხელ, ზემოხსენებული არდადეგები მასთან გაეტარებინა. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და დაადგინა, რომ ბავშვის საცხოვრებელი ქვეყნის შეცვლა ამართლებდა ახალი გრაფიკის განსაზღვრას. თუმცა, ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, მომჩივნის მიერ შემოთავაზებული განრიგი ძალიან დამლელი იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ ქრისტიანული აღდგომის პერიოდი მამისთვის კარგი შესაძლებლობა იყო შვილი იქ ენახა, სადაც ბავშვი ცხოვრობდა. ზამთრისა და ზაფხულის არდადეგებზე კი, როდესაც მათ ერთად მეტი დროის გატარება შეეძლოთ, იგი უფლებამოსილი იყო ბავშვი დედის სახლიდან წამოეყვანა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მშობლებს უნდა გაენაწილებინათ ზამთრისა და ზაფხულის არდადეგების ხარჯები, ხოლო აღდგომის ხარჯებს მთლიანად მამა გასწევდა. გარდა ამისა, თუ მომჩივნის ყოფილი ცოლი არ შეასრულებდა სასამართლოს მიერ დადგენილ გრაფიკს, მას თითოეულ გადაცილებულ დღეზე ჯარიმის გადახდა მოუწევდა. აღნიშნული გადაწყვეტილება მომჩივანმა გაასაჩივრა, მისი საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილდა, თუმცა ბავშვის დედამ სამართლებრივი საკითხები გაასაჩივრა. საბოლოოდ, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მომჩივანი შვილის სანახავად ყოველი თვის ბოლო კვირას გაერთიანებულ სამეფოში უნდა გამგზავრებულიყო. უფრო მეტიც, გადაწყვეტილება არ ითვალისწინებდა დედის ვალდებულებას ქალიშვილი მისთვის ჩამოეყვანა ზამთრისა და ზაფხულის არდადეგებზე. გარდა ამისა, ორ წელიწადში ერთხელ ის უფლებამოსილი იყო ბავშვი ენახა, თუმცა მხოლოდ ორი დღით და არა ერთი კვირით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება არ მომხდარა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ დაირღვა მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, ვინაიდან არ აღსრულებულა გადაწყვეტილება, რომელიც მას არასრულწლოვანი შვილის ნახვის უფლებას ანიჭებდა.

სასამართლო დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში „ოჯახური ცხოვრების“ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხ-

ლის ძირითადი მიზანია დაიცვას პირები საჯარო ხელისუფლების თვითნებური გადაწყვეტილებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება შეიძლება მოიცავდეს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებსაც. ორივე კონტექსტში მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შეპირისპირებულ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა. სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლი მოიცავს მშობლის უფლებას კონტაქტი იქონიოს შვილთან და ეროვნული ხელისუფლების ვალდებულებას, ხელი შეუწყოს აღნიშნულ პროცესს, ვინაიდან ბავშვის საუკეთესო ინტერესების მიხედვით, შენარჩუნებული უნდა იყოს მშობელთან პირადი კავშირები. გადანაცვლების აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმეებზე, ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რამდენად გაატარა ხელისუფლებამ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა უზრუნველყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. გატარებული ღონისძიებების ადეკვატურობა განისაზღვრება მათი განხორციელების დროულობით, ვინაიდან დროის დინებას გამოუსწორებელი შედეგები შეიძლება ჰქონოდა ბავშვისა და იმ მშობლის ურთიერთობაზე, რომელიც მასთან ერთად არ ცხოვრობს. ევროპული სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ ბავშვებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში მშობლების აქტიური მონაწილეობა კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად სავალდებულოა, რათა დაცულ იქნას ამ უკანასკნელთა ინტერესები. საბოლოოდ, სასამართლომ საზგასმით აღნიშნა, რომ მეურვეობასთან დაკავშირებულ დავებში, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. უპირველ ყოვლისა, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ბავშვის საუკეთესო ინტერესები, კერძოდ, მისი არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი შეიძლება უპირატესი იყოს მშობლის ინტერესზე.

წინამდებარე საქმეზე, სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო აღსრულების პროცედურა ცალსახად შეეხებოდა მომჩივნის „ოჯახურ ცხოვრებას“ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში. შესაბამისად, სასამართლომ პრეცედენტული სამართლით დადგინილი პრინციპების შესაბამისად უნდა განიხილოს რუმინეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები, იყო თუ არა იმდენად ადეკვატური და ეფექტური, რათა ხელი შეეწყოს მომჩივნისა და მისი შვილის გაერთიანებისთვის. გარდა ამისა, სასამართლომ უნდა განიხილოს, იყო თუ არა დაცული სამართლიანი ბა-

ლანსი შეპირისპირებულ ინტერესებს, კერძოდ, ბავშვისა და დედის ინტერესებსა და კანონის უზენაესობის პატივისცემის საზოგადო ინტერესს შორის.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დედის დამოკიდებულება განპირობებული იყო მამის ნახვის მიმართ ბავშვის უარყოფითი განწყობით. აღნიშნული გარემოება გადამწყვეტი გახლდათ, როგორც გადანყვეტილების სათანადოდ აღსრულების შემაფერხებელი ფაქტორი. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივანსა და ყოფილ მეუღლეს შორის არსებული კონფლიქტი ეროვნული ხელისუფლებისთვის შეუძლებელს ხდიდა, დაეცვა ბავშვის ნახვის შესახებ მამის უფლებები. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულება მამის ნახვის მიმართ წლების განმავლობაში გრძელდებოდა, რაც დადასტურებული იყო შესაბამისი მტკიცებულებებით. გარდა ამისა, ეროვნული ხელისუფლება ყოველთვის აღნიშნავდა, რომ მომჩივანის ყოფილი მეუღლე აფერხებდა გადანყვეტილების აღსრულებას.

წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მომჩივანის ბავშვთან კომუნიკაციის უფლების წარმატებით აღსრულებისთვის საჭირო იყო უფრო ფაქიზი დამოკიდებულების გამოვლენა ბავშვის მიმართ. ამ კუთხით, მომჩივანს არ მოუთხოვია შეხვედრებზე ფსიქოლოგის ან სოციალური მუშაკის დასწრება იმ მიზნით, რომ ახალი შესაძლებლობები აღმოეჩინა გაუცხოვებულ ქალიშვილთან ურთიერთობაში. ამასთან, როდესაც მომჩივანს ჰქონდა მეუღლესთან ერთად ფსიქოლოგის დახმარების მიღების შესაძლებლობა, მან ოთხი სესიის შემდეგ შეწყვიტა დახმარების მიღება. ევროპული სასამართლოსთვის ცნობილია წინამდებარე საქმეში არსებული რთული მდგომარეობა, რაც გულისხმობს მშობლებს შორის კონფლიქტს. საჭიროა დროის გარკვეული პერიოდის გასვლა, რათა მშობლებმა დაძლიონ ემოციური ფონი და ორივემ, ბავშვის საუკეთესო ინტერესზე გააკეთონ აქცენტი. თუმცა, ბავშვთან კავშირის ხელახლა დამყარება ასეთ რთულ ვითარებაში მოითხოვს გრძელვადიან ძალისხმევას.

საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანის საქმეზე ეროვნულმა ხელისუფლებამ სათანადოდ გაითვალისწინა ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ასევე რთული მდგომარეობის დროს, მიიღო ყველა ზომა, რათა უზრუნ-

ველყო მომჩინის ბავშვთან კომუნიკაციის უფლებები.

შესაბამისად, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ევროპულ-მა სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

სასამართლო ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები ზოგადად, მოიცავს მის ბიოლოგიურ ოჯახთან კავშირის შენარჩუნებას. ამასთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყოველთვის უპირატესი მნიშვნელობა გააჩნია. ბავშვის ინტერესები, პირველ რიგში, გამოიხატება ბიოლოგიურ მშობლებთან კავშირის შენარჩუნებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა განსაკუთრებული მიზეზები არსებობს ამის საწინააღმდეგოდ; მეორე მხრივ – უსაფრთხო გარემოში ბავშვის აღზრდაში. თუ ოჯახური კავშირების შენარჩუნება ზიანს აყენებს ბავშვს, მშობელს არ აქვს უფლება მოითხოვოს ასეთი კავშირების შენარჩუნება კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე. ბავშვის ინტერესების გამორკვევის პროცესში, ეროვნულმა სასამართლომ სხვა საკითხებთან ერთად უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ასაკი, განვითარება და მისი სურვილები. სახელისუფლებო ორგანოებს აქვთ ფართო მოქმედების არეალი, რათა დროებით შეზღუდონ ბავშვის მშობლებთან კომუნიკაცია და მისცენ ბავშვს დროებითი ალტერნატიული მზრუნველობის შესაძლებლობა. ასეთი ზომების მიღების შესაძლებლობები იმდენად შემოფარგლულია, რომ აღნიშნული გარემოებები დამატებით ზღუდავს მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობებს. საოჯახო ურთიერთობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლომ სხვა საკითხებთან ერთად, მხედველობაში უნდა მიიღოს ფაქტობრივი, ემოციური, ფსიქოლოგიური, მატერიალური და სამედიცინო გარემოებები.

მშობელს არ შეუძლია მოითხოვოს ისეთი ზომების მიღება, რომელიც ზიანს მიაყენებს ბავშვს. ამდენად, მშობლის ბავშვთან ურთიერთობის ვალდებულება არ არის აბსოლუტური. საუბარია ვალდებულებებზე, რომლებიც მიმართულია პროცედურების კეთილსინდისიერ წარმართვაზე და არა საბოლოო შედეგზე.



## მუსტაფა და არმაღან აკინი თურქეთის წინააღმდეგ<sup>103</sup>

მომჩივნები, შესაბამისად, დაიბადნენ 1957 და 1988 წელს და ცხოვრობენ ოდემისში. 1999 წელს, პირველი მომჩივნის ცოლმა დაიწყო განქორწინების პროცედურა და მოითხოვა ორივე შვილის, არმაღანის (მეორე მომჩივნის) და 1993 წელს დაბადებული მისი უმცროსი დის, დამლას, მისთვის მიკუთვნება.

ოდემის პირველი ინსტანციის სასამართლომ 2000 წლის 23 ივნისს, განქორწინების თაობაზე მოთხოვნა დააკმაყოფილა. გაითვალისწინა რა მხარეთა შემოსავლები და ბავშვის ასაკი, ოდემის სასამართლომ არმაღანის მეურვეობა მამას, ხოლო დამლას მეურვეობა დედას მიაკუთვნა. 2000 წლის 30 ნოემბერს, პირველმა მომჩივანმა ოდემის სასამართლოს სთხოვა დროებითი ღონისძიების მიღება, რომლის მიხედვითაც, ერთ შაბათ-კვირას მას ეყოლებოდა ორივე შვილი, ხოლო შემდგომ შაბათ-კვირას მის ყოფილ მეუღლეს. იგი ამტკიცებდა, რომ ამგვარად ბავშვები ერთმანეთთან კავშირს არ განწყვეტდნენ და ამასთან, იგი შეძლებდა ყოველ მეორე შაბათ-კვირას ორივე შვილთან ერთად ყოფილიყო. 2000 წლის 19 დეკემბერს, ოდემის პირველმა ინსტანციამ არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა, მიიჩნია რა, რომ მეურვეობასთან დაკავშირებული მისი განწყვეტილება მართებული იყო.

მომჩივანმა წარუმატებლად გაასაჩივრა წინამდებარე გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების გადასინჯვისა და შეცვლის თაობაზე მოთხოვნა 2001 წლის 8 თებერვალს არ დაკმაყოფილდა. 2001 წლის 11 სექტემბერს პირველმა მომჩივანმა შვილისა და საკუთარი სახელით სარჩელი აღძრა ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის და მისი ვაჟი ცხოვრობდნენ იმავე ქალაქში, სადაც მისი ქალიშვილი და ყოფილი ცოლი, თან ტერიტორიულად ძალიან ახლოს, სასამართლო გადაწყვეტილებით დაშვებული არ იყო ბავშვებს ერთმანეთი ენახათ და მას დრო ორივე შვილთან ერთად გაეტარებინა. იგი დავობდა, რომ აღნიშნული შეზღუდვა ბავშვებში შეუქცევად ფსიქოლოგიურ პრობლემებს იწვევდა, ქუჩაში შემთხვევით შეხვედრის დროსაც კი, დედა ბავშვებს ერთმანეთთან დალაპარაკებას უკრძალავდა. პირველი მომჩივანი ითხოვდა, რომ მის შვილებს ყოველ შაბათ-კვირას შეძლებოდათ ერთმანეთის ნახვა.

<sup>103</sup> Mustafa and Armağan Akin v. Turkey, N 4694/03, 6 აპრილი 2010.

ოდემის სასამართლომ აღნიშნული მოთხოვნა 2002 წლის 1 თებერვალს არ დააკმაყოფილა. სასამართლომ დაადგინა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საჭიროება მშობლებსა და შვილებს შორის მჭიდრო კავშირის გაუმჯობესებისა, დამლასთვის ყოველი მეორე შაბათ-კვირას მამასთან გატარება იქნებოდა გარემოს მუდმივი ცვლილება და უპირისპირდებოდა მის დისციპლინას.

მომჩივანმა გაასაჩივრა მოცემული გადაწყვეტილება და საჩივარში საკასაციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაზე მიუთითა. მითითებული გადაწყვეტილებების მიხედვით, გამოყენებული სამართალი ეროვნული სასამართლოებისგან მოითხოვდა უზრუნველყოთ, რომ ბავშვებთან წვდომის ნახვაში ხელი არ შეეშალათ. იგი აგრეთვე, აცხადებდა, რომ ბავშვთა საუკეთესო ინტერესებს დიდი მნიშვნელობა უნდა მინიჭებოდა. მომჩივანმა საკასაციო სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ დამას ერთმანეთი ორ წელზე მეტია, არ უნახავთ.

საკასაციო სასამართლომ 2002 წლის 29 აპრილს, საჩივარი არ დააკმაყოფილა, მიიჩნია რა, რომ ოდემის სასამართლომ „ადეკვატურად შეისწავლა მის ხელთ არსებული მტკიცებულებები და სასამართლოს დასკვნა თავსებადი იყო გამოსაყენებელ კანონმდებლობასთან. აღნიშნული გადაწყვეტილების შეცვლის თაობაზე მოთხოვნას უარი ეთქვა 2002 წლის 15 ივლისს. შეცვლის თაობაზე მოთხოვნაში მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ბავშვებს ერთმანეთი თითქმის სამი წელის არ უნახავთ და სამართლებრივი დაცვის ეს საშუალება იყო მათ მიერ ერთმანეთის ნახვის ბოლო შანსი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბავშვებს ერთმანეთის ნახვას უკრძალავდა, წარმოადგენდა მათი ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევას, კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მნიშვნელობის ფარგლებში.

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოადგენდა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში გაუმართლებელ ჩარევას. უფრო მეტიც, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით შიდა სასამართლომ ვერ უზრუნველყო ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვა.

მთავრობის განცხადების მიხედვით, ეროვნული სასამართლოების

მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ბავშვებს ერთმანეთის ნახვას არ უკრძალავდა, ვინაიდან ისინი ერთ სამეზობლოში ცხოვრობდნენ და მათი კონტაქტი შესაძლებელი იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, მომჩივნების მოთხოვნა რომ დაკმაყოფილებულიყო, დამლა ერთ შაბათ-კვირას დედასთან გაატარებდა, ხოლო მეორეს – მამასთან. აღნიშნული, მთავრობის მოსაზრებით, მის განვითარებაზე ცუდად აისახებოდა.

ევროპული სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მშობელსა და ქორწინების შედეგად დაბადებულ ბავშვებს შორის კავშირი, კონვენციის 8.1 მუხლის ფარგლებში წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას. მსგავსი ბუნებრივი ოჯახური ურთიერთობები არ წყდება იმ საფუძვლით, რომ მშობლები დაშორდნენ ან განქორწინდნენ, როდესაც ამ მიზეზით ბავშვი ან ერთ მშობელთან ცხოვრობს ან მეორესთან (იხ. *Civil v. Netherlands*, №29192/95, §59, ECHR 2000 – VIII). აღნიშნულის მსგავსად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში ოჯახური ცხოვრება სახეზე იყო მეორე მომჩივან არმალანსა და მის დას შორის, რომელთან ერთადაც იგი ერთ სახლში ცხოვრობდა, 2000 წელს, მშობლების განქორწინებამდე (იხ. *Olsson v. Sweden* (№1), 24 marti 1988, §81, seria A №130). აღნიშნავს რა, რომ მხარეთა მიერ სადავო არ გამხდარა ოჯახური ცხოვრების არსებობის ფაქტი, ევროპული სასამართლო განიხილავს, ადეკვატურად იქნა თუ არა დაცული მომჩივნების ოჯახური ცხოვრების უფლება.

ევროპული სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზგასმით მიუთითებს, რომ მე-8 მუხლის ძირითადი მიზანია, ინდივიდების დაცვა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების თვითნებური ქმედებებისგან. ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ უფლება, აგრეთვე, მოიცავს დამატებით პოზიტიურ ვალდებულებებს. თუმცა, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის არსებული ზღვარი ზუსტ განსაზღვრებას არ ექვემდებარება. მათ მიმართ გამოყენებული პრინციპები იდენტურია. ორივე კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს სამართლიან ბალანსზე, რაც დაცული უნდა იქნეს შეპირისპირებულ ინტერესებს შორის. გარდა ამისა, ორივე კონტექსტში სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო ზღვარით (იხ. *Tuquabo-Tekle and Others v. the Netherlands*, №60665/00, §42, 2005 წლის 1-ლი დეკემბერი).

წინამდებარე საქმეში, ევროპული სასამართლო მხედველობაში მი-

იღებს მე-8 მუხლთან მიმართებით დადგენილ პრეცედენტულ პრაქტიკას, რომელიც ხაზს უსვამს ხელისუფლების ვალდებულებებზე, იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებით (იხ. *Madlov v. Austria* [დიდი პალატა] № 1638/03, §82, 2003 წლის 23 ივნისი). გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხარისხის შეფასება ევროპული სასამართლოსგან მოითხოვს, დაადგინოს ჰქონდა თუ არა სასამართლოების გადაწყვეტილებას საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი (რაც მოიცავს მონშეთა ჩვენებებს, ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოთა დასკვნებს, ფსიქოლოგისა და სხვა ექსპერტის შეფასებებს და სამედიცინო ცნობებს); აგრეთვე, დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის ბავშვებს, მიეცათ თუ არა საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა (იხ. *Havelka and Others v. the Czech Republic*, №23499/06, §62, 2007 წლის 21 ივნისი, *Haase v. Germany*, №11057/02, §97, ECHR 2004-III).

ევროპული სასამართლო თავდაპირველად აღნიშნავს, რომ მეორე მომჩივანისა და მისი დის მეურვეობა ოდემის სასამართლომ საკუთარი ინიციატივით განსაზღვრა; არცერთ მშობელს არ მოუთხოვია მოსამართლისთვის აღნიშნულის განხორციელება. ფაქტობრივად, ოდემის სასამართლოს დედამ ორივე შვილის მისთვის მიკუთვნება სთხოვა. შესაბამისად, არ არსებობს ბავშვების განცალკევების გონივრული გამართლება.

მთავრობამ განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და-ძმას ერთმანეთის ნახვას არ უკრძალავდა, ვინაიდან ბავშვები სამეზობლოში ცხოვრობდნენ და ამრიგად, ერთმანეთთან კონტაქტის შენარჩუნება შესაძლებელი იყო. ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული არგუმენტი და მიიჩნია, რომ ბავშვებს შორის კავშირის შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანი, ხოლო აღნიშნულის მშობლების დისკრეციისა და ახირებისთვის მინდობა დაუშვებელი იყო. მთავრობა სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ დედა ბავშვებს, როდესაც ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, დალაპარაკებასაც კი უკრძალავდა.

მომჩივნებმა ოდემის სასამართლოს ორჯერ წარუდგინეს შესაბამისი მოთხოვნები და დავობდნენ, რომ ბავშვთან შეხვედრის შესახებ შეთანხმება ანგრევდა მათსა და დამლას შორის ოჯახურ კავშირს. მათ აგრეთვე, განაცხადეს, რომ სიტუაცია ბავშვებისათვის ფსიქოლოგიურ პრობლემებს ქმნიდა. ოდემის სასამართლოს ეცნობა დედის არათანამშრომლობითი ქცევის შესახებ. მიუხედავად

ამისა, ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებსა და დამლას შორის მომჩივნების მიერ მოთხოვნილი კონტაქტის შემთხვევაში, ადგილი ექნებოდა დამლას გარემოს მუდმივ ცვლილებას და აღნიშნული დაუპირისპირდებოდა მის დისციპლინას.

ევროპული სასამართლო ვერ დაეთანხმა წინამდებარე დასკვნას რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ ოდემის სასამართლოს არ წარმოუდგენია ახსნა-განმარტება თუ რატომ და ზუსტად როგორ შეენიანა აღმდგებოდა დამლას დისციპლინას და ძმისთვის ყოველ შაბათ-კვირას დროის ერთად გატარების უფლების მინიჭება ან რატომ იქნებოდა ეს დამლას გარემოს მიუღებელი ცვლილება, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ისინი ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. ალტერნატივის სახით, მომჩივნების მიერ შეთავაზებული ვარიანტი შეუფერებლადაა ც რომ მიეჩნია, ოდემის სასამართლოს შეეძლო, ბავშვების მიერ ერთმანეთის ნახვის სხვა მეთოდები განეხილა და ამრიგად დაეცვა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები.

ოდემის სასამართლო არ ეცადა აღნიშნული საქმე განესხვავებინა მომჩივნის მიერ საკუთარი არგუმენტების გასამყარებლად მითითებული საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისგან; აღნიშნული გადაწყვეტილებები ცხადყოფდა, რომ თურქეთში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, უნდა უზრუნველყოფილიყო განქორწინებული წყვილების შვილებს შორის კონტაქტის შენარჩუნება. უფრო მეტიც, ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ოდემის სასამართლომ არა მხოლოდ ვერ უზრუნველყო ბავშვების მოსაზრებების მოსმენა, არამედ აგრეთვე, საკუთარი გადაწყვეტილებები ვერ გაამყარა რაიმე მტკიცებულებით, მაგ.: როგორცაა ფსიქოლოგის ან სხვა ექსპერტის შეფასებები, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მომჩივნებმა მას აცნობეს, რომ აღნიშნული სიტუაცია მათზე უარყოფით ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს.

ევროპული სასამართლო აგრეთვე, ვერ დაეთანხმება მთავრობის არგუმენტს, რომ დამლას მიერ ყოველი შაბათ-კვირის მამასთან ერთად გატარება უარყოფითად იმოქმედებდა მის განვითარებაზე, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს აღნიშნული არგუმენტის დამადასტურებელი მყარი მტკიცებულება, როგორცაა ფსიქოლოგის ან სხვა ექსპერტის შეფასებები. ამასთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ მთავრობის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, მშობლებისა და შვილების მიერ ერ-

თმანეთის კამპანიით ორმხრივად სარგებლობა კონვენციის „ოჯახური ცხოვრების“ ფუნდამენტურ ელემენტს წარმოადგენს, მე-8 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში (Kutzner v. Germany, №46544/99, §58, ECHR 2002-1).

ევროპული სასამართლო სინანულით აღნიშნავს, რომ საკასაციო სასამართლომ მიუხედავად მის წინაშე არსებული განსახილველი საქმის მნიშვნელობისა, საჩივარზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილებაში არ განიხილა მომჩივანთა მიერ წარდგენილი ორი არგუმენტი, რაც მოიცავდა მის სასამართლო პრაქტიკაზე მითითებასაც, არამედ მხოლოდ დაადგინა, რომ ოდემის სასამართლომ „ადეკვატურად შეისწავლა მის ხელთ არსებული მტკიცებულებები და რომ სასამართლოს დასკვნა თავსებადი იყო გამოსაყენებელ კანონმდებლობასთან“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმეზე სახელმწიფომ დაარღვია მე-8 მუხლით დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება. ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის საჩივრის განხილვისას, ვერ უზრუნველყვეს ოჯახის საუკეთესო ინტერესების მხედველობაში მიღება.

ამრიგად, მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.

## ტირმინთა ბანმარტუბა

- **ადაპტაცია** – გარემოსთან მორგება, შეგუება;
- **ამბივალენტური** – არაცალსახა, არაერთგვაროვანი – ამბივალენტური განცდა მოიცავს გაორებული ელემენტს, რაც ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ობიექტი ადამიანში ორ ურთიერთსაწინააღმდეგო განცდას იწვევს;
- **ამორფული** – უფორმო;
- **ასთენიური ნევროზი** – (იგივე **ნევრასთენია**) – ხაგრძლივი ფიზიკური ან ფსიქოემოციური გამოფიტვა. ასთენიური ნევროზისკენ განსაკუთრებით მიდრეკილები არიან ემოციურად არასტაბილური ადამიანები. ასთენიური ნევროზი დასაწყისში ვლინდება ადვილად დაღლაში, გაღიზიანებაში, განტვირთვის უუნარობაში. ეს სიმპტომები შეიძლება დამძიმდეს და ავადმყოფს დაერღვეს კონცენტრაციის უნარი, ადვილად სწყინდეს, ცრემლიანობდეს, ჰქონდეს მომატებული შფოთვა, უკმაყოფილო იყოს, როგორც საკუთარი თავით, ისე გარემოთი;
- **ბილინგვიზმი** – ორენოვანება – ორი ენის თანაბარი ფლობა და მათი მეშვეობით წარმატებული კომუნიკაციის დამყარება. ადამიანებს, რომლებიც სამ ენას ფლობენ ეწოდებათ პოლილინგვები, მათ ვინც სამ ენაზე მეტს ფლობს – პოლიგლოტები;
- **განდევნილი შიშები** – გარდა გაცნობიერებული ემოციებისა, არსებობენ განდევნილი, ანუ მივიწყებული ემოციები, რომლებიც ცნობიერ კონტროლს არ ექვემდებარებიან. ამ შემთხვევაში ხდება ისეთი განცდების განდევნა და დავიწყება, რომელთან გამკლავებაც გვიჭირს და არც კი ვაცნობიერებთ. განდევნილი ემოციები „მიძინებულ“ მდგომარეობაში იმყოფებიან, იქამდე, სანამ ვინმე ან რამე არ „გამოაღვიძებს“ მათ; მაშინ ისინი ამოდიან ცნობიერში ნაწილობრივ, ფრაგმენტების სახით ან მთლიანად. ამ პროცესს ხშირად, ღვინის სურნელს ადარებენ, რომელიც ბოთლშია დარჩენილი. შიშის განდევნილი ემოცია ისეთივე ძლიერია და მწვავე, როგორც იმ დღეს, როდესაც ის გაჩნდა. განდევნა დაცვის მექანიზმად ითვლება, რადგან ის გვიცავს იმ ემოციისგან, რომელსაც ჩვენ ამ მომენტში ვერ ვუმკლავდებით, თუმცა განდევნილი ემოციები ჩვენთან ერთად ცხოვრობენ და გარკვეულწილად, გავლენას ახდენენ ჩვენს ყო-

ველდლიურ ცხოვრებაზე და ამავდროულად, გავლენას ახდენენ ჩვენს პიროვნულ სტრუქტურაზეც;

- **გენდერული როლი** – ქცევის ნორმა, რომელიც მიენერება მამაკაცს და ქალს სქესობრივი ნიშნით და რომელსაც მოველით მათგან. გენდერი მამაკაცის და ქალის სოციალური სქესია ანუ ის ფუნქცია, რომელიც მათ ამა თუ იმ საზოგადოებაში გააჩნიათ; მაგალითად, ოდითგანვე მამაკაცის გენდერული როლი იყო მამის, დამცველის, პატრონის, მომპოვებლის, მონადირის, ხოლო ქალის კი დედის, აღმზრდელის, კერის და სითბოს დამცველის; მამაკაცის ქარაქტეროლოგიურ თავისებურებებად განიხილებოდა მიზანდასახულობა, გამძლეობა, უშიშარობა, სითამამე, სიმამაცე, ფიზიკური სიძლიერე და ა.შ. ქალის ქარაქტეროლოგიურ თავისებურებებად განიხილებოდა სინაზე, ფიზიკური სისუსტე, მოკრძალებულობა, სათნოება, თანაგრძნობა, სილამაზე, სიკეთე და ა.შ. აქედან გამომდინარე, არსებობდა მამაკაცური და ქალური პროფესიები და ფუნქციები როგორიცაა, სამხედრო, მფრინავი, ქირურგი, პოლიტიკოსი და ა. შ. (მამაკაცური პროფესიები), დიასახლისი, მასწავლებელი, სანიტარი, ექთანი, მზარეული (ქალური პროფესიები). დღეს გენდერული როლები სულ უფრო მეტად უახლოვდება ერთმანეთს და მათ შორის ნაკლები განსხვავებაა;
- **დელინკვენტი** – დანაშაულის ჩამდენი პიროვნება. განსაკუთრებით ამ ტერმინით მოვიხსენიებთ არასრულწლოვან (18 წლამდე) დამნაშავეებს, რომლებიც არღვევენ კანონს და სჩადიან დანაშაულს. აგრეთვე ეს არის ადამიანი, რომელიც არ იხდის ვალს ან ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფინანსურ ვალდებულებას;
- **დელინკვენტური ქცევა** – არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის აქტი ან დანაშაულებრივი ქმედებაში მონაწილეობა;
- **დეპრესიული ფსიქოზი** – (მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი) ორი ფაზის – დეპრესიული და მანიაკალური ფაზის მონაცვლეობა, როდესაც დათრგუნულ, უიმედო და სევდიან გუნება-განწყობას, აზროვნების შენელებულ პროცესებს ცვლის აღმატებული, მხიარული გუნება-განწყობა, მოტორული აღგზნება და აზროვნების აქტიური პროცესები. დეპრესიული და მანია-



კალური ფაზების ციკლური მონაცვლეობა შეიძლება მოხდეს რამდენიმე დღეში ან რამდენიმე თვეში. დეპრესიული ფაზები როგორც წესი, უფრო ხანგრძლივია, ვიდრე მანიაკალური ფაზები. მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი განსაკუთრებით მწვავედ შეიძლება გამოდგომოდ და გაზაფხულზე;

- **ემოციურ-აფექტური სფერო** – განცდებისა და გრძნობების სფერო, რომელიც ასახავს ადამიანის სუბიექტურ რეაქციას საგნებისა და მოვლენების და სხვა ადამიანების მიმართ. გამოიყოფა დადებითი და უარყოფითი ემოციები, აგრეთვე სთენიური (ძლიერი, აქტიური, დადებითი) და ასთენიური (სუსტი, პასიური, უარყოფითი). მაგალითად, ასთენიური ემოციაა სევდა, სთენიური კი, სიხარული. აფექტი ემოციური რეაქციაა, ოღონდ ძალიან ძლიერი, რომელიც მთლიანად მოიცავს ადამიანის ფსიქიკურ სფეროს როგორც წესი, ჩნდება ექსტრემალურ სიტუაციაში, როდესაც ადამიანი ვეღარ ფლობს სიტუაციას და შეიძლება აღმოცენდეს სხვადასხვა ტიპის ემოციაზე, მაგალითად: შიშზე, ბრაზზე და ა.შ.;
- **ემოციური განვითარება** – შეისწავლის რა არის განცდები, გრძნობები, ემოციები, როგორ და რატომ ჩნდებიან და როგორ უნდა ვმართოთ ისინი;
- **ემოციური სტაბილობა** – ადამიანის უნარი შეინარჩუნოს განონასწორებულობა და მდგრადობა მისთვის ამაღელვებელ სიტუაციაში;
- **ემოციური ტრავმა** – ანუ ფსიქოლოგიური ტრავმა. ამ დროს ადამიანში ხდება ემოციური ფონის ცვლილება, ის აღარ გრძნობს თავს უსაფრთხოდ და უსუსურობის განცდა ეძლევა. ემოციურ ტრავმამდე ადამიანი შეიძლება მიიყვანოს სატრანსპორტო ავარიამ, შეყვარებულის დაკარგვამ, ჩხუბმა ახლობელ ადამიანთან, განქორწინებამ, ავადმყოფობამ, დამარცხებამ, სტიქიურმა უბედურებამ – მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა და ა.შ. ემოციური ტრავმა შედგება სამი ელემენტისგან: 1) მომხდარის უცაბედობა, მყისიერება, 2) ინდივიდის მოუშადადებლობა 3) უუნარობა, თავიდან აიშოროს მოვლენა;

**ემოციურ ტრავმას შეიძლება მოჰყვეს:** უმადობა, უძილობა, სექსუალური დისფუნქცია, სისუსტე, ქრონიკული აუხსნელი ტკივილები, დეპრესია, შფოთვა, პანიკური შიშები, გაღიზიანება, მეხსი-

ერების დარღვევა, კონცენტრაციის უნარის დაქვეითება და ა.შ.;

- **ენურეზი** – უნებლიე შარდვა ძილის დროს. 94,5% შემთხვევაში ენურეზი გვხვდება ბავშვებში (4-დან 7-წლამდე), 4,5% შემთხვევებში მოზარდებში და მხოლოდ 1%-ში ზრდასრულებში. ხშირად ენურეზი არის ბავშვის რეაქცია ოჯახურ კონფლიქტზე და მისთვის მიუღებელ სიტუაციაზე. ენურეზის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ნევროზიც ასრულებს;
- **ეტიოლოგია** – მიზეზი, წარმომავლობა, წარმოშობა. როგორც წესი, სამედიცინო დარგი, რომელიც სწავლობს დაავადებების წარმომავლობასა და მიზეზებს;
- **ექსპრესიული მეტყველება** – აქტიური ზეპირი და წერილობითი გამონათქვამი. ზეპირი ექსპრესიული მეტყველება ხორციელდება სიტყვების წარმოთქმით. წერილობითი გამოხატება ქალღმერთზე გადატანილი გრაფიკული ნიშნებით. ექსპრესიული ენა აღნიშნავს აზრების სიტყვებით და წინადადებებით გამოხატვის უნარს ისეთი ფორმით, რომ გასაგები იყოს აზრი და გრამატიკულად სწორად იყოს გაფორმებული;
- **ვერბალიზება** – განცდების, გრძნობების სიტყვიერად გადმოცემა;
- **იდენტიფიკაცია** – ფსიქოლოგიური პროცესი, როდესაც სუბიექტი სხვის თვისებას მთლიანად ან ნაწილობრივ როგორც წესი, გაუცნობიერებლად თავის თავს მიაწერს, მიახლოებს ანუ თავის თავთან აიგივებს;
- **იმპულსი** – ბიძგი, მიზეზი, რომელიც იწვევს სპონტანურ და გაუაზრებელ ქცევას;
- **იმპულსური ქცევა** – ინდივიდის უუნარობა მოერიოს და დათრგუნოს იმპულსი ან მოერიოს განზრახვას, რომელმაც შესაძლებელია მასვე მოუტანოს ზიანი. იმპულსური ქცევა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა იყოს ფსიქიკური აშლილობის ნიშანი და საჭიროებდეს ფსიქიატრის ან ფსიქოთერაპევტის ჩარევას;
- **ინტაქტური ოჯახი** – ოჯახი, როდესაც ორივე ბიოლოგიური მშობელი ქორწინებაში იმყოფება და ერთად ცხოვრობს. უფრო მეტად ინტაქტურად ითვლება ოჯახი, სადაც ბებია-ბაბუაც ცხოვრობენ. თუმცა ოჯახის ინტაქტურობა არ ნიშნავს ჯანსაღ

და უპრობლემო ურთიერთობებს ოჯახში;

- **ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები** – პიროვნების ფსიქიკური აქტივობის თავისებურება, რომელიც გამოიხატება ადამიანის ტემპერამენტში, ხასიათში, მოტივაციურ სფეროში, უნარებში და წარმოადგენს ადამიანის ფსიქიკის საკმაოდ მდგრად მახასიათებელს და განაპირობებს ქცევას;
- **იპოქონდრია** – ნევროტული დარღვევა, რომლის დროსაც ძირითადი სიმპტომებია საკუთარი ჯანმრთელობის გამო წუხილი და უფრო იშვიათად, საკუთარი გონებრივი შესაძლებლობების თაობაზე დარდი. ეს დარღვევა ჩვეულებრივ ასოცირებულია შფოთვისა და დეპრესიასთან და შესაძლოა მძიმე ფსიქიკური დაავადების გამოვლინებაც იყოს;
- **ისტერიული ნევროზი** – (იგივე ისტერია) – ნევროზის სახეობა, რომელიც ვლინდება ემოციური რეაქციის დემონსტრირებაში, როგორიცაა: უეცარი ყვირილი, სიცილი, ტირილი, სპაზმები, მგრძნობელობის დაკარგვა, დაბუჟება, ჰალუცინაციები, გარდაშვალა და მზლა, გულყრა და ა.შ. ისტერიის საფუძველში დევს მომატებული შთაგონება, თვითშთაგონება, განცდები, რის გამოც ირღვევა უმაღლესი ნერვული სისტემის მექანიზმის ფუნქციონირება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, როგორც გარემო ფაქტორები, ისე შიდაპიროვნული კონფლიქტი. დაავადება შეიძლება განვითარდეს უეცრად, როგორც ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგი, ისე ხაგრძლივი ნეგატიური ფაქტორების და სიტუაციის გავლენის შედეგად. ხშირად ეს არის რეაქცია საოჯახო ან საყოფაცხოვრებო კონფლიქტზე ან სიცოცხლისთვის სახიფათო პირობებზე ან სიტუაციაზე. სიტყვა ისტერია “Hysteria” ბერძნულია და ნიშნავს საშოს, რის გამოც ადრე ეგონათ, რომ ეს პათოლოგია საშოს ფუნქციის დარღვევით არის გამოწვეული და ამიტომ ძირითადად, ქალებისთვის არის დამახასიათებელი;
- **კოგნიტური რესურსი, უნარი** – შემეცნების, აზროვნების რესურსი და უნარი, ეს არის თავის ტვინის ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს ცნებების ფორმირებას და ამ ცნებებით ოპერირებასა და მათ გააზრებას;
- **კორტიკალური** – ქერქული, თავის ტვინის ქერქში მიმდინარე პროცესები;

- **ლოგონევროზი** – მეტყველების დარღვევა, ენის ბორძიკი, ხშირი და ხანგრძლივი პაუზები მეტყველების დროს;
- **მანია** – ფსიქიკური აშლილობა, როდესაც ერთ იდეაზე ხდება ფიქსირება, დამახასიათებელია თავშეუკავებლობა და გალიზიანებადობა, ენერჯის მოჭარბება;
- **მონყვლადი** – მგრძობიარე, დაუცველი;
- **მოტორული ფუნქციები** – მოძრაობების თანმიმდევრობა, ორგანიზმის ან მისი ცალკეული ორგანოების სამოძრაო აქტივობა. არსებობს მსხვილი და წვრილი მოტორიკა. მსხვილი მოტორიკა: დახრა, ცოცვა, სიარული, სირბილი, ხტუნვა და ა.შ. წვრილი მოტორიკა: მცირე ზომის საგნებით მანიპულირება, საგნის ხელიდან ხელში გადაცემა, თვალების და ხელების კოორდინირებული მოქმედება, მაგალითად: ხატვა, ლილის შეკვრა, ქსოვა, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა, წერილის წერა და ა.შ.;
- **ნევროტული დარღვევები** – (ნევროზი) – ფსიქოპათოლოგიური რეაგირება ძნელად მოსაგვარებელ ან მოუგვარებელ სიტუაციაზე, ანუ ფუნქციონალური დარღვევა, რომელიც განპირობებულია მწვავე ან ქრონიკული ფსიქოლოგიური ტრავმით. ამ დროს კრიტიკა შენარჩუნებულია, რადგან ეს მდგომარეობა არ წარმოადგენს ფსიქიკურ დარღვევას, თუმცა ზემოქმედებას ახდენს ცხოვრების და აქტივობის ხარისხზე;
- **პარანოია** – ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც თან სდევს აკვიატებული და ბოღვითი იდეები, რომელთაც განსაკუთრებული და გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ გადახრის შემჩნევა საკმაოდ რთულია და ავადმყოფის ქცევა ხშირად აღიქმება, როგორც აზრიანი და ლოგიკური. პაციენტის დამოკიდებულება გარემოს მიმართ ამ დროს კრიტიკულია, მიუხედავად იმისა, რომ თავად კრიტიკას ვერ იღებს და ვერ იტანს. ითვლება, რომ პაციენტი ბოღვას იწყებს, არა იმიტომ რომ ის არასწორად აღიქვამს გარემოს, არამედ იმიტომ რომ მას მოსვენებას არ აძლევს შინაგანი კონფლიქტი. პარანოიალური ბოღვით შეპყრობილი ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარი იდეების ადეკვატურ შეფასებას და მისი ფასეულობების სისტემა დაშორებულია რეალობას;

- **პერცეპტუალური უნარი** – ალქმის ორგანოებიდან მონოდებუ-  
ლი ინფორმაციის ალქმისა და მონესრიგების უნარი, რაც მოი-  
ცავს: 1) ფორმის ალქმას, ანუ ფიგურების ფონისგან დამოუკი-  
დებლად ალქმას 2) სივრცითი ალქმა, რაც ნიშნავს ზომისა და  
მანძილის განსაზღვრის უნარს სამგანზომილებიან სივრცეში 3)  
მუდმივობა – საგნების ერთნაირად ალქმის უნარი დაკვირვების  
პირობების შეცვლის მიუხედავად 4) მოძრაობა – მოძრავი  
ფიგურების უძრავი ფონისგან განსხვავების უნარი;
- **პერცეპცია** – (ალქმა) – საგნებისა და გარემოს გრძნობიერი და  
სუბიექტური ალქმა;
- **პროექცია** – ფსიქოლოგიური პროცესი, როდესაც ადამიანი სა-  
კუთარ თვისებებს, ემოციებს, დამოკიდებულებებს, სურვი-  
ლებს, აზრებს, ზრახვებს სხვა ადამიანს მიაწერს და საგნებში,  
ფორმებში დებს იმ შინაარსს, ღირებულებებს, რომელიც მის-  
თვის აქტუალურია, მისი შიშების და მოლოდინების გამოხატუ-  
ლებას წარმოადგენს, მოვლენებს აძლევს მისთვის სასურველ  
ან არასასურველ ინტერპრეტაციას და არ აკეთებს ობიექტურ  
ანალიზს. პროექციის პროცესი გაუცნობიერებლად მიმდინა-  
რეობს;
- **პროექციული ტესტები** – განყენებული და ზოგადი ხასიათის  
მასალა, მოთხრობა, სურათი, ან ბუნდოვანი ფიგურა და ა.შ. რომ-  
ლის აღწერის დროსაც ცდის მონაწილეს სხვაზე გადააქვს თა-  
ვისი ამბავი, თვისებები, შიშები და საუბრობს თავის თავზე, ისე  
რომ ვერ აცნობიერებს ამ ფაქტს, რადგან ტესტის მიზანი შე-  
ნიღბულია და სწორედ ამის გამო პროექციული ტესტები და მე-  
თოდები სხვა ფსიქოდიაგნოსტურ საშუალებებზე და კითხვა-  
რებზე უფრო სანდოდ ითვლება;
- **ღირებულებითი ორიენტაციები** – პიროვნების ცხოვრებისე-  
ული გამოცდილებით გამყარებული ქცევითი ორიენტირები და  
სტრატეგია. ღირებულებითი ორიენტაციები, ანუ ფასეულობე-  
ბი წარმოადგენენ პიროვნების მოტივაციურ ბირთვს, ცხოვრე-  
ბისეულ კონცეფციას და ასახავენ ადამიანის დამოკიდებულე-  
ბას სამყაროს, ცხოვრების, სხვა ადამიანების და საკუთარი თა-  
ვის მიმართ. ღირებულებითი ორიენტაციები განსაზღვრავენ  
ცხოვრებისეულ პოზიციას, არეგულირებენ ქცევას და ზემოქ-  
მედებას ახდენენ ადამიანის ინტერესების სფეროზე და განა-

პირობებენ მისი ცხოვრების საზრისს;

- **რეცეპტიული მეტყველება** – აღნიშნავს ინფორმაციის წვდომის და გაგების უნარს. მოიცავს, როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით მოცემული სიტყვების, წინადადებების და გამონათქვამების აღქმის და გაგების უნარს;
- **სატესტო ბატარეა** – ერთ ფსიქოდიაგნოსტიკურ მეთოდად გაერთიანებული სხვადასხვა ტესტების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია რთული ფსიქოლოგიური კონსტრუქტის სხვადასხვა ასპექტის გასაზომად;
- **სინდრომი** – ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ნიშნების და სიმპტომების ერთობლიობა;
- **სენსიტიური** – მგრძნობიარე;
- **სტანდარტიზებული ფსიქოლოგიური მეთოდი** – ადაპტირებული და მორგებული კონკრეტული კულტურული გარემოს პირობები და მოსახლეობის საშუალო, სტანდარტული ნორმა;
- **სუგესტიური მეთოდი** – შთაგონების მეთოდი, რომელიც ცნობიერი კონტროლის გვერდის ავლით, ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ქცევაზე;
- **სოციალური განვითარება** – შეისწავლის ადამიანის ქცევას და ურთიერთობის ფორმებს ჯგუფსა და საზოგადოებაში და ნორმებს, რომლის მეშვეობითაც მყარდება ურთიერთობა ადამიანებს შორის და ამ ურთიერთობის პროცესს. აგრეთვე შეისწავლის ადამიანის ღირებულებებს და მათ ფორმირებას;
- **სოციალური** – საზოგადოებრივი, ჯგუფური.
- **სოციალური კომპეტენცია** – სოციალური, ემოციური, კოგნიტიური უნარ-ჩვევები და ქცევა, რომელიც საჭიროა წარმატებული სოციალური ადაპტაციისთვის, ანუ საზოგადოებაში წარმატებული ფუნქციონირებისთვის. სოციალური კომპეტენცია გულისხმობს სხვა ადამიანების განცდების, გრძნობებისა და მოთხოვნილებების გაგებას, მათთან თანამშრომლობას და მოლაპარაკების წარმოების ტექნიკის, საკუთარი იდეების მიწოდების ფორმის ცოდნას, პრობლემების გადაჭრის უნარს, ემოციის ადეკვატურად გამოხატვის უნარს, სოციალური სიტუაცი-

ების ამოცნობას, ანუ სწორად „ნაკითხვას“, სხვადასხვა სოციალური სიტუაციისთვის ალღოს აღებას, სიტუაციასთან შეგუებას და მორგებას. აგრეთვე ეს არის სოციალური ცოდნის მიღება და სოციალური უნარ-ჩვევის დახვეწა. სოციალური კომპეტენციის სინონიმურია სოციალური უნარ-ჩვევა;

- **სოციალური ფაქტორები** – ნებისმიერი ცხოვრებისეული და გარემოს მოვლენა, ვითარება, ფაქტი ან საგანი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანზე და მის ფსიქიკაზე;
- **სომატური** – სხეულეებრივი;
- **სტერეოტიპული ქმედება** – მოძრაობების, სიტყვების, ფრაზების უაზროდ და უკონტროლოდ გამეორება;
- **ფობია** – ძლიერი და აკვიატებული შიში, რომელიც მწვავედება კონკრეტულ სიტუაციებში და არ ექვემდებარება ლოგიკურ ახსნას;
- **ფრუსტრაცია** – (ლათინური სიტყვა, რომელიც ტყუილ მოლოდინს ნიშნავს) ემოციური მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება ისეთ სიტუაციაში, როდესაც აღმოცენებული მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია ან ძალიან რთულია და ეს იწვევს ადამიანში გულგატეხილობას და იმედის გაცრუებას. ფრუსტრირებულ მდგომარეობაში ადამიანი განიცდის უარყოფითი ემოციების მთელ კომპლექსს როგორცაა: ბრაზი, სასოვნარკვეთა, გაღიზიანება, იმედგაცრუება და ა.შ. ადამიანის ფრუსტრირებულ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნას შესაძლოა მოჰყვეს მისი საქმიანობის დეზორგანიზაცია და ამან უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს მის გუნება-განწყობილებაზე, გახადოს უფრო აგრესიული, ხელი შეუწყოს არასრულფასოვნების კომპლექსის ჩამოყალიბებას და სხვა;
- **ფსიქოლიაგნოსტიკა** – ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც ქმნის და სწავლობს ადამიანის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, ქარაქტეროლოგიას, ფსიქიკურ სტატუსს, ემოციური სფეროს, ღირებულებებს, ინტელექტს მათ შესაფასებელ პრინციპებს, ინსტრუმენტებს, გასაზომ საშუალებებს და ქმნის მიზნობრივ ტესტებსა და მეთოდოლოგიებს;
- **ფსიქოლოგიური დისტრესი** – ზოგადი ტერმინია, რომელიც

აღწერს უსიამოვნო განცდებსა და გრძნობებს, ანუ ემოციებს, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ფუნქციონირების ხარისხზე და სწავლობს დისტრესის მიზეზებს და სიმპტომებს. დისტრესი არის ფსიქოლოგიური დისკომფორტი, რომელიც ხელს გვიშლის ან აფერხებს ჩვენ ყოველდღიურ ნორმალურ საქმიანობას და ქმედებას და ვლინდება მონყენილობაში, სევდია-ნობაში, დაბნეულობაში და ხშირად ფსიქიკურ აშლილობაშიც. ფსიქოლოგიური დისტრესი სუბიექტურია; ფსიქოლოგიური დისტრესის სიმწვავე დამოკიდებულია სიტუაციაზე და იმაზე, თუ როგორ აღიქმება ეს სიტუაცია კონკრეტული ადამიანის მიერ. ფსიქოლოგიური დისტრესის მიზეზი შეიძლება გახდეს ახლობელი ადამიანის სიკვდილი, სამსახურის დაკარგვა, მატერიალური კეთილდღეობის დაკარგვა, მეგობართან ჩხუბი, ცუდი შეფასება სკოლაში, შეყვარებულთან ჩხუბი, აბუჩად აგდება და ა.შ. ანუ ნებისმიერი მატრავმირებელი სიტუაცია. თუ ადამიანი ვერ ახერხებს დისტრესთან გამკლავებას, მან შესაძლოა გარკვეული პერიოდით დაკარგოს ცხოვრების ინტერესი, ვერ შეძლოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, სკოლაში ან უმაღლეს სასწავლებელში სიარული, კონცენტრაციის მოხდენა, საინტერესო სოციალურ მოვლენებში მონაწილეობის მიღება, ადამიანებთან ურთიერთობა და ა.შ.

■ **ფსიქოპათია** – პიროვნების ფსიქიკური აშლილობა, რომელიც ხასიათდება სოციალური ნორმების მიუღებლობით, მომატებული აგრესიულობით, იმპულსურობით, მიჯაჭვულობის ჩამოყალიბების უუნარობით. ახლავს არაადეკვატური ემოციური გამოვლინებები და დეპრესიული მდგომარეობები. ფსიქოპათიისთვის დამახასიათებელია:

- გულგრილობა;
- უპასუხისმგებლობა;
- ურთიერთობის დამყარების უუნარობა;
- აგრესიისა და ძალადობისკენ მიდრეკილება;
- ეგოიზმი;
- დანაშაულის გრძნობის არქონა;
- საკუთარი გამოცდილების გაანალიზების უუნარობა;
- კონფლიქტური დამოკიდებულება საზოგადოებასთან;
- სხვების დადანაშაულების ტენდენცია.

ფსიქოპათიის დიაგნოსტიკებისას ზოგადი კრიტერიუმების გარდა გამოიყოფა:



- კანონებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება;
  - კანონის დარღვევა;
  - იმპულსურობა;
  - გალიზიანებადობა;
  - აგრესიულობა;
  - რისკიანობა;
  - უპასუხისმგებლობა;
  - დაძაბულ რიტმში მუშაობის უუნარობა;
  - ფინანსური ვალდებულებების არშესრულება;
  - სხვა ადამიანისთვის მორალური და ფიზიკური ზიანის მიყენების ტენდენცია სინანულის გარეშე.
- **ფსიქოსომატური დაავადებები** – მოიცავს, როგორც ფსიქიკას, ისე ფიზიკურ სხეულს, ანუ სომას. ითვლება, რომ ზოგიერთი დაავადება გამონვეულია ან დამძიმებულია ფსიქიკური მდგომარეობით და ფსიქოლოგიური ფაქტორებით, როგორიცაა სტრესი და შფოთვა. მაგალითად, ფსიქოსომატურ დაავადებებად ითვლება ფსორიაზი, ეკზემა, კუჭის ნეკროლი, მაღალი წნევა, ზოგადად, გულსისხლძარღვთა დაავადებები.
  - **ფსიქიკური სტატუსი** – ფსიქიკის მდგომარეობა.
  - **ფსიქოლოგიური ტესტი** – ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებების, უნარ-ჩვევების, ინტელექტის და სხვა ფსიქოლოგიური მახასიათებლების საკვლევი მეთოდი.
  - **ფსიქოკონსულტირება** – ფსიქოლოგიური დახმარების ფორმაა, რომელიც კლინიკური დარღვევების არმქონე იმ ადამიანების მოთხოვნის საფუძველზე წარმოიქმნა, რომელთაც დასჭირდათ ფსიქოლოგიური დახმარება. ფსიქოკონსულტანტები ეხმარებიან ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში, საქმიანობასა და ურთიერთობებში ფსიქოლოგიურ სირთულეებს აწყდებიან და უჭირთ ამ სირთულეებთან გამკლავება.
  - **ფსიქოემოციური განვითარება** – დღეს, ბავშვის ფსიქოემოციური განვითარება ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია, რადგან სწორი ფსიქოემოციური განვითარება ხელს უწყობს გარემოზე ბავშვების ადეკვატურ რეაგირებას და გულისხმობს მათი კომუნიკაციის უნარის განვითარებას; ეხმარება მათ, ახლო და კარგი ურთიერთობა დაამყარონ, როგორც თანატოლებთან, ისე ზრდასრულ ადამიანებთან. ფსიქოსოციალური განვი-

თარება გულისხმობს გარემოს შემეცნებას და დადებითი და უა-  
ყოფითი ემოციების რეგულირებასა და სრულად გამოხატვას სო-  
ციალურად მისაღები გზით.

- **ქარაქტეროლოგია** – სწავლობს პიროვნების ხასიათს და მისი ფორმირების პროცესებს.

**მისი მიზანია:** 1) განსაზღვროს ადამიანის ტიპი 2) იწინასწარმეტ-  
ყველოს ადამიანის ქცევა, მისი ტიპოლოგიის საფუძველზე.

ფსიქოლოგიაში არსებობს ხასიათის შესწავლის ორი ძირითადი მე-  
თოდი: 1) სტატიკური, როდესაც ხასიათს განვიხილავთ, როგორც  
ძირითადი მდგრადი თავისებურებების ნაკრებს და 2) ემპირიული,  
როდესაც გარემო ფაქტორების გავლენით ხდება ხასიათის ცვლი-  
ლება.

- **ჰიპოპანია** – მანიის მსგავსი მდგომარეობა, ოღონდ უფრო მსუ-  
ბუქი ფორმით გამოხატული. ჰიპოპანიისთვის დამახასიათე-  
ბელია ზეანეული გუნება-განწყობილება (ზოგჯერ მას ადვილად  
გალიზიანება და სიბრაზეც ახლავს), აგრეთვე ფიზიკური და  
გონებრივი პროდუქტულობის განცდა, მომატებული ენერგია  
და აქტივობა.



საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 298 20 77  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)